



საპარტეზო
სანაღვრეო
იურიდიული
ასოციაცია



საპარლამენტო კონტროლი მეთე მოწვევის კარლამენტში

პირველი ნაწილი



ევროკავშირი
საქართველოსთვის



საქართველოს
აზალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია



სოციალური
სამართლიანობის
წინააღმდეგობა



საპარლამენტო კონტროლი მეათე მოწვევის პარლამენტში

პირველი ნაწილი

თბილისი
2023

პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით, პროექტის „ანგარიშვალდებული და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული უსაფრთხოების სექტორის მხარდაჭერა კვლევების, ადვოკატირებისა და ინკლუზიური დიალოგის გზით“ ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და, შესაძლოა, იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

გამოცემაზე პასუხისმგებელი: ნანა ყრუაშვილი

კვლევის ხელმძღვანელი: სალომე სალარაძე

**ავტორები: გიორგი ალავერდიაშვილი
ნინო კაკანაძე**

კვლევის ასისტენტი: ნიკოლოზ ოდიკაძე

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2023, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ს ა რ ჩ ე ვ ი

I. კვლევის მეთოდოლოგია	6
1.1. კვლევის მიზნები, საანგარიშო პერიოდი და სუბიექტები	6
1.2. კვლევის ტიპი	6
1.3. კვლევის მეთოდები	6
1.4. გამოყენებული წყაროები	7
II. კვლევის მიზნაბები	8
III. უსაფრთხოების საქმეებზე საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელობა	11
IV. პარლამენტი 2020 წლის არჩევნების შემდეგ	13
V. საპარლამენტო კონტროლი პლენარულ სხდომაზე	18
5.1. სამთავრობო პროგრამა	18
5.2. პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური მოხსენება და რიგგარეშე ანგარიში	19
2022 წლის მოხსენება	20
5.3. მინისტრის საათი	21
5.4. ანგარიშვალდებული თანამდებობის პირების პლენარულ სხდომაზე მოწვევა ...	36
5.5. ინტერპელაცია	36
5.5.1. ინტერპელაციის არსი	36
5.5.2. ინტერპელაციის ჩატარების სიხშირე და თითოეული ინტერპელაციის დრო	37
5.5.3. ინტერპელაციის თემისა და გამართული დებატების შესაბამისობა	40
5.5.4. ერთი ინტერპელაციის ფარგლებში რამდენიმე არსებითად განსხვავებული საკითხის დასმა	46
5.5.5. ინტერპელაციის ბმა უნდობლობის პროცედურასთან	47
5.5.6. ინტერპელაციის დასრულების შემდგომ დადგენილების მიღების საკითხი	47
5.6. დროებითი კომისია	47
5.7. დროებითი საგამოძიებო კომისია	47
VI. პარლამენტის წევრის კითხვა	49
VII. საკომიტეტო კონტროლის მექანიზმები	53
7.1. ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება	53
7.2. კომიტეტის სხდომაზე თანამდებობის პირის დაბარება	54
7.2.1. კომიტეტის უმრავლესობის მიერ თანამდებობის პირის დაბარება	55
7.2.2. კომიტეტის სხდომაზე თანამდებობის პირის დაბარება ფრაქციის მიერ	56

7.3. კომიტეტის თემატური მომხსენებელი	57
7.3.1. კომიტეტის სამოქმედო გეგმა	57
7.3.2. სამოქმედო გეგმის სტრუქტურა	58
7.3.3. თემატურ მომხსენებლად დანიშვნა	59
7.3.4. თემატური მომხსენებლის ვინაობა	60
7.3.5. თემატური მომხსენებლის ანგარიშგება	60
7.4. უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის სპეციალური სუბიექტები	61
7.4.1. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი	61
7.4.2. ნდობის ჯგუფი	62
7.5. თემატური მოკვლევა	68
7.5.1. თემატური მოკვლევის ჯგუფის შექმნა	68
7.5.2. ჯგუფის დაკომპლექტების პრინციპი	71
7.5.3. ჯგუფის წევრთა რაოდენობა.....	71
7.5.4. ჯგუფის წევრობა	71
7.5.5. ჯგუფის უფლებამოსილების ვადა და მისი დასკვნა.....	72
7.6. სამუშაო ჯგუფი	73
7.6.1. სამუშაო ჯგუფის შექმნა	73
7.6.2. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა	77
7.6.3. სამუშაო ჯგუფის ორგანიზება და უფლებამოსილების ვადა	79
7.7. ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის შესწავლა	83
VIII. რეკომენდაციები	84
დანართები	86

შემოკლებების და აბრევიატურების ნუსხა

- აშშ - ამერიკის შეერთებული შტატები
- ა.შ. ასე შემდეგ
- ავტ. კოლ. ხელ. და პას. რედ. - ავტორთა კოლექტივი, ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი
- ესპანეთი - ესპანეთის სამეფო
- იხ. - იხილეთ
- მაგ. - მაგალითად
- ოტს - ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო
- საია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
- სდსს - სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური
- სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი
- სუს - სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური
- სხვ. - სხვა
- შსს - შინაგან საქმეთა სამინისტრო

I. კვლევის მეთოდოლოგია

1.1. კვლევის მიზნები, საანგარიშო პერიოდი და სუბიექტები

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 2020 წელს წარმოადგინა IX მოწვევის პარლამენტის საზედამხედველო საქმიანობის შედეგები, რომლებიც 2019-20 წლების სესიებს მოიცავს (გარდა 2020 წლის საშემოდგომო სესიისა).¹ წინამდებარე კვლევის საანგარიშო პერიოდი კი X მოწვევის პარლამენტის 2021 წლის საშემოდგომო და 2022 წლის როგორც საგაზაფხულო, ისე საშემოდგომო სესიებია. რაც შეეხება 2020 წლის საშემოდგომო და 2021 წლის საგაზაფხულო სესიებს, ისინი არაორდინალურ ფორმატში მიმდინარეობდა, ამიტომ, ეს პერიოდი კვლევაში მხოლოდ ზოგადად არის მიმოხილული.

დოკუმენტი დიდწილად შეეხება საპარლამენტო კონტროლის ზოგად მექანიზმებს, რომლებიც გამოიყენება როგორც საკომიტეტო, ისე პლენარულ სხდომებზე. გარდა ამისა, ნაშრომში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია სპეციალური მექანიზმებით უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობაზე. ხარვეზების გამოვლენის პარალელურად, კვლევაში იდენტიფიცირებულია მათი გადაჭრის გზები. შედეგად, მკითხველი არა მხოლოდ გაეცნობა პარლამენტის მხრიდან გადადგმულ ნაბიჯებს არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, არამედ, აგრეთვე, იმ რეკომენდაციებს, რომლებიც კანონმდებლების ყურადღების მიღმა დარჩა.

1.2. კვლევის ტიპი

მკვლევართა ჯგუფმა წინამდებარე დოკუმენტზე მუშაობისას გამოიყენა კვლევის დოქტრინალური ტიპი, რომელიც ეყრდნობა კანონმდებლობას, როგორც პირველად წყაროს. ასევე იხელმძღვანელა ისეთი მეორადი წყაროებით, როგორებიცაა სტატიები, წიგნები, ანგარიშები, სხვადასხვა ორგანიზაციის კვლევები, საპარლამენტო სხდომების სტენოგრაფიული ჩანაწერები, საკანონმდებლო ორგანოდან მოწოდებული მასალები. პირველადი და მეორადი წყაროების მეშვეობით, გაანალიზებულია საპარლამენტო კონტროლის სამართალი საქართველოში და იდენტიფიცირებულია ხარვეზები.²

1.3. კვლევის მეთოდები

ნაშრომის შექმნისას გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდები: ანალიტიკური, დესკრიფციული, ნორმატიული, შედარებით-სამართლებრივი და ისტორიული. მათზე დაყრდნობით, დამუშავდა საპარლამენტო კონტროლის არსებული მექანიზმები. შედეგად, გამოვლინდა ამ მექანიზმების ძლიერი და სუსტი მხარეები. კვლევის მიგნებები ქმნის კარგ საფუძველს, სამომავლოდ გაუმჯობესდეს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ხარვეზები.

¹ ვახუშტი მენაბდე და სხვები, საპარლამენტო კონტროლი კონსტიტუციისა და რეგლამენტის რეფორმის შემდეგ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3GtjZBC>, განახლებულია: 27.02.2023.

² საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების თაობაზე სხვა ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა ამ დოკუმენტში დაწვრილებით არ არის წარმოდგენილი, ვინაიდან ის უკვე განხილულია ორგანიზაციის 2020 წელს გამოქვეყნებულ კვლევაში. იხ. ვახუშტი მენაბდე და სხვები, დასახელებული ნაშრომი.

1.4. გამოყენებული წყაროები

კვლევაზე მუშაობისას გამოყენებულია შემდეგი წყაროები:

- საქართველოს კანონმდებლობა;
- საჯარო ინფორმაციის სახით მიღებული შესაბამისი საპარლამენტო ანგარიშები, საკომიტეტო და პლენარული სხდომების სტენოგრაფიული ჩანაწერები, სხდომების საჯაროდ ხელმისაწვდომი ოქმები, ვიდეო-აუდიო ჩანაწერები და სხვა;
- საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული დოკუმენტები;
- ანალიტიკური მასალა უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების შესახებ.

II. კვლევის მიზნები

ამ თავში გაერთიანებულია საპარლამენტო კონტროლის კუთხით კვლევის პროცესში აღმოჩენილი ხარვეზები.

კვლევის ძირითადი მიზნებებია:

სამთავრობო პროგრამა, პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური მოხსენება და რიგგარეშე ანგარიში

- სამთავრობო პროგრამა თავდაცვისა და უსაფრთხოების კუთხით ღიად ტოვებს ისეთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობის და მოდერნიზების შესახებ ხედვას, როგორცაა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, დაზვერვის სამსახური და ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო;
- პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური გამოსვლის თარიღის შესახებ რეგლამენტის რეგულაცია ხარვეზიანია, რადგან არჩევნების შედეგად დაკომპლექტებული პარლამენტის მიერ ნდობაგამოცხადებული მთავრობის მეთაურის ანგარიშის მოსმენა არასრულ 1 წელიწადში იმართება;
- პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური ანგარიშის განხილვისას კითხვა-პასუხისთვის გათვალისწინებული რეჟიმის დრო მცირეა;
- პრემიერ-მინისტრი ყოველწლიური ანგარიშის ზეპირი წარდგენისას ნაკლებად ეხება სამთავრობო პროგრამის შესრულებას. მისი გამოსვლა, ძირითადად, მიმდინარე აქტუალურ საკითხებს მოიცავს.

მინისტრის საათი

- პრობლემურია მინისტრის საათის საანგარიშო პერიოდის ათვლის წერტილის განსაზღვრა;
- მინისტრის საათის დროს საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატები ნაკლებად სვამენ კრიტიკულ კითხვებს და, ძირითადად, მაღლობების გამოხატვით შემოიფარგლებიან ანგარიშვალდებული მინისტრის მიმართ;
- დეპუტატები ხშირ შემთხვევაში არ არიან შინაარსობრივად მომზადებულნი. შედეგად, მინისტრის საათის ფარგლებში, მეტწილად, აქცენტი აქტუალურ, არასიდრმისეულ საკითხებზე კეთდება და არა - უშუალოდ სამთავრობო პროგრამის შესრულებაზე;
- მინისტრების გამოსვლისას დეპუტატთა ნაწილს, შეკითხვის დასმის ნაცვლად, ხშირად აქვს თხოვნა ან ინიციატივა, რომლებიც, როგორც წესი, შეეხება დეპუტატის მშობლიურ ან სამაჟორიტარო ოლქებს.

თანამდებობის პირის დაბარება პლენარულ სხდომაზე

- დეპუტატები არ იბარებენ პლენარულ სხდომაზე თანამდებობის პირებს. საანგარიშო პერიოდში ეს უფლებამოსილება არც ერთხელ არ გამოყენებულა.

ინტერპელაცია

- რეგლამენტი უშვებს დროის პროპორციულ შემცირებას ერთ დღეს 2-ზე მეტი ინტერპელაციის გამართვის შემთხვევაში, რაც უარყოფითად აისახება ამ პროცედურის ეფექტიანობაზე;
- რეგლამენტი არ განსაზღვრავს ზუსტ დროს, როდის წარედგინება ინტერპელაციაზე წერილობითი პასუხი პარლამენტის წევრებს, რაც ხელს უშლის დეპუტატებს, სათანადოდ მოემზადონ ინტერპელაციის სხდომისთვის;
- კანონმდებლობით, ინტერპელაციის პროცედურას არ აქვს ბმა უნდობლობის ვოტუმთან;

- 2022 წელს საგარეო საქმეთა მინისტრის ინტერპელაცია რამდენჯერმე გადაიდო სხვადასხვა მიზეზით. შედეგად, თითქმის 7 თვის შემდეგ მის მიმართ დასმული ინტერპელაციის შეკითხვა კვლავ პასუხგაუცემელია;
- ინტერპელაციის პროცედურისას დასმული კითხვები ზოგჯერ სცდება ინტერპელაციის საკითხს;
- ერთი ინტერპელაციის ფარგლებში ისმევა რამდენიმე განსხვავებული კითხვა;
- გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით, ინტერპელაციის დასრულების შემდგომ პარლამენტი დადგენილებას არ იღებს.

სადეპუტატო კითხვა

- გაუმჯობესების მიუხედავად, კვლავ არ არსებობს ქმედითი მექანიზმები სადეპუტატო კითხვებზე პასუხის არგაცემის შემთხვევაში;
- უსაფრთხოების თაობაზე კითხვებს უმრავლესობის წარმომადგენლები ნაკლებად სვამენ;
- თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს საანგარიშო პერიოდში არ უსარგებლია დეპუტატის კითხვის მექანიზმით, ხოლო 2022 წლის საშემოდგომო სესიაზე მხოლოდ 2-მა წევრმა გააგზავნა კითხვები უსაფრთხოების თემაზე ამ სექტორის ადრესატებთან;
- სამივე სესიის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ უსაფრთხოების თემატიკაზე კითხვებს, ძირითადად, ოპოზიციის წარმომადგენლები აგზავნიან, ხოლო ადრესატები პასუხს არ სცემენ ამ თემასთან დაკავშირებით მხოლოდ ოპოზიციის მიერ დასმულ შეკითხვებს;
- პარლამენტის ვებგვერდზე დეპუტატის კითხვის საძიებო სისტემას შეზღუდული ფუნქციები აქვს. ასევე, მონაცემები არ არის გამოქვეყნებული ღია ფორმატით, რაც ამცირებს მათი პროაქტიული და სრულყოფილი ანალიზის შესაძლებლობას.

კომიტეტის მიერ ინფორმაციის გამოთხოვნა

- კომიტეტები ნაკლებად იყენებენ საკუთარ უფლებამოსილებას, ინფორმაციის გამოთხოვნისას ადრესატს პასუხის გაცემის ვადა დაუდგინონ;
- კომიტეტების მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია მათ ზოგჯერ არა წერილობით, არამედ ზეპირად ეცნობებათ სხდომაზე;
- თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს საანგარიშო პერიოდში ინფორმაციის მოთხოვნის უფლებამოსილებით არ უსარგებლია.

კომიტეტის სხდომაზე თანამდებობის პირის დაბარება (სავალდებულო დასწრება)

- რეგლამენტით, ერთი და იმავე პირის განმეორებით დაბარება 2 თვის განმავლობაში ნებისმიერი კომიტეტის სხდომაზე დაუშვებელია, რაც უარყოფითად მოქმედებს ამ მექანიზმის ეფექტიანობაზე;
- სხვა თანამდებობის პირებისგან განსხვავებით, პრემიერ-მინისტრის, გენერალური პროკურორის ან/და სუს-ის უფროსის სხდომაზე მოწვევა შესაძლებელია მხოლოდ კომიტეტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, რაც ოპოზიციის მიერ მათ დაბარებას, ფაქტობრივად, გამორიცხავს. ამასთანავე, საანგარიშო პერიოდში ისინი კომიტეტის სხდომაზე არ დაუბარებიან;
- თანამდებობის პირებს იშვიათად იბარებენ კომიტეტები თავიანთ სხდომებზე;
- თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს საანგარიშო პერიოდში არ გამოუყენებია თანამდებობის პირის კომიტეტის სხდომაზე დაბარების მექანიზმი;
- ფრაქციები თითქმის არ იყენებენ საკუთარ უფლებამოსილებას, კომიტეტის სხდომაზე დაიბარონ თანამდებობის პირები;

- 2021 წლის საშემოდგომო სესიის პერიოდში ფრაქციის მიერ დაბარებული თანამდებობის პირი (საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი) კომიტეტის სხდომაზე არ გამოცხადდა. მიზეზად დასახელდა ის, რომ მინისტრის საათის ფარგლებში იგი უკვე იყო დაბარებული პარლამენტში.

კომიტეტის სამოქმედო გეგმა და თემატური მომხსენებელი

- ზოგიერთი კომიტეტი თავის სამოქმედო გეგმას არ დებს პარლამენტის ვებგვერდზე;
- კომიტეტების სამოქმედო გეგმების სტრუქტურა არაერთგვაროვანია;
- კომიტეტის თემატურ მომხსენებლებად უფრო ხშირად რეგისტრირდებიან უმრავლესობის წევრები, ვიდრე ოპოზიციის;
- სამოქმედო გეგმაში საკითხთა უმრავლესობაზე თემატურ მომხსენებლებად განსაზღვრულნი არიან კომიტეტის თავმჯდომარე და მისი პირველი მოადგილე, რაც კომიტეტის წევრებს შორის შრომის გადანაწილების პრინციპს ეწინააღმდეგება;
- ზოგ შემთხვევაში კომიტეტის სამოქმედო გეგმით არ არის განსაზღვრული მომხსენებლის სახელი და გვარი. ამის საპირისპიროდ, ტექსტში გამოყენებულია ზოგადი ტერმინები, მაგალითად, „კომიტეტის წევრი“;
- თემატური მომხსენებლები თითქმის ყოველთვის არღვევენ საკუთარ ვალდებულებას, კომიტეტს წარუდგინონ მოხსენებები მათ მიერ შერჩეულ თემატიკაზე.

ნდობის ჯგუფი

- ნდობის ჯგუფი არ არის სრულად დაკომპლექტებული;
- რეგლამენტი, ნდობის ჯგუფის მონიტორინგის ვიზიტი რომელიმე დაწესებულებაში საჭიროებს ამ ორგანოს წინასწარ გაფრთხილებას, რაც ამ ინსტრუმენტის არაეფექტიანობას განაპირობებს.

თემატური მოკვლევის ჯგუფი

- თემატური მოკვლევის ჯგუფის დაკომპლექტების პრინციპი რეგლამენტით არ არის განსაზღვრული;
- საანგარიშო პერიოდში თემატური მოკვლევის ჯგუფი არ შეუქმნია თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს;
- ერთობლივი თემატური მოკვლევის ჯგუფს ხშირად კომიტეტები ქმნიან, რაც ბიუროს უფლებამოსილებაა;
- ზოგ შემთხვევაში თემატური მოკვლევის ჯგუფის წევრები არ არიან მისი შემქმნელი სუბიექტის წევრები;
- თემატური მოკვლევის ჯგუფებს უჭირთ დასკვნისთვის მოსამზადებლად გათვლილი ვადების დაცვა;
- თემატური მოკვლევის ჯგუფები ზოგჯერ არასწორ ადრესატს გადასცემენ საკუთარ დასკვნებს;
- თემატური მოკვლევის ჯგუფების მიერ მომზადებული დასკვნების პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვის შედეგად რეკომენდაციები არ მიიღება;
- კომიტეტის სამუშაო ჯგუფის წევრობა სავალდებულო არ არის დარგის ექსპერტთათვის.

III. უსაფრთხოების საქმეებზე საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელობა

უსაფრთხოების სექტორი პასუხისმგებელია სამინაო და საგარეო საფრთხეებისგან ერის დაცვაზე.³ მისი მიზანია, შეინარჩუნოს მშვიდობა და სტაბილურობა, რათა საჯარო ინსტიტუციებმა თავიანთი ფუნქციები შეასრულონ ჯეროვნად და დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპების დაცვით, მათ შორის, კანონის უზენაესობის, ხელისუფლების დანაწილების წესისა და ძირითადი უფლებების პატივისცემით.⁴ უსაფრთხოების სექტორი მოიცავს ყველა იმ ძირითად სახელმწიფო ინსტიტუციას, რომლებიც აღჭურვილია სახელმწიფოსა და მოქალაქეების დაცვის ფორმალური მანდატით ძალადობისა და იძულებისგან.⁵ უსაფრთხოების სექტორის მართვა სახელმწიფო დონეზე აერთიანებს ორ ძირითად კონცეფციას - „უსაფრთხოება“ და „მართვა“.⁶ ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ უსაფრთხოება არა უბრალოდ უნდა იმართოს, არამედ თავად მართვა უნდა იყოს დემოკრატიული. ამიტომ, შემოთავაზებულია ხუთი ძირითადი განზომილება, რომლებიც იცოროპორირებულია უსაფრთხოების სექტორის დემოკრატიულ მმართველობაში.⁷ ესენია: ჰორიზონტალური პასუხისმგებლობა, ვერტიკალური პასუხისმგებლობა, კანონის უზენაესობა, წარმომადგენლობითობა და გამჭვირვალობა.⁸ კვლევის მიზნებისთვის განხილულია მხოლოდ ჰორიზონტალური პასუხისმგებლობის განზომილება. იგი გულისხმობს სახელმწიფო ინსტიტუტების უნარს, გააკონტროლონ, შეისწავლონ, დააკვირდნენ უსაფრთხოების პოლიტიკას, ასევე იმ აქტორებისა და ინსტიტუციების გადაწყვეტილების მიღების პროცესს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ძალის გამოყენებაზე.⁹ ჰორიზონტალური პასუხისმგებლობა შეიძლება მრავალმხრივ განხორციელდეს,¹⁰ მათ შორის, საპარლამენტო ზედამხედველობის ქრილშიც.¹¹

დღეისათვის უსაფრთხოების სამსახურებისთვის მთავარ გამოწვევად რჩება დემოკრატიული კონტროლი და გამჭვირვალობა.¹² საკუთარი ფუნქციების განხორციელებისას, უსაფრთხოების სექტორი ვალდებულია, იყოს კონტროლის ობიექტი იმათგან, ვინც ხალხის ინტერესებს წარმოადგენენ და დემოკრატიული პროცესის შედეგად წარმოიქმნენ.¹³ ეს კი მიუთითებს საპარლამენტო ზედამხედველობის აუცილებლობაზე. რაც უფრო ფარული აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობა, მით უფრო იზრდება მასზე ჯეროვანი კონტროლის საჭიროება. ზედამხედველობა შესაძლებელია ორი მიმართულებით: 1) პლენარულ სხდომაზე და 2) სპეციალური კომიტეტების მეშვეობით.¹⁴

უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლი, ერთი მხრივ, მოიცავს საკანონ-

³ Marc Bantinck, Parliamentary oversight of the security sector, European Parliament, Office for the Promotion of Parliamentary Democracy, (OPPD), 2013, 12, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/42w0KBn>, განახლებულია: 23.03.2023.

⁴ Ibid.

⁵ Benjamin Adeniran Aluko, Enhancing Parliamentary Oversight for Effective Security Sector Reform in Democratic Nigeria, GJDS, Vol. 12, No. 1 & 2, 2015, 179.

⁶ Mladen Lišanin, Security Sector Reform in the Post-Authoritarian Environment, ნაშრომი: *Wester Balkans Security Observer*, Marko Žilović ed., Journal of the Belgrade Centre for Security Policy, N18, 2010, 6.

⁷ Filip Ejodus, Democratic Security Sector Governance in Serbia, Peace Research Institute Frankfurt, PRIF-Reports No. 94, 2010, 4.

⁸ Ibid.

⁹ Ibid.

¹⁰ მაგალითად, სამოქალაქო კონტროლის, სასამართლო ხელისუფლების და დამოუკიდებელი ორგანიზაციების მიერ.

¹¹ Filip Ejodus, დასახელებული ნაშრომი, 4.

¹² თამარ ხიდაშელი და სხვები, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, კომპეტენციათა დუბლირება და პარალელური საგამოძიებო სისტემები საქართველოში, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, 2020, 1, ხელმისაწვდომია: <https://www.democracyresearch.org/geo/367/>, განახლებულია: 28.02.2023.

¹³ Marc Bantinck, დასახელებული ნაშრომი, 12.

¹⁴ Benjamin Adeniran Aluko, დასახელებული ნაშრომი, 179.

მდებლო ორგანოს როლს, მიიღოს შესაბამისი კანონმდებლობა, დაარეგულიროს და განსაზღვროს სხვადასხვა ორგანოს ფუნქციები და უფლებამოსილებების მასშტაბი, ხოლო, მეორე მხრივ, დაიბაროს მათი ხელმძღვანელები და პასუხი მოსთხოვოს განხორციელებული ქმედებებისთვის.¹⁵ ასევე, კონტროლის ფარგლებში პარლამენტი შეისწავლის უსაფრთხოების სექტორის ინსტიტუტების ეფექტიანობას.¹⁶

სპეციალური კომიტეტები კონტროლის უფრო ქმედითი მექანიზმია.¹⁷ მათი ექსპერტიზა უკეთ დასაბუთებული და უფრო ქმედითი გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას იძლევა.¹⁸ საკანონმდებლო ორგანოს ასევე შეუძლია, შექმნას ad hoc კომიტეტები, რათა ჩაატაროს მოსმენები და პირები მოიწვიოს მოწმეების სახით ჩვენების მისაცემად.¹⁹ კარგ პრაქტიკად მიიჩნევა ამ კომიტეტებში ოპოზიციის ჩართულობა, რაც აზღვევს გასაიდუმლოებული ინფორმაციის ბოროტად გამოყენების რისკებს ხელისუფლებაში მყოფი პარტიის მხრიდან.²⁰

საქართველოში უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის განხილვამდე, დოკუმენტში აღწერილია საქართველოს X მოწვევის პარლამენტის დაკომპლექტებასთან დაკავშირებული პოლიტიკური პროცესები და ძირითადი ტენდენციები.

¹⁵ Ibid, 181.

¹⁶ Marc Bantinck, დასახელებული ნაშრომი, 14.

¹⁷ Ibid, 17.

¹⁸ Ibid.

¹⁹ Ibid.

²⁰ Ibid, 28.

IV. პარლამენტი 2020 წლის არჩევნების შემდეგ

2020 წლის საპარლამენტო არჩევნები 31 ოქტომბერს ჩატარდა, ხოლო შედეგები ცესკომ დეკემბერში შეაჯამა. საარჩევნო ბარიერი 9 სუბიექტმა გადალახა.²¹ მათგან უმრავლესობას - 90, ხოლო ოპოზიციას 60 მანდატი შეხვდა.²² ოპოზიციის წარმომადგენლები არჩევნების შედეგებს არ დაეთანხმნენ,²³ რაც, საბოლოოდ, მათ მიერ მანდატების დატოვების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში გადაიზარდა.²⁴ ამ კრიზისის აღმოსაფხვრელად, პარალელურ რეჟიმში, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის ელჩების მონაწილეობით, მოლაპარაკებების რამდენიმე რაუნდი ჩატარდა.²⁵ ოთხი რაუნდის შემდეგ ოპოზიციამ 4 მოთხოვნა დააყენა: 1) პოლიტიკური პატიმრების გამომშვება, 2) 2021 წელს რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა, 3) საარჩევნო სისტემის მოდიფიცირება და 4) საარჩევნო ადმინისტრაციის ცვლილება.²⁶ 2021 წლის იანვარში პარლამენტმა 51 ოპოზიციონერი დეპუტატის მოთხოვნა მანდატების შეწყვეტის თაობაზე არ დააკმაყოფილა,²⁷ რაც, ზოგიერთი კონსტიტუციონალისტის შეფასებით, არაკონსტიტუციური იყო.²⁸ აღსანიშნავია, რომ არჩევნების შემდგომ 2021 წლის მარტამდე ოპოზიციის ბოიკოტის რეჟიმში იმყოფებოდა.²⁹ პარლამენტმა, ფრაქცია „ქართული ოცნების“ ინიციატივით, თებერვალში შექმნა 31 ოქტომბრის არჩევნების შემსწავლელი საგამოძიებო კომისია.³⁰ დროებით საგამოძიებო კომისიას 3-თვიანი ვადა 17 მაისს ეწურებოდა, თუმცა მას ამ დრომდე არცერთი სხდო-

²¹ ეს სუბიექტები არიან: ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო, ბლოკი ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიციის „ძალა ერთობაშია“, „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“, „ლელო - მამუკა ხაზარაძე“, საარჩევნო ბლოკი გიორგი ვაშაძე - „სტრატეგია აღმაშენებელი“, დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გირჩი, ალექსო ელისაშვილი - მოქალაქეები, შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგების შემსწავლელი ოქმი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/265324>, განახლებულია: 31.03.22.

²² სუბიექტებმა შემდეგი რაოდენობის მანდატები მიიღეს: ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო - 90, ბლოკი ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიციის „ძალა ერთობაშია“ - 36, „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ - 5, „ლელო - მამუკა ხაზარაძე“ - 4, საარჩევნო ბლოკი გიორგი ვაშაძე - „სტრატეგია აღმაშენებელი“ - 4, დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი - 4, გირჩი - 4, ალექსო ელისაშვილი - მოქალაქეები - 2, შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია - 1 მანდატი. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგების შემსწავლელი ოქმი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/265324>, განახლებულია: 31.03.22.

²³ მარიამ ლაცაბიძე, თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში, საინფორმაციო ბიულეტენი №14, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ნოემბერი, 2020, 5, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/2p8sfyaz>, განახლებულია: 06.04.22.

²⁴ იქვე, 5-6.

²⁵ იქვე, 6-7.

²⁶ „ფორმულას ექსკლუზივი: რას სთავაზობს ოპოზიციის ხელისუფლებას - დოკუმენტი“, ტელეკომპანია „ფორმულას“ ვებგვერდი, 2020 წლის 6 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/2p99u4db>, განახლებულია: 06.04.22.

²⁷ ნანა ყრუაშვილი, თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში, საინფორმაციო ბიულეტენი №17, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თებერვალი, 2021, 3, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/yeyvwnbr>, განახლებულია: 06.04.22.

²⁸ „ოცნება“ გზაჯვარედინზე? არალეგიტიმური პარლამენტი თუ დარღვეული კონსტიტუცია?, „რადიო თავისუფლება“, 2021 წლის 1-ლი თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31080589.html>, განახლებულია: 06.04.22.

²⁹ ნანა ყრუაშვილი, საინფორმაციო ბიულეტენი №17, 4.

³⁰ „პარლამენტმა 31 ოქტომბრის არჩევნების შემსწავლელი საგამოძიებო კომისიის შექმნას მხარი დაუჭირა“, „civil.ge“, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/398331>, განახლებულია: 06.04.22; საქართველოს პარლამენტის დადგენილება „2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ“, 2021 წლის 17 თებერვალი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/21381>, განახლებულია: 27.02.2023.

მა არ ჰქონდა ჩატარებული.³¹ საპარლამენტო უმრავლესობამ ეს იმით ახსნა, რომ ისინი პარლამენტში ოპოზიციის შესვლას და მუშაობის მათთან ერთად დაწყებას ელოდებოდნენ.³² საგამოძიებო კომისიის პარლამენტმა ვადა ერთი თვით გაუხანგრძლივა.³³ კომისიამ მუშაობა 2021 წლის 26 ივლისს დაასრულა და დასკვნა, პლენარული სხდომის დღის წესრიგში შესატანად, ბიუროს წარუდგინა.³⁴

პარალელურად, პარტიებს „მოქალაქეებსა“ და „ქართულ ოცნებას“ შორის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის საფუძველზეც, „მოქალაქეების“ წევრები პარლამენტში შესვლას დასთანხმდნენ.³⁵ მემორანდუმის შინაარსი საარჩევნო ნორმების ცვლილებას ეხებოდა, მათ შორის, კონსტიტუციის დონეზეც.³⁶ მარტის დასაწყისში შეთანხმებით გათვალისწინებულ საკითხებზე „ქართული ოცნებისა“ და „მოქალაქეების“ წარმომადგენლებმა საარჩევნო კოდექსის ცვლილებები დაარეგისტრირეს. 2021 წლის 28 ივნისს პარლამენტმა ისინი მე-3 მოსმენით მიიღო.³⁷ ამ პროცესებთან ერთად, მზადება დაიწყო საკონსტიტუციო შესწორებების მოსამზადებლად.³⁸ 2021 წლის 29 ივნისს პარლამენტში დარეგისტრირდა კონსტიტუციური კანონის პროექტი, რომლითაც იცვლება: ბარიერი მომდევნო ორი არჩევნებისთვის; მიმდინარე და მომდევნო ორი მოწვევის პარლამენტში ფრაქციის შექმნისთვის საჭირო დეპუტატთა რაოდენობა;³⁹ მომდევნო ორი მოწვევის პარლამენტში გენერალური პროკურორის არჩევის წესი; ასევე უქმდებოდა 2020 წლის საკონსტიტუციო შესწორებით დადგენილი პარლამენტის რიგგარეშე არჩევნების ჩატარების დროებითი წესი 2024 წლამდე.⁴⁰ 2021 წლის 16-17 აგვისტოს ჩატარდა საერთო სახალხო განხილვა

³¹ ნანა ყრუაშვილი, თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში, საინფორმაციო ბიულეტენი №20, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მაისი, 2021, 6, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/2p8dj4jh>, განახლებულია: 06.04.22.

³² „31 ოქტომბრის არჩევნების შედეგების შემსწავლელ პარლამენტის დროებით საგამოძიებო კომისიის მუშაობა ამ დრომდე არ დაუწყია“, ინტერპრესნიუსი, 2021 წლის 14 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3KDxodZ>, განახლებულია: 27.02.2023.

³³ საქართველოს პარლამენტის 2021 წლის 10 ივნისის №634-IVმს-Xმპ დადგენილება „2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ“, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/22214>, განახლებულია: 27.02.2021.

³⁴ 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემსწავლელი საგამოძიებო კომისიის 2021 წლის 21 ივლისის №2-10244/21 წერილი საქართველოს პარლამენტის ბიუროს, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/279336>, განახლებულია: 06.04.22.

³⁵ „რა წერია „ოცნებისა“ და „მოქალაქეების“ მემორანდუმში“, ტელეკომპანია „ფორმულას“ ვებგვერდი, 2021 წლის 21 იანვარი, ხელმისაწვდომია: <https://formulanews.ge/News/44426>, განახლებულია: 06.04.22.

³⁶ მარიამ ლავაბიძე, თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში, საინფორმაციო ბიულეტენი №16, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, იანვარი, 2021, 3, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/5n6b8zxa>, განახლებულია: 06.04.22.

³⁷ „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“, საქართველოს პარლამენტის წევრები: შალვა პაპუაშვილი, ლევან იოსელიანი, ალექსანდრე ელისაშვილი, ფრიდონ ინჯია, კახაბერ კუჭავა, ნიკოლოზ სამხარაძე, ავთანდილ ენუქიძე, ანრი ოხანაშვილი, დავით მათიკაშვილი, მამუკა მდინარაძე, ირაკლი ჩიქოვანი, №07-3/39/10, 02.03.2021, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/21736>, განახლებულია: 27.02.2023.

³⁸ ნანა ყრუაშვილი, თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში, საინფორმაციო ბიულეტენი №18, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მარტი, 2021, 7-9, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/3rmvlyktv>, განახლებულია: 06.04.22.

³⁹ „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კონსტიტუციური კანონის პროექტი, საქართველოს პარლამენტის 91 წევრი, №07-3/92/10, 29.06.2021, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/22438>, განახლებულია: 06.04.22.

⁴⁰ საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 29.06.2020, სარეგისტრაციო კოდი: 010010000.01.001.016015, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4904761?publication=0>, განახლებულია: 06.04.22.

თბილისსა და ქუთაისში. განხილვის შედეგები წარედგინა პარლამენტს.⁴¹ კონსტიტუციური კანონის პროექტი პირველი მოსმენით პარლამენტმა 7 სექტემბერს მიიღო.⁴² კანონპროექტი კვლავაც ელოდება მეორე და მესამე მოსმენით მიღებას. იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა ბიუროს 3-ჯერ მიმართა ვადის გახანგრძლივების თაობაზე,⁴³ რაც ყველა ჯერზე დაკმაყოფილდა.⁴⁴ 2022 წელს კი საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა ცალკე კონსტიტუციური კანონის პროექტი დააინიცირეს, რომელშიც მხოლოდ გენერალური პროკურორის არჩევის წესი გამოიყო.⁴⁵ პარლამენტმა იგი პირველი მოსმენით მიიღო, მოგვიანებით კი, ბიურომ მისი მეორე მოსმენის განხილვისთვის დადგინდა ვადა გაახანგრძლივა.⁴⁶

საპარლამენტო კრიზისის ერთგვარი სამთავრობო კრიზისიც დაერთო. 2021 წლის 18 თებერვალს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია თანამდებობიდან გადადგა. ამის მიუხედავად მან ოპოზიციური პარტიის ლიდერის ნიკა მელიას დაკავებაზე საკუთარი გუნდისგან განსხვავებული პოზიცია დაასახელა.⁴⁷ იმავე დღეს მმართველმა პარტიამ პრემიერ-მინისტრობის ახალ კანდიდატად ირაკლი ღარიბაშვილი წარადგინა. მის მიერ დაკომპლექტებულ მთავრობას ნდობა პარლამენტმა 22 თებერვალს გამოუცხადა.⁴⁸ მომდევნო დღეს კი ნიკა მელია დააკავეს.⁴⁹ მას პროკურატურა 20 ივნისს ძალადობრივი ჯგუფის შექმნას ედავებოდა.⁵⁰ დაკავებამდე სასამართლოს მისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით 30

⁴¹ „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის (№07-3/92/10, 29.06.2021) საყოველთაო-სახალხო განხილვის შემაჯამებელი ოქმი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/282167>, განახლებულია: 06.04.22.

⁴² პირველი მოსმენის კენჭისყრის ანგარიში „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტზე (№07-3/92/10, 29.06.2021), საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/282363>, განახლებულია: 06.04.22.

⁴³ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2021 წლის 17 სექტემბრის №2-12071/21 წერილი პარლამენტის ბიუროს, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/283109>, განახლებულია: 05.04.22; იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2021 წლის 5 ნოემბრის №2-13935/21 წერილი პარლამენტის ბიუროს, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/284875>, განახლებულია: 05.04.22; იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2022 წლის 31 იანვრის №2-832/22 წერილი პარლამენტის ბიუროს, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/293538>, განახლებულია: 05.04.22.

⁴⁴ საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2021 წლის 5 ოქტომბრის №86/14 გადაწყვეტილება, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/283111>, განახლებულია: 05.04.22; საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2021 წლის 8 ნოემბრის №91/14 გადაწყვეტილება, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/284877>, განახლებულია: 05.04.22; საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2022 წლის 31 იანვრის №116/29 გადაწყვეტილება, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/293798>, განახლებულია: 05.04.22.

⁴⁵ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, საქართველოს პარლამენტის 80 წერილი, №07-3/234/10, 31.08.2022, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/24570>, განახლებულია: 21.12.22.

⁴⁶ საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2022 წლის 14 ნოემბრის №198/12 გადაწყვეტილება, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/311369>, განახლებულია: 21.12.22.

⁴⁷ ნანა ყრუაშვილი, საინფორმაციო ბიულეტენი №17, 13.

⁴⁸ საქართველოს პარლამენტის 2021 წლის 22 თებერვლის №243-IVმს-Xმპ დადგენილება „საქართველოს მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების შესახებ“, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/21626>, განახლებულია: 27.02.2023.

⁴⁹ „ნიკა მელია დააკავეს - რა უნდა გამოგრჩეს 23 თებერვალს“, რადიო თავისუფლება, 2021 წლის 23 თებერვლი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3KPlcqm>, განახლებულია: 27.02.2023.

⁵⁰ იქვე.

ათასი ლარის ოდენობის გირაო ჰქონდა შეფარდებული.⁵¹ მას ასევე შეზღუდული ჰქონდა საჯარო სივრცეში სიტყვით გამოსვლა, ხოლო მისი გადაადგილება ელექტრონული სა-მაჯურით კონტროლდებოდა.⁵² ერთ-ერთ საპროტესტო აქციაზე მან სამაჯური მოიხსნა.⁵³ ამის შემდეგ პროკურატურამ გირაოს გაზრდილი ოდენობა - 70 ათასი ლარი მოითხოვა.⁵⁴ თანხის გადაუხდელობის გამო, პროკურატურამ პარლამენტს მელიასთვის დეპუტატის იმუნიტეტის მოხსნის თაობაზე მიმართა,⁵⁵ რაც პარლამენტმა დააკმაყოფილა.⁵⁶ ამ პროცესებმა მელიას დაკავება გამოიწვია.

2021 წლის 21 იანვარს საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი/ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბორელი საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს შეხვდა.⁵⁷ მან საზი გაუსვა პოლიტიკურ მხარეებს შორის კონსენსუსის აუცილებლობას.⁵⁸ კრიზისის აღმოსაფხვრელად მარტში საქართველოში ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი ჩამოვიდა, რომელმაც პროცესის ფასილიტაცია სცადა.⁵⁹ 19 აპრილს პარტიების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ევროპული საბჭოს პრეზიდენტის შარლ მიშელის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტს.⁶⁰ მართალია, დოკუმენტი ბოლომდე არ ასახავდა ჩართული მხარეების ყველა მოთხოვნასა და ინტერესს, თუმცა კომპრომისი სწორედ ასეთ შეუთანხმებელ საკითხებზე

⁵¹ „პროკურატურამ ნიკა მელიასთვის ადვოკატის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის შეცვლასთან დაკავშირებით სასამართლოს მიმართა“, პირველი არხი, 2021 წლის 9 მაისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Y6ousn>, განახლებულია: 27.02.2023; „აღარ ვაპირებ ტარებას“ - ნიკა მელიამ აქციაზე ელექტროსამაჯური მოიხსნა, On.ge, 2020 წლის 1-ლი ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://go.on.ge/1w3n>, განახლებულია: 05.02.22.

⁵² „სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ნიკა მელიას ელექტრონული სამაჯურის ტარება მოუწევს“, რადიო თავისუფლება, 2019 წლის 2 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/30032819.html>, განახლებულია: 27.02.2023.

⁵³ „ნიკა მელიამ ელექტრონული სამაჯური მოიხსნა და ხალხში გადააგდო“, რადიო თავისუფლება, 2020 წლის 1-ლი ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/30924199.html>, განახლებულია: 02.05.22.

⁵⁴ „ნიკა მელიას 70 ათასი ლარის გირაო შეეფარდა“, On.ge, 2020 წლის 3 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://go.on.ge/1wao>, განახლებულია: 03.05.22.

⁵⁵ „მელიას დაპატიმრებისთვის პროკურატურამ პარლამენტს მიმართა“, On.ge, 2021 წლის 12 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://go.on.ge/22vm>, განახლებულია: 03.05.22.

⁵⁶ საქართველოს პარლამენტის 2021 წლის 16 თებერვლის №169-IVმს-Xმპ დადგენილება „საქართველოს პარლამენტის წევრის ნიკანორ მელიას მიმართ გამოყენებული ადვოკატის ღონისძიების - პატიმრობის გამოყენების მიზნით სასამართლოსათვის მიმართვაზე საქართველოს გენერალური პროკურორისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/21590>, განახლებულია: 27.02.2023.

⁵⁷ „ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი / ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბორელი პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს შეხვდა“, The Diplomatic Service of the European Union, 2021 წლის 21 იანვარი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3lxH5j5>, განახლებულია: 23.03.2023.

⁵⁸ იქვე.

⁵⁹ „ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი საქართველოს ეწვია“, ევროკავშირის წარმომადგენელი საქართველოში, 2021 წლის 2 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3lHKPPP>, განახლებულია: 23.03.2023.

⁶⁰ „ქართულ ოცნებასთან“ ერთად, დოკუმენტს ხელი მოაწერა ოპოზიციის 16-მა წარმომადგენელმა: სალომე სამადაშვილმა (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, მან დოკუმენტს ხელი მოაწერა, როგორც ინდივიდუალურმა დეპუტატმა), ხათუნა სამნიძემ (რესპუბლიკური პარტია), დავით ბაქრაძემ (ევროპული საქართველოს ყოფილი თავმჯდომარე), შალვა შავგულიძემ (ევროპული საქართველო), არმაზ ახვლედიანმა (ევროპული საქართველო), მამუკა ხაზარაძემ (ლელო საქართველოსთვის), ბადრი ჯაფარიძემ (ლელო საქართველოსთვის), დავით უსუფაშვილმა (ლელო საქართველოსთვის), ანა ნაცვლიშვილმა (ლელო საქართველოსთვის), გიორგი ვაშაძემ (სტრატეგია აღმაშენებელი), პაატა მანჯგალაძემ (სტრატეგია აღმაშენებელი), თეონა აქუბარდიამ (სტრატეგია აღმაშენებელი), ზურაბ ჯაფარიძემ (გირჩი - მეტი თავისუფლება), იაგო ხვიჩიამ (გირჩი), ვახტანგ მეგრელიშვილმა (გირჩი), ალექსანდრე რაქვიაშვილმა (გირჩი). „ქართულმა ოცნებამ და ოპოზიციის ნაწილმა ევროკავშირის კომპრომისულ დოკუმენტს ხელი მოაწერეს“. იხ. ნანა ყრუაშვილი, თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში, საინფორმაციო ბიულეტენი №19, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, აპრილი, 2021, 4-6, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/55wrcueb>, განახლებულია: 06.04.22.

დათმობასა და კონსენსუსის მიღწევას გულისხმობდა.⁶¹ დოკუმენტი 5 ძირითად საკითხს⁶² მოიცავდა, მათ შორის, პარლამენტში ძალაუფლების განაწილებას უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის.⁶³ აღებული ვალდებულების მიუხედავად, საკანონმდებლო ორგანოს რეგლამენტში შესაბამისი ცვლილებები არ შესულა. შედეგად კი, საპარლამენტო თანამდებობების დიდ ნაწილს კვლავ უმრავლესობის წევრები იკავებენ. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ოპოზიციური პარტია ამ შეთანხმებას თავიდანვე არ შეუერთდა.⁶⁴ ხელმომწერი ოპოზიციური პარტიები პარლამენტში შესვლას დასთანხმდნენ.⁶⁵ ნიკა მელიას პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ პარლამენტში შესვლა გადაწყვიტა „ნაციონალურმა მოძრაობამაც“.⁶⁶

საბოლოოდ, მეათე მოწვევის პარლამენტის ფუნქციონირება უჩვეულო რეჟიმში წარიმართა. თითქმის ორი სესია საკანონმდებლო ორგანო ოპოზიციის გარეშე მუშაობდა. უფლებამოსილების ცნობიდან 2021 წლის საგაზაფხულო სესიის ბოლომდე დეპუტატის კითხვით 8-ჯერ მიმართეს ანგარიშვალდებულ ორგანოს.⁶⁷ აქედან 2 შემთხვევაში ავტორი ოპოზიციის იყო.⁶⁸ ამ პერიოდში 10 თემატური მოკვლევის ჯგუფი შეიქმნა, რომელთაგანაც დასკვნა 6-მა შეიმუშავა.⁶⁹ გარდა ამისა, დაგეგმილი ექვსივე მინისტრის საათი ჩატარდა,⁷⁰ თუმცა არ გამოყენებულა ინტერპელაციის, ასევე კომიტეტსა ან/და პლენარულ სხდომაზე თანამდებობის პირის დაბარების მექანიზმები.⁷¹

საპარლამენტო ცხოვრება გამოცოცხლდა 2021 წლის საშემოდგომო სესიიდან, როცა საკანონმდებლო ორგანოში უკვე ყველა მსხვილი ოპოზიციური პარტია იყო წარმოდგენილი. ქვემოთ მოცემულია 2021 წლის საშემოდგომო, ასევე 2022 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიებზე საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების გამოყენების კუთხით არსებული მდგომარეობა.

⁶¹ იქვე, 5.

⁶² ესენია: პოლიტიკურად მიჩნეული საქმეებზე რეაგირება, ამბიციური საარჩევნო რეფორმა, კანონის უზენაესობა/სასამართლო რეფორმა, პარლამენტში ძალთა განაწილება და მომავალი, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები.

⁶³ A way ahead for Georgia, point 4 Power Sharing in the Parliament, The Diplomatic Service of the European Union, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3K11siQ>, განახლებულია: 03.05.22.

⁶⁴ ამ პარტიებს მიეკუთვნებოდნენ: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ევროპული საქართველო“, „პატრიოტთა ალიანსი“ და „ლეიბორისტული პარტია“. იხ. ნანა ყრუაშვილი, საინფორმაციო ბიულეტენი №19, 7-8.

⁶⁵ იქვე, 7.

⁶⁶ ნანა ყრუაშვილი, საინფორმაციო ბიულეტენი №20, 4.

⁶⁷ პანდემიის მართვასთან დაკავშირებული საპარლამენტო კონტროლი, დანართი 2, პარლამენტის წევრის კითხვები პანდემიასთან დაკავშირებით, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3FLhMlv>, განახლებულია: 06.04.22.

⁶⁸ ანა ბუჩუკური და თეონა აქუბარდია, პანდემიის მართვასთან დაკავშირებული საპარლამენტო კონტროლი, დანართი 2, პარლამენტის წევრის კითხვები პანდემიასთან დაკავშირებით, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3z6mq9D>, განახლებულია: 06.04.22.

⁶⁹ პანდემიის მართვასთან დაკავშირებული საპარლამენტო კონტროლი, ცხრილი №8, საანგარიშო პერიოდში შექმნილი თემატური მოკვლევის ჯგუფები, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ngRfFY>, განახლებულია: 06.04.22.

⁷⁰ პანდემიის მართვასთან დაკავშირებული საპარლამენტო კონტროლი, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 16, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y8nbzphb>, განახლებულია: 06.04.22.

⁷¹ იქვე, 16-22.

V. საპარლამენტო კონტროლი პლინარულ სხდომაზე

5.1. სამთავრობო პროგრამა

სამთავრობო პროგრამა მთავრობის საქმიანობის სახელმძღვანელო დოკუმენტია.⁷² მასთან მიმართებით საპარლამენტო კონტროლის ელემენტი ვლინდება, როდესაც დებატების ფორმატში ფასდება პროგრამა და მთავრობას ნდობა გამოეცხადება, ან მასზე უარის თქმა სანქციის ხასიათს იძენს.⁷³ ამ დოკუმენტს არა მარტო პოლიტიკური, არამედ მნიშვნელოვანი სამართლებრივი როლიც გააჩნია. ზოგიერთ ქვეყანაში მას კავშირი აქვს ინვესტიტურასთან (ნდობის გამოცხადება). ბრიტანეთში ნდობა გამოეცხადება მხოლოდ სამთავრობო პროგრამას, ესპანეთში - პრემიერ-მინისტრსა და პროგრამას ერთდროულად,⁷⁴ პორტუგალიასა და რუმინეთში - სამთავრობო პროგრამას და მთავრობის შემადგენლობას ერთად, ხოლო ბელგიაში - როგორც პროგრამას, ისე მთავრობას და პრემიერს.⁷⁵ როგორც წესი, ეს დოკუმენტი კაბინეტის მთელი უფლებამოსილების ვადას მოიცავს, თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც აღმასრულებელი ხელისუფლების ბირთვი მას მხოლოდ ერთი წლით წარადგენს.⁷⁶

საქართველოში ნდობა გამოეცხადება პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის მიერ დასახელებულ მთავრობის შემადგენლობას,⁷⁷ თუმცა სავალდებულოა სამთავრობო პროგრამის წარდგენაც.⁷⁸ ქვემოთ მოცემულია ირაკლი დარიბაშვილის კაბინეტის პროგრამაში უსაფრთხოების სექტორის შესახებ არსებული ინფორმაციის ანალიზი.

2021 წლის თებერვალში წარდგენილი სამთავრობო პროგრამა⁷⁹ ეხება საგარეო პოლიტიკის, უსაფრთხოების, კონფლიქტის მოგვარებისა და ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით ზოგად ხედვებს, აგრეთვე ეკონომიკის, სოციალური პოლიტიკისა და ადამიანური კაპიტალის განვითარების საკითხებს. მასში საუბარია ასევე სახელმწიფო მმართველობაზე. დოკუმენტი 48-გვერდიანია და თითოეულ საკითხს მხოლოდ 1-იდან 4 გვერდამდე ეთმობა. მართალია, საქართველოში სამთავრობო პროგრამასთან დაკავშირებით რაიმე სტანდარტი არ მოქმედებს, თუმცა, უმჯობესია, თუ ის უფრო ვრცელი იქნება, ვინაიდან შემდგომ სწორედ მის შესრულებაზე წარადგენენ ანგარიშებს პრემიერი და მინისტრები და ეს დოკუმენტია ამ ანგარიშების შესრულების შეფასების საზომი.

რაც შეეხება თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებას, დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია თავდაცვის სფეროში გასატარებელ რეფორმებზე,⁸⁰ შინაგან საქმეთა

⁷² ვახუშტი მენაბდე და სხვები, დასახელებული ნაშრომი, 15.

⁷³ ზურაბ მაჭარაძე, მთავრობის საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლი ბიკამერალურ პარლამენტში (ქართულ პერსპექტივასთან კავშირში), დისერტაცია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018, 39, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3EJzghD>, განახლებულია: 28.02.2023.

⁷⁴ Bjørn Erik Rasch, Shane Martin, and José Antonio Cheibub, eds., *Investiture Rules Unpacked in Parliaments and Government Formation: Unpacking Investiture Rules*, Oxford University Press, 2015, 337.

⁷⁵ Ibid.

⁷⁶ Hironori Yamamoto, ed., *Tools for Parliamentary Oversight, A Comparative Study of 88 National Parliaments, Inter-Parliamentary Union*, 2007, 45, ხელმისაწვდომია: <http://www.ipu.org/PDF/publications/oversight08-e.pdf>, განახლებულია: 28.02.2023.

⁷⁷ საქართველოს კონსტიტუცია, 56-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁷⁸ იქვე.

⁷⁹ სამთავრობო პროგრამა 2021-2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“, თებერვალი, 2021, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3njzVA8>, განახლებულია: 28.02.2023.

⁸⁰ ტოტალური თავდაცვის ელემენტების დანერგვასა და მისი სამხედრო კომპონენტის განვითარებაზე ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციისა და საფრთხეების შეფასების დოკუმენტის განახლება; NATO-ს მისიებსა და ოპერაციებში მონაწილეობაზე, საერთო საჯარისო ცენტრის რეფორმაზე, სპეციალური ოპერაციების ძალების სტრუქტურულ და ფუნქციურ რეფორმაზე, რეზერვისა და მობილიზაციის გაუმჯობესებული სისტემის შემუშავებაზე, მათ შორის, დაზვერვისა და კიბერთავდაცვითი საშუალებების გაძლიერებაზე; სამხედრო

სამინისტროში დაგეგმილ ღონისძიებებსა და მთავრობის პრიორიტეტებზე.⁸¹ სამთავრობო პროგრამა არ მოიცავს ხედვას თავდაცვის სექტორის შემადგენელ ისეთ ელემენტებზე, როგორებიცაა სუს-ი, დაზვერვის სამსახური და ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო.

სამთავრობო პროგრამა თავდაცვისა და უსაფრთხოების ნაწილში დიად ტოვებს ზემოთ დასახელებული მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობისა და მოდერნიზების შესახებ ხედვას. აუცილებელია, დოკუმენტში გათვალისწინებული იყოს ამ სფეროში პოლიტიკის წარმართვის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები. ეს პარლამენტს საშუალებას მისცემს, ჯეროვნად გააკონტროლოს მთავრობის წევრები შესაბამისი მექანიზმების გამოყენებით. ამასთანავე, განხილული დოკუმენტი იმეორებს წინა პროგრამების შინაარსს.⁸² რეკომენდებულია, იგი იყოს ყოვლისმომცველი და მაქსიმალურად დაფაროს უსაფრთხოების სექტორის ყველა მნიშვნელოვანი ელემენტი.

5.2. პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური მოხსენება და რიგგარეშე ანგარიში

2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ ძირითადი კანონით პრემიერ-მინისტრს გაუჩნდა ვალდებულება, წელიწადში ერთხელ პარლამენტს წარუდგინოს მოხსენება სამთავრობო პროგრამის შესრულების შესახებ.⁸³ რეგლამენტი შემდგომ აზუსტებს უშუალოდ დღეს, როდესაც მთავრობის მეთაური პარლამენტის წინაშე უნდა წარდგეს. პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტის ბიუროს შორის კოორდინაციის შედეგად, დგინდება მოხსენების თარიღი⁸⁴ - ის უნდა გაიმართოს საგაზაფხულო სესიის პლენარული სხდომების ბოლო თვეში.⁸⁵ მოხსენების შემდეგ პროცედურა გრძელდება კანონპროექტის პირველი მოსმენისთვის დადგენილი წესით, კითხვა-პასუხისა და დებატების რეჟიმში.⁸⁶ საბოლოოდ, პარლამენტმა შეიძლება დადგინდეს მიიღოს.⁸⁷

ეს რეგულაცია ხარვეზიანია, რადგან არჩევნების შედეგად დაკომპლექტებული პარლამენტის მიერ ნდობაგამოცხადებული მთავრობის მეთაურის ანგარიშის მოსმენა არასრულ 1 წელიწადში იმართება. ეს შეიძლება მოხდეს ახალი მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების შემთხვევაში, თუ მოქმედი პრემიერი გადადგება ან მოქმედ კაბინეტს პარლამენტი უნდობლობას გამოუცხადებს. შესაბამისად, არაგონივრულია, რამდენიმე თვის ან თუნდაც კვირის ნდობაგამოცხადებული აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურმა პარლამენტს ყოველწლიური ანგარიში წარუდგინოს. **უმჯობესია, ანგარიშგება დაემთხვეს ნდობის გამოცხადების წლისთავს.**⁸⁸

და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის შექმნასა და სერიულ წარმოებაზე. სამთავრობო პროგრამა 2021-2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“, თებერვალი, 2021, 9-13, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/269496>, განახლებულია: 28.02.2023.

⁸¹ სამინისტროს განვითარება, კიბერუსაფრთხოება და ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლა, სასაზღვრო და საპატრულო პოლიციის რეფორმა; საგანგებო სიტუაციების მართვის მიმართულებით საოპერაციო შესაძლებლობების გაზრდა; სისტემაში კვალიფიციური კადრების მოზიდვის მიზნით ადამიანური რესურსების მართვის ქმედითი სისტემის ჩამოყალიბება. სამთავრობო პროგრამა 2021-2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“, 9-13.

⁸² ყურადსაღებია, რომ მსგავსი შინაარსის სამთავრობო პროგრამა წინა მთავრობასაც ჰქონდა. საიამ მასთან დაკავშირებითაც ანალოგიური რეკომენდაცია გასცა. იხ. ვახუშტი მენაბდე და სხვები, დასახელებული ნაშრომი, 15.

⁸³ საქართველოს კონსტიტუცია, 55-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

⁸⁴ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 150-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁸⁵ იქვე, 1-ლი პუნქტი.

⁸⁶ იქვე, მე-3 პუნქტი.

⁸⁷ იქვე.

⁸⁸ ვახუშტი მენაბდე და სხვები, დასახელებული ნაშრომი, 16.

კონსტიტუციით, გარდა ყოველწლიური სავალდებულო მოხსენებისა, პარლამენტს მიენიჭა შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში, მოთხოვნის საფუძველზე, დაიბაროს პრემიერ-მინისტრი სამთავრობო პროგრამის ცალკეული ნაწილის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის წარსადგენად.⁸⁹ ასეთ დროს საკითხის ინიციატორი შეიძლება იყოს ფრაქცია ან კომიტეტი, ხოლო გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტი დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის 1/3-ისა.⁹⁰ ამ შემთხვევაშიც დადგენილია ზეპირი განხილვის ვალდებულება.⁹¹ მსგავსი მექანიზმი საანგარიშო პერიოდში პარლამენტს არ გამოუყენებია.⁹²

ვინაიდან მოცემული კვლევის საანგარიშო პერიოდი აითვლება 2021 წლის საშემოდგომო სესიიდან, 2021 წლის საგაზაფხულო სესიის ბოლოს პრემიერ-მინისტრის მიერ წარდგენილი ანგარიში ამ ნაშრომში განხილული არ არის.

2022 წლის მოხსენება

კონსტიტუციის შესაბამისად, მთავრობის მეთაური პარლამენტის წინაშე წარდგა 2022 წლის 22 ივნისს.⁹³ მისი გამოსვლა, დაახლოებით, 2 საათი გაგრძელდა.

ირაკლი ღარიბაშვილმა გამოსვლა დაიწყო იმის აღნიშვნით, რომ საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის აღიარება უპრეცედენტო გადაწყვეტილებაა. შემდეგ, კანდიდატის სტატუსის ვერმიღების⁹⁴ მიზეზების ახსნის მიზნით, საუბარი განაგრძო „9-წლიანი რეჟიმის“ სისასტიკეებსა და წინა ხელისუფლების დროს ადამიანის უფლებების დარღვევის ტენდენციებზე. გარდა ამისა, პრემიერ-მინისტრმა კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებისთვის დასავლელი პარტნიორები გააკრიტიკა. მისი თქმით, „საქართველო არ უნდა დაისაჯოს იმის გამო, რომ ქვეყანაში ომი არ არის.“ მან ასევე აღნიშნა, რომ ოპოზიციონერი დეპუტატების დიდი ნაწილი ევროკავშირში დადიოდა და კანდიდატის სტატუსის მიღებაში ხელშეშლას ცდილობდა.

პრემიერმა ისაუბრა სხვადასხვა საერთაშორისო ინდექსზე, რომლებშიც საქართველოს პოზიტიური მაჩვენებლები აქვს და წინ უსწრებს უკრაინას და მოლდოვას. პრემიერის თქმით, მისი გუნდის მიზანია, საქართველო მომდევნო წლებში ყველა წამყვანი გლობალური რეიტინგის ხუთეულში მოხვდეს.

მთავრობის მეთაურმა ილაპარაკა საქართველოს მიერ უკრაინისთვის გაწეულ დახმარებაზე, აგრეთვე იმ მიზეზებზე, თუ რატომ არ შეუერთდა ქვეყანა რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს. ასევე, ახსენა დეოლიგარქიზაციის პრობლემა და პირები, რომლებმაც 2008 წელს ქვეყანა დატოვეს.

⁸⁹ საქართველოს კონსტიტუცია, 55-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

⁹⁰ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 151-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁹¹ იქვე, მე-3 პუნქტი.

⁹² საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 30 მარტის №2373/2-7/23 წერილი.

⁹³ საქართველოს პარლამენტის ოფიციალური youtube-გვერდი, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/6Zw659K>, განახლებულია: 06.10.22.

⁹⁴ 2022 წლის 17 ივნისს ევროკომისიის რეკომენდაციით, ევროპულმა საბჭომ, უკრაინისა და მოლდოვისგან განსხვავებით, საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი არ მიანიჭა. ჩანაწერში კომისიამ ცნო ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა, თუმცა აქვე წარმოადგინა საკითხების ვრცელი სია, რომლებიც საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას აფერხებს. მოგვიანებით განიმარტა, რომ ევროკავშირი საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების საკითხს 2023 წელს კვლავ მიუბრუნდებოდა. იხ. „საზოგადოების დამოკიდებულებები ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოპოვების წარუმატებელი მცდელობის შესახებ“, On.ge, 2022 წლის 6 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://go.on.ge/2zdc>, განახლებულია: 02.11.22.

მთლიანობაში, პრემიერ-მინისტრის გამოსვლა არ შეესაბამებოდა პროცედურის მიზნებს, იყო ზოგადი როგორც შინაარსობრივად, ისე დროის თვალსაზრისით. ყოველწლიური ანგარიშის წარდგენა გულისხმობს ბოლო ერთი წლის განმავლობაში სამთავრობო პროგრამით გათვალისწინებული კონკრეტული ნაბიჯებისა და პროექტების შესახებ საუბარს და არა - დროის განუსაზღვრელ მონაკვეთში, 10 ან 15 წლის წინ მომხდარი ფაქტების ზოგად პოლიტიკურ შეფასებას. პრემიერის გამოსვლის დიდი ნაწილი დაეთმო ოპონენტების კრიტიკას და არა - განხორციელებულ რეფორმებზე სიღრმისეულ მსჯელობას.

ანგარიშის ტექსტური ვერსია⁹⁵ 157 გვერდისგან შედგება და, ბუნებრივია, ის, ზეპირ მოხსენებასთან შედარებით, უფრო ინფორმაციულია. თუმცა, ეს არ ნიშნავს/ამართლებს იმას, რომ პრემიერ-მინისტრმა პარლამენტის წინაშე გამოსვლისას მიმდინარე აქტუალური საკითხებით დატვირთული ანგარიში წარმოადგინოს.

პრემიერ-მინისტრს პარლამენტში გამოსვლისას ოპოზიციონერმა დეპუტატებმა სიტყვა რამდენჯერმე შეაწყვეტინეს. მოხსენების დასრულების შემდგომ პროცედურა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. შეკითხვა დასვა 56-მა დეპუტატმა. აქედან 30 გამომსვლელი წარმოადგენდა ოპოზიციას, ხოლო 26 - მმართველ პარტიას. ოპოზიციის დიდ ნაწილს ჰქონდა პოლიტიკური კითხვები ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით და ისინი არ შეეხებოდა შინაარსობრივ საკითხებს სამთავრობო პროგრამის სხვა მიმართულებებზე. მმართველი პარტიის დეპუტატთა შეკითხვების უდიდესი ნაწილი კი ფორმალური ხასიათის იყო და მიზნად ისახავდა ხელისუფლების საქმიანობის პოზიტიურად წარმოჩენას.

კითხვებზე საპასუხოდ გამოსულმა მთავრობის მეთაურმა განაცხადა, რომ ოპოზიციის დიდი ნაწილი დარბაზში არ იმყოფებოდა. აღსანიშნავია, რომ, რეგლამენტის მიხედვით, ამ პროცედურისთვის 20 წუთია გათვალისწინებული.⁹⁶ პარლამენტის თავმჯდომარემ პრემიერს, საჭიროების შემთხვევაში, დროის განანგრძლივება შესთავაზა. საბოლოოდ, მთავრობის მეთაურის პასუხები 1 საათი და 43 წუთი გაგრძელდა.

მთლიანობაში, პროცედურა წარიმართა მკვეთრად პოლარიზებულ გარემოში. გამომსვლელთა დიდი ნაწილი (როგორც სახელისუფლებო, ასევე ოპოზიციური ფლანგიდან) უშინაარსო, აგრესიულ (ხშირად შეურაცხმყოფელ) რიტორიკას მიმართავდა. შესაბამისად, სამთავრობო პროგრამის არაერთი მიმართულება ყურადღების მიღმა დარჩა. ევროინტეგრაციის თემამ, მნიშვნელოვანწილად, გადაფარა სხვა საკითხები.

რეკომენდებულია, როგორც პრემიერ-მინისტრმა, ისე დეპუტატებმა საკუთარი გამოსვლები მიმართონ სამთავრობო პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებზე, ხოლო მიმდინარე თემები კონტროლის სხვა მექანიზმის ფარგლებში განიხილონ. ასევე, პრაქტიკა მიუთითებს, რომ კითხვებზე პასუხისთვის განკუთვნილი დრო არ არის საკმარისი. ამიტომ, აუცილებელია, პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური ანგარიშის წარდგენისას დეპუტატების კითხვებზე საპასუხოდ განსხვავებული დრო დადგინდეს.

5.3. მინისტრის საათი

მინისტრის საათი ქართული პარლამენტარიზმისთვის ნოვაციაა. იგი 2018 წლის რეგლამენტის რეფორმის შედეგია. მისი დანიშნულებაა, მინისტრს მიეცეს საშუალება, პარლამენტს სამთავრობო პროგრამის შესრულების თაობაზე ერთი წლის ანგარიში წარუ-

⁹⁵ სამთავრობო პროგრამის შესრულების შესახებ პრემიერ-მინისტრის მოხსენება, ივნისი, 2021 - მაისი, 2022, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/LZw68Lz>, განახლებულია: 07.10.22.

⁹⁶ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 150-ე მუხლის მე-3 პუნქტი, 111-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

დგინოს. კაბინეტის წევრთა მოხსენების განრიგს ადგენს პარლამენტის ბიურო⁹⁷ იმ პრინციპით, რომ მინისტრის საათი პლენარული სხდომის პერიოდში ორ კვირაში ერთხელ მაინც ჩატარდეს.⁹⁸ ამასთანავე, პრემიერ-მინისტრის მოხსენების კვირაში მინისტრის საათი არ იმართება.⁹⁹ ამ პროცედურისთვის გამოყოფილია 45 წუთი,¹⁰⁰ შემდეგ კი ის გრძელდება კითხვა-პასუხის რეჟიმში, კანონპროექტის პირველი მოსმენისთვის დადგენილი წესის შესაბამისად.¹⁰¹ მართალია, რეგლამენტი პირდაპირ არ განსაზღვრავს, თუმცა დეპუტატების კითხვები უშუალოდ სამთავრობო პროგრამას უნდა მიემართებოდეს. ამ პროცესში გამორიცხულია დებატები მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე, რადგან ამისთვის სხვა მექანიზმი არსებობს.¹⁰²

წლების განმავლობაში მინისტრის საათის პრობლემური ნაწილი იყო ერთ დღეში რამდენიმე მინისტრის მოსმენა, რაც პროცედურის გადატვირთვას იწვევდა.¹⁰³ საიამ 2022 წლის აგვისტოში პარლამენტს მიმართა რეკომენდაციების ნუსხით საპარლამენტო კონტროლის გაძლიერების თაობაზე. დოკუმენტი ასევე მოიცავდა მინისტრის საათის შესახებ რეკომენდაციას, რომლის მიხედვითაც, სასურველი იყო ერთი დღის განმავლობაში არაუმეტეს 2 მინისტრის საათის გამართვა.¹⁰⁴ საქართველოს პარლამენტმა გაიზიარა საიას მოსაზრება და 2022 წლის 2 ნოემბერს რეგლამენტში შესაბამისი ცვლილება შეიტანა.¹⁰⁵

მინისტრის საათის მექანიზმთან დაკავშირებით ნაწილობრივ ბუნდოვანია, რა მიიჩნევა ამ პროცედურის საანგარიშო პერიოდად. წესით, ეს უნდა იყოს მინისტრის წინა გამოსვლიდან მომდევნო გამოსვლამდე მონაკვეთი. თუმცა, ზოგიერთი მინისტრი მოხსენების დაწყებისას აღნიშნავს, რომ წარმოადგენს გასული წლის საქმიანობის ანგარიშს. **უმჯობესია, ამ კუთხით ერთიანი პრაქტიკა დამკვიდრდეს და კონკრეტული საანგარიშო პერიოდი განისაზღვროს.** ასეთი განმარტება, ერთი მხრივ, დააზღვევს ანგარიშგების უწყვეტობას, ხოლო, მეორე მხრივ, მინისტრებისთვის ცხადი გახდება, რეალურად რა პერიოდზე უნდა წარადგინონ ანგარიში.

მინისტრის საათის პროცედურის შესწავლისას გამოიკვეთა ტენდენცია, რომ საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატები ნაკლებად სვამენ კრიტიკულ კითხვებს და ანგარიშვალდებული მინისტრის მიმართ, ძირითადად, მაღლობის გამონატვიტით შემოიფარგლებიან.

პრაქტიკა მიუთითებს, რომ განხილვის დროს ისმება კონკრეტული უწყების კომპეტენციის სფეროსთან დაკავშირებული კითხვები, თუმცა მათი უმეტესობა სცილდება მინისტრის მოხსენების თემატიკას. დეპუტატები ხშირად არა სამთავრობო პროგრამის, არამედ მიმდინარე პრობლემების თაობაზე ეკითხებიან მინისტრებს. ასეთი მიდგომა არსებობდა მე-9 მოწვევის პარლამენტშიც.¹⁰⁶ საპარლამენტო სამართალში არსებობს სამთავრობო საათის (question time) პროცედურა, რომელიც სწორედ დეპუტატებისთვის იმ დროისთვის აქტუალურ კითხვებზე მინისტრისგან პასუხის მიღებას გულისხმობს. მისი

⁹⁷ იქვე, 153-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁹⁸ იქვე.

⁹⁹ იქვე.

¹⁰⁰ იქვე, მე-3 პუნქტი.

¹⁰¹ იქვე, მე-4 პუნქტი.

¹⁰² მაგალითად, ინტერპელაცია, კომიტეტზე თანამდებობის პირის დაბარება, კითხვა და ა.შ.

¹⁰³ ვახუშტი მენაბდე და სხვები, დასახელებული ნაშრომი, 17-19.

¹⁰⁴ „საიამ პარლამენტს საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესების თაობაზე მოსაზრებები წარუდგინა,“ 2022 წლის 14 აგვისტო, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/yjrvt7rd>, განახლებულია: 07.11.22.

¹⁰⁵ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 153-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁰⁶ ამაზე დაწვრილებით იხ. ვახუშტი მენაბდე და სხვები, დასახელებული ნაშრომი, 19-27.

საშუალებით, პარლამენტსა და საზოგადოებას მათთვის საინტერესო თემებზე ინფორმაცია ღრუოდ მიეწოდება.¹⁰⁷ ამ პროცედურით შესაძლებელია ასევე პრემიერ-მინისტრის დაბარება და მასთან მიმდინარე საკითხების განხილვა. ამის აუცილებლობა აჩვენა მთავრობის მეთაურის ყოველწლიური მოხსენების პროცესის ანალიზმა. „სამთავრობო საათის“ მექანიზმი ხელს უწყობს პოლიტიკური პროცესების გააქტიურებას, სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხის დღის წესრიგში დაყენებას და საზოგადოების ინტერესების ფართო პოლიტიკური სპექტრისთვის მიწოდებას.¹⁰⁸ საია, წლებია, ადვოკატირებს კონტროლის ამ ინსტრუმენტის დამკვიდრებას. შესაბამისად, მინისტრის საათისა და პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური ანგარიშის გადატვირთვისგან თავის ასაცილებლად, რეკომენდებულია, დამკვიდრდეს სამთავრობო საათი.

2021 წლის საშემოდგომო სესია

2021 წლის დასაწყისში დამტკიცებული განრიგის მიხედვით,¹⁰⁹ ამავე წლის საშემოდგომო სესიაზე 6 მინისტრის საათი გაიმართა.¹¹⁰

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის საათი: სახელმწიფო მინისტრ თეა ახვლედიანს პარლამენტში 2021 წლის 18 ნოემბერს მოუსმინეს.¹¹¹ მოხსენება 33 წუთი გაგრძელდა. პროცედურამ, საერთო ჯამში, 4 საათსა და 12 წუთს გასტანა. ოპოზიციონერ დეპუტატთა უმეტესობა სხდომათა დარბაზში არ იმყოფებოდა.¹¹² სამთავრობო პროგრამაში სახელმწიფო მინისტრის უწყების მანდატი საგარეო პოლიტიკის, უსაფრთხოების, კონფლიქტის მოგვარებისა და ადამიანის უფლებების თავშია რეგლამენტირებული.¹¹³ უშუალოდ ამ უწყების კომპეტენციას მიკუთვნებული სფერო რამდენიმე აბზაცს მოიცავს. მინისტრის მოხსენება არსებითად შეეხებოდა სამთავრობო პროგრამაში მოცემულ მიზნებს, ზოგიერთ შემთხვევაში კი უფრო ფართოც იყო. კერძოდ, მინისტრის მოხსენების მიხედვით, მისი უწყებისა და, ზოგადად, სამთავრობო გუნდის ერთიანი პოლიტიკა მიმართულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენ, გაყოფილი საზოგადოების შერიგებისა და ინტეგრაციისკენ. მინისტრმა ისაუბრა სავაჭრო ურთიერთობების აღდგენის მნიშვნელობასა და ამ კუთხით სამინისტროს მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე. ის ასევე შეეხო ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის სტატისტიკას, მათ მიერ სამკურნალო სერვისების მიღების შესაძლებლობას და ამისთვის გათვალისწინებულ ფინანსებს. მინისტრმა ყურადღება გაამახვილა ოკუპირებული ტერიტორიებისთვის საქართველოს მიერ გამოყოფილ დახმარებებზე, როგორც ვაქცინაციის, ისე ვეტერინარული თუ ფაროსანისა წინააღმდეგ საბრძოლველი საშუალებებით მომარაგების პროექტებზე. მან აგრეთვე ისაუბრა 10-წლიანი პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავება-

¹⁰⁷ იქვე, 28.

¹⁰⁸ იქვე.

¹⁰⁹ 2021 წელს მინისტრის საათის (სამთავრობო პროგრამის შესრულების შესაბამისი მიმართულების შესახებ საქართველოს მთავრობის ცალკეული წევრების საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მოხსენების) განრიგი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/21351>, განახლებულია: 28.02.2023.

¹¹⁰ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 აპრილის №3678/2-7/22 წერილი.

¹¹¹ მინისტრის საათი, თეა ახვლედიანი - შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, 2021 წლის 18 ნოემბერი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/supervision/minister-hours>, განახლებულია: 28.02.2023.

¹¹² ყველაზე მსხვილი ოპოზიციური პარტია - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 2021 წლის საშემოდგომო სესიის პერიოდში ბოიკოტის რეჟიმში იმყოფებოდა. ამის მიზეზი პარტიის ლიდერის, მიხეილ სააკაშვილის დაკავება იყო. ფრაქციამ საპარლამენტო მოღვაწეობა 2022 წლის საგაზაფხულო სესიიდან განაახლა.

¹¹³ სამთავრობო პროგრამა 2021-2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“, 6.

ზე, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებაზე, ენის შემსწავლელი და სხვა მხარდამჭერი პროგრამების თაობაზე.

სახელმწიფო მინისტრის მოხსენებასთან დაკავშირებით შეკითხვა დასვა 21-მა დეპუტატმა, მათგან 12 წარმოადგენდა უმრავლესობას, ხოლო 9 - ოპოზიციას. პარლამენტის ერთ-ერთმა ოპოზიციონერმა წევრმა¹¹⁴ აღნიშნა, რომ დარბაზში მინისტრის მოხსენებას ძალიან ცოტა დეპუტატი ესწრებოდა და მას თითქმის არ უსმენდნენ. მინისტრის მიმართ დასმული შეკითხვები, ძირითადად, შეეხებოდა მისი უწყების საქმიანობის სფეროს, თუმცა მათი უმრავლესობა სამთავრობო პროგრამის ამ ნაწილის შესრულებას ნაკლებად უკავშირდებოდა. სხვა მინისტრების მსგავსად, დეპუტატები ამ შემთხვევაშიც ყურადღებას აქტუალურ საკითხებზე ამახვილებდნენ (მათ შორის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსების მიერ მიწების შეძენაზე). მინისტრის მიერ კითხვებზე პასუხის გაცემის დროს პარლამენტის წევრთა უმრავლესობა, მათ შორის, ის დეპუტატები, რომლებმაც შეკითხვა დასვეს, დარბაზში აღარ იმყოფებოდნენ.

საგარეო საქმეთა მინისტრის საათი: დავით ზალკალიანს 19 ნოემბერს მოუსმინეს.¹¹⁵ მინისტრის გამოსვლა 1 საათი და 27 წუთი გაგრძელდა, რაც რეგლამენტით დადგენილ დროს აღემატებოდა. პროცედურა, ჯამში, 3 საათი და 33 წუთი მიმდინარეობდა. მინისტრმა საუბრის დასაწყისში ხაზი გაუსვა სამინისტროს საქმიანობის ძირითად სამოქმედო ჩარჩოს, სხვების მსგავსად, ახსენა განვითარების 10-წლიანი გეგმა, საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის დოკუმენტი, სამთავრობო პროგრამა და საქართველოს პარლამენტის მიერ შემუშავებული შესაბამისი რეზოლუცია საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით. მინისტრმა დაასახელა 10 ძირითადი მიზანი, რომლის მიღწევისკენაც არის კონცენტრირებული საგარეო საქმეთა სამინისტრო და თითოეულ მათგანზე ვრცლად ისაუბრა. მათ შორის იყო: 10-წლიან პერსპექტივაში ქვეყნის დეოკუპაციის პროცესის დაწყება და მისი შეუქცევადობა; 2024 წელს ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის გაკეთება და 2030 წლამდე საბოლოო ინტეგრაციის მიღწევა; ნატოში გაწევრიანება; აშშ-სთან სტრატეგიული პარტნიორობის განვითარება; ევროპის ქვეყნებთან არსებული ფორმატების სტრატეგიულ ფორმატებად გადაქცევა; მეზობელ ქვეყნებთან დაბალანსებული რეგიონული პოლიტიკის გატარება; დეოკუპაციის შემდეგ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაცია; ძლიერი დიასპორა და ჩვენი მოქალაქეების უფლებების დაცვა საზღვარგარეთ. მინისტრის თქმით, 2021 წლის 23 ივნისს საქართველოს მთავრობის დადგენილებით შეიქმნა სამთავრობო კომისია, რომელმაც უახლოეს მომავალში უნდა წარმოადგინოს დეოკუპაციისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების სახელმწიფო სტრატეგია. მინისტრმა ისაუბრა ჟენევისა და სხვა საერთაშორისო ფორმატების კუთხით სამინისტროს მიერ გაწეულ ძალისხმევაზე, მოპოვებულ საერთაშორისო მხარდაჭერასა და გაეროს გენერალური მდივნის ანგარიშზე სამხრეთ ოსეთიდან და აფხაზეთიდან ლტოლვილთა სტატუსის შესახებ. მინისტრი ასევე შეეხო ინიციატივას „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, ევროინტეგრაციის მიმართულებით გატარებულ ღონისძიებებსა და საერთაშორისო ვიზიტებს.

საგარეო საქმეთა მინისტრის გამოსვლის შემდეგ შეკითხვა დასვა 22-მა დეპუტატმა, მათგან 14 წარმოადგენდა უმრავლესობას, ხოლო 8 - ოპოზიციას. პარლამენტართა შეკითხვები, ძირითადად, საგარეო საქმეთა სამინისტროს კომპეტენციის სფეროს შეეხებოდა, თუმცა უმრავლესობა სცდებოდა სამთავრობო პროგრამის თემატიკას და მიმდინარე აქტუალურ საკითხებს უკავშირდებოდა. ამასთანავე, „ქართული ოცნების“ დეპუტატების

¹¹⁴ თონა აქუბარია, პოლიტიკური ჯგუფის „რეფორმების ჯგუფის“ წევრი.

¹¹⁵ მინისტრის საათი - საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი, 2021 წლის 19 ნოემბერი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/supervision/minister-hours>, განახლებულია: 28.02.2023.

შეკითხვები უმეტესად მიემართებოდა მინისტრის მხარდაჭერას და ნაკლებ კრიტიკას შეიცავდა. ერთ-ერთმა მათგანმა კითხვის დასმისას წინა პლანზე წამოსწია მოქმედი და წინა ხელისუფლების დამსახურებების შედარების საკითხი საგარეო ურთიერთობათა სფეროში. ამჯერადაც, ოპოზიციონერთა დიდი ნაწილი ადგილზე არ იმყოფებოდა. შეკითხვებზე პასუხების გაცემის დროს კი დარბაზი „ქართული ოცნების“ დეპუტატების უმეტესობამაც დატოვა.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის საათი: მიხეილ ჩხენკელს 1-ელ დეკემბერს მოუსმინეს.¹¹⁶ მინისტრის გამოსვლა 1 საათი და 3 წუთი გაგრძელდა, რაც რეგლამენტით განსაზღვრულ დროს აღემატება. პროცედურამ ჯამში 5 საათსა და 15 წუთს გასტანა. მოხსენებას „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები არ ესწრებოდნენ. მინისტრმა გამოსვლა ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროში განხორციელებული პროექტების მიმოხილვით დაიწყო და აღნიშნა, რომ ეს მიმართულება სამინისტროს პრიორიტეტს განეკუთვნება. მისი თქმით, 2021 წელს პირველად დაინერგა ბილინგვური განათლების საპილოტე პროგრამა, ხოლო 7 სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამები აღმზრდელი პედაგოგებისთვის. გარდა ამისა, მინისტრმა ისაუბრა: პანდემიის პირობებში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის შესახებ, ვაქცინაციის თაობაზე, მასწავლებლების რეგულარულ ტესტირებაზე, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მნიშვნელობაზე, საჯარო სკოლების მშენებლობასა და რეაბილიტაციაზე, ასევე, საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების მსურველი ახალგაზრდებისთვის ხელშეწყობის პოლიტიკაზე, განათლების სისტემაში სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგების ჩართულობასა და სხვა საკითხებზე.

სამთავრობო პროგრამის სოციალური პოლიტიკისა და ადამიანური კაპიტალის განვითარების თავში განათლების მიმართულებას ერთ-ერთი ქვეთავი ეთმობა, რომელიც ადრეული და სკოლამდელი, ზოგადი, უმაღლესი და პროფესიული განათლების კომპონენტებად არის დაყოფილი.¹¹⁷ მინისტრის გამოსვლა სამთავრობო პროგრამაში მითითებულ საკითხებს სრულად არ მოიცავდა.

შეკითხვა დასვა 33-მა დეპუტატმა, რომელთაგან 19 წარმოადგენდა მმართველ პარტიას, ხოლო 14 - ოპოზიციას. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ოპოზიციონერს ნება მისცეს, მინისტრისთვის კითხვები მოხსენების დასრულებამდე დაესვათ, რის შემდეგაც მათ სხდომა დატოვეს. ეს ვერ იქნება მიჩნეული კარგ პრაქტიკად, ვინაიდან შინაარსი ეცლება დებატის ფორმატის პროცედურას და კონტროლის ამ მექანიზმს ფორმალურ ხასიათს სძენს. დეპუტატთა კითხვები განათლების სფეროს ეხებოდა, თუმცა უმეტესობა არ შეესაბამებოდა სამთავრობო პროგრამის თემატიკას, იყო ზოგადი, ან უკავშირდებოდა კონკრეტულ აქტუალურ საკითხს. ერთ-ერთმა ოპოზიციონერმა დეპუტატმა შეშფოთება გამოთქვა სკოლის პერსონალის საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენებაზე. ყურადღება გამახვილდა ასევე სკოლებში არასათანადო კვებასა და სხვა პრობლემებზე. მიუხედავად იმისა, რომ შეკითხვები შეესაბამებოდა მინისტრის გამოსვლის შინაარსს, დეპუტატების უმეტესობა კითხვის დასმისას არ ხელმძღვანელობდა სამთავრობო პროგრამით, როგორც ანგარიშის შეფასების უმთავრესი ინსტრუმენტით. ისინი გამოდიოდნენ ზოგადი სახის ინიციატივებით. ოპოზიციის წარმომადგენლები ხშირ შემთხვევაში არ ცდილობდნენ კონკრეტული ინფორმაციის მიღებას სამინისტროში განხორციელებული და დაგეგმილი რეფორმების შესახებ. ამგვარი მიდგომა, თავისთავად, არ არის არალეგიტიმური, თუმცა

¹¹⁶ მინისტრის საათი - განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიხეილ ჩხენკელის გამოსვლა, 2021 წლის 1-ლი დეკემბერი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/supervision/minister-hours>, განახლებულია: 28.02.2023.

¹¹⁷ სამთავრობო პროგრამა 2021-2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“, 39-44.

ხელს უშლის საკითხების სიღრმისეულ განხილვას და სამინისტროს მიერ საანგარიშო პერიოდისთვის შესასრულებელი ვალდებულებების კონტროლს.

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის საათი: თეა წულუკიანს 3 დეკემბერს მოუსმინეს.¹¹⁸ მინისტრის გამოსვლა 50 წუთი გაგრძელდა. მან 5 წუთით გადააცილა რეგლამენტით დადგენილ დროს. ჯამში, პროცედურამ 7 საათსა და 18 წუთს გასტანა. სხდომას „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები არ ესწრებოდნენ. მინისტრმა ისაუბრა: ახლად შექმნილი სამინისტროს სტრუქტურასა და დეპარტამენტებზე, სამინისტროს ბიუჯეტის გადანაწილებასა და სპორტის დაფინანსებაზე, სამინისტროს მხრიდან სპორტის სხვადასხვა სახეობის მიმართ არათანაბარ ყურადღებასა და ზოგიერთი მათგანის ინფრასტრუქტურულ პრობლემებზე, აგრეთვე ამ პრობლემების აღმოფხვრისა და ბაზების მოწყობის გეგმებზე, სპორტის მუზეუმის ცალკე ჩამოყალიბებაზე. საუბარი შეეხო ასევე კულტურის სფეროში სამინისტროს მიერ დაფინანსებულ კონკურსებს და სხვა საკითხებს.

შეკითხვა დასვა 37-მა დეპუტატმა, რომელთაგანაც 26 იყო მმართველი პარტიის წევრი, ხოლო დანარჩენი 11 - ოპოზიციის წარმომადგენელი. აღსანიშნავია, რომ სპორტისა და კულტურის სეგმენტი ცალკე სამინისტროდ გამოიყო ამავე წლის დასაწყისში, კერძოდ, მას შემდეგ, რაც პარლამენტმა სამთავრობო პროგრამა განიხილა. შესაბამისად, მოხსენება სრულად არ მიჰყვებოდა სამთავრობო პროგრამით გათვალისწინებულ პუნქტებს (პროგრამაში ეს სეგმენტი განათლების სფეროს ნაწილში იყო მიმონილული¹¹⁹). აქედან გამომდინარე, მინისტრმა 8 თვის საქმიანობის ანგარიში წარმოადგინა. შეკითხვები, ძირითადად, თემატური იყო. მმართველი პარტიის დეპუტატების უმრავლესობა ფორმალურად სვამდა კითხვას და მადლიერებას გამოხატავდა მინისტრის წარმატებული საქმიანობის გამო. ისინი იშვიათად იყვნენ კრიტიკულები. ერთ-ერთმა ოპოზიციონერმა დეპუტატმა¹²⁰ აღნიშნა, რომ კულტურის მინისტრი არ პასუხობდა მათ სადეპუტატო შეკითხვებს და, ფრაქციის მიერ დაბარების მიუხედავად, არ მოდიოდა კომიტეტის სხდომაზე.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის საათი: ნათელა თურნავას 16 დეკემბერს მოუსმინეს.¹²¹ მისი გამოსვლა 55 წუთი გაგრძელდა და გადააჭარბა დადგენილი ლიმიტი. ჯამში, პროცედურა 4 საათისა და 2 წუთის განმავლობაში მიმდინარეობდა. მინისტრმა საუბრის დასაწყისში აღნიშნა, რომ მას უპირატესობა ჰქონდა სხვა მინისტრებთან შედარებით, რადგან მისი მოხსენება წლის მიწურულს დაემთხვა. ამან კი საშუალება მისცა, განვლილი წელი უფრო ამომწურავად შეეჯამებინა.

მინისტრმა ისაუბრა პანდემიის გამო მთელ მსოფლიოში, მათ შორის, საქართველოში შექმნილ სირთულეებზე, გაზრდილ უმუშევრობასა და სახელმწიფო ვალზე, რისთვისაც მან სხვადასხვა საერთაშორისო სტატისტიკური მონაცემი მოიშველია. გარდა ამისა, ილაპარაკა გაზრდილ ინფლაციასა და სამინისტროს მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე, მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებაზე, ქვეყანაში არსებულ სიღარიბეზე, სხვადასხვა პროგრამასა და საერთაშორისო ინდექსებზე. მოხსენება შეეხებოდა ასევე შემდეგ საკითხებს: იპოთეკური სესხების სუბსიდირების ახალი პროგრამა; პირდაპირი უცხოური ინვესტიციები; ქართულ ბაზარზე შემოსული უცხოური კომპანიები; პრივატიზაციის და ენერჯეტიკის

¹¹⁸ მინისტრის საათი - კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის თეა წულუკიანის გამოსვლა, 2021 წლის 3 დეკემბერი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/supervision/minister-hours>, განახლებულია: 28.02.2023.

¹¹⁹ სამთავრობო პროგრამა 2021-2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“, 39-44.

¹²⁰ ანა ნაცვლიძე, პოლიტიკური ჯგუფის „ლელო“ - პარტნიორობა საქართველოსთვის“ წევრი.

¹²¹ მინისტრის საათი - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ნათელა თურნავას გამოსვლა, 2021 წლის 16 დეკემბერი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/supervision/minister-hours>, განახლებულია: 28.02.2023.

სექტორი, სარკინიგზო და კავშირგაბმულობის სფეროები, სატვირთო გადაზიდვები. მინისტრმა აგრეთვე ისაუბრა 2021 წელს ქუთაისის აეროპორტის სამგზავრო ტერმინალის გაფართოების შესახებ.

მოხსენების დასრულების შემდეგ შეკითხვა დასვა 30-მა დეპუტატმა, რომელთაგან 19 იყო მმართველი პარტიის წევრი, ხოლო 11 - ოპოზიციის წარმომადგენელი. შეკითხვები, ძირითადად, თემატური იყო და მოიცავდა სამინისტროს კომპეტენციაში შემავალ სხვადასხვა საკითხს. სამთავრობო პროგრამის შესაბამისი ნაწილისგან განსხვავებით, კითხვები უფრო მეტი კონკრეტულობით გამოირჩეოდა და შეეხებოდა, მათ შორის, აქტუალურ თემებსაც.

იუსტიციის მინისტრის საათი: რატი ბრეგაძეს 17 დეკემბერს მოუსმინეს.¹²² მისი გამოსვლა გაგრძელდა 37 წუთი, რასაც კითხვა-პასუხის რეჟიმი მოჰყვა. ჯამში, პროცედურა 5 საათისა და 7 წუთის განმავლობაში მიმდინარეობდა. შეკითხვა დასვა 32-მა დეპუტატმა, რომელთაგან 9 - ოპოზიციას, ხოლო დანარჩენი 23 მმართველ პარტიას წარმოადგენდა. სხდომას ოპოზიციის ნაწილი არ ესწრებოდა. მინისტრი, სამთავრობო პროგრამის პარალელურად, „ქართული ოცნების“ მიერ 2021 წელს შემუშავებულ განვითარების 10-წლიან გეგმაზეც აპელირებდა. მან ისაუბრა დაგეგმილ და განხორციელებულ პროექტებზე, სერვისების დახვეწაზე, სამართალშემოქმედებაზე, იუსტიციის სახლების მშენებლობაზე და ა.შ. მთლიანობაში, როგორც მინისტრის გამოსვლა, ისე დეპუტატების შეკითხვები და გამოსვლები შეესაბამებოდა მინისტრის საათის პროცედურის შინაარსს. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში, როგორც უმრავლესობის, ისე ოპოზიციის წევრები კითხვებს სვამდნენ მიმდინარე აქტუალურ საკითხებზეც, მაგალითად, მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობაზე და რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ სანქციებზე. მიუხედავად „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა მხრიდან დასმული შეკითხვების თემატიკისა და შინაარსობრივი შესაბამისობისა, ისინი მოკლებული იყო კრიტიკას და, უმეტესად, ემსახურებოდა სამინისტროს საქმიანობის პოზიტიურად წარმოჩენას. მმართველი პარტიის ასეთი მიდგომა არ არის ახალი და გასაკვირი. თუმცა, ოპოზიციის პასიურობა მნიშვნელოვნად ამცირებს მინისტრის საათის პროცედურის ეფექტიანობას, რადგან სამთავრობო პროგრამის შესრულების ხარვეზების გამოკვეთას, როგორც წესი, უმრავლესობის წევრები არ ცდილობენ.

2022 წლის საგაზაფხულო სესია

2022 წლის საგაზაფხულო სესიის დასაწყისში მინისტრის საათის პროცედურის ახალი განრიგი დამტკიცდა.¹²³ განრიგის თანახმად, ამ სესიაზე 6 მინისტრის საათი გაიმართა.

ფინანსთა მინისტრის საათი: ლაშა ხუციშვილს 2022 წლის 17 თებერვალს მოუსმინეს.¹²⁴ მინისტრის გამოსვლა 27 წუთი გაგრძელდა. პროცედურა, ჯამში, 6 საათისა და 52 წუთის

¹²² მინისტრის საათი - იუსტიციის მინისტრ რატი ბრეგაძის გამოსვლა, 2021 წლის 17 დეკემბერი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/supervision/minister-hours>, განახლებულია: 28.02.2023.

¹²³ 2022 წელს მინისტრის საათის (სამთავრობო პროგრამის შესრულების შესაბამისი მიმართულების შესახებ საქართველოს მთავრობის ცალკეული წევრების საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მოხსენების) განრიგის დამტკიცების თაობაზე პარლამენტის ბიუროს 2022 წლის 31 იანვრის №116/12 გადაწყვეტილება, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/23517>, განახლებულია: 28.02.2023.

¹²⁴ მინისტრის საათი, ლაშა ხუციშვილი, საქართველოს ფინანსთა მინისტრი, 2022 წლის 17 თებერვალი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/supervision/minister-hours>, განახლებულია: 28.02.2023.

განმავლობაში მიმდინარეობდა. მან საუბარი დაიწყო 2021 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის დეტალებზე, კოვიდ-პანდემიის გავლენასა და ბიუჯეტში გათვალისწინებულ შესაბამის ფინანსურ რესურსებზე. მისი თქმით, 2021 წლის პირველი კვარტალი საკმაოდ რთული აღმოჩნდა, იანვარში კი უკვე 11.5%-იანი ეკონომიკური კლება აღინიშნა. მან ყურადღება გაამახვილა პანდემიის შედეგებზე, ტურიზმის აღდგენასა და შესაბამის ეკონომიკურ შედეგებზე. მინისტრმა წარმოადგინა საგარეო ვაჭრობის, ექსპორტ-იმპორტისა და ფულადი გზავნილების მაჩვენებლები. გამოსვლა ასევე შეეხებოდა ინფლაციას, ბიუჯეტის ზრდას, პანდემიასთან საბრძოლველად გამოყოფილ ფინანსებს, საგადასახადო პოლიტიკას და სხვა საკითხებს. მინისტრის თქმით, ვალის მოცულობა 2021 წელს გაუმჯობესდა, წინა წელთან შედარებით 10%-ით შემცირდა და, მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით, 60%-იდან 50%-ზე ჩამოვიდა. გარდა ამისა, მან ისაუბრა იმ ძირითად ფისკალურ ინდიკატორებზე, რომლებიც მიმდინარე წლისთვის იყო პროგნოზირებული, ასევე სამინისტროს ფარგლებში გატარებულ რეფორმებზე, როგორცაა დღგ-ის დაბრუნების რეფორმა და ა.შ.

შეკითხვა დასვა 40-მა დეპუტატმა, რომელთაგან 18 წარმოადგენდა უმრავლესობას, ხოლო 22 - ოპოზიციას. შეკითხვების უმეტესობა შეეხებოდა არა 2021 წლის მონაცემებს, არამედ 2022-2023 წლებისთვის დაგეგმილ ღონისძიებებსა და ფინანსებს. არათემატური შეკითხვები არ ყოფილა. მართალია, ოპოზიციონერი დეპუტატების გამოსვლებში, კითხვის დასმის პარალელურად, იგრძნობოდა ზოგადი პოლიტიკური პათოსი, თუმცა შეკითხვები სამინისტროს კომპეტენციის სფეროს მიემართებოდა. მინისტრის საპასუხო გამოსვლის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარემ ლევან იოსელიანმა აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა საპარლამენტო კულტურის დამკვიდრება, როდესაც კითხვის დასმის შემდეგ დეპუტატი სხდომათა დარბაზს არ დატოვებდა და კითხვებზე პასუხის დროს ადგილზე იქნებოდა.

შინაგან საქმეთა მინისტრის საათი: ვახტანგ გომელაურს 17 მარტს მოუსმინეს.¹²⁵ მისი სიტყვა დაახლოებით 30 წუთი გაგრძელდა. პროცედურამ გასტანა 6 საათსა და 38 წუთს. მინისტრმა გამოსვლა გარდაცვლილი პოლიციელების ოჯახების მიმართ სამძიმრით დაიწყო და აქტუალურ თემებზე საუბრით გააგრძელა. ის მოკლედ შეეხო უკრაინაში რუსეთის აგრესიას და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის საკითხებს ქვეყანაში რუსეთის მოქალაქეების მასობრივი შემოდინების კონტექსტში. ეს თემა მოსახლეობაში ამ პერიოდისთვის ძალიან აქტუალური იყო. ამის შემდეგ მინისტრმა აღნიშნა, რომ მისი ანგარიში თემას დაუბრუნდებოდა. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ იქამდე დასმული აქცენტები მინისტრის საათის პროცედურას პირდაპირ არ ეხებოდა. მომხსენებელმა დიდწილად დაფარა სამთავრობო პროგრამაში წარმოდგენილი საკითხები. ასევე, დამატებით, ისაუბრა სიახლეებზე, რომლებიც კონკრეტულად არ არის სამთავრობო პროგრამაში აღნიშნული. მინისტრის გამოსვლა იყო დამაკმაყოფილებლად კონკრეტული.

შეკითხვა 52-მა დეპუტატმა დასვა. მათგან 23 წარმოადგენდა უმრავლესობას, დანარჩენი 29 კი - ოპოზიციურ პარტიებს. მთლიანობაში, ტენდენციის სახით გამოიკვეთა ოპოზიციონერთა ნაწილის მხრიდან აქცენტირება მიმდინარე აქტუალურ თემებზე. შესაბამისად, მინისტრი შსს-ს ქმედებების გამართლებას ცდილობდა. დეპუტატები ნაკლებად უდრმა-ვდებოდნენ მინისტრის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. მათ საკუთარი დღის წესრიგი ჰქონდათ. აღსანიშნავია, რომ ისეთი რეგიონული (გეოპოლიტიკური) გამოწვევის ფონზე, როგორცაა რუსეთის სამხედრო თავდასხმა უკრაინაზე, ლოგიკური იყო დეპუტატების

¹²⁵ მინისტრის საათი - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურის გამოსვლა, 2022 წლის 17 მარტი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/supervision/minister-hours>, განახლებულია: 28.02.2023.

მხრიდან ამ საკითხების წამოწევა. თუმცა, ამის მიუხედავად, სამთავრობო პროგრამის შესაბამისი მიმართულების წარმოდგენა გულისხმობს გატარებული სამუშაოების შესახებ პარლამენტისთვის ინფორმაციის მიწოდებას, ერთი მხრივ, მაკონტროლებელი შტოს ინფორმირებისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, შემდგომი თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად.

გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრის საათი: ოთარ შამუგიას 14 აპრილს მოუსმინეს.¹²⁶ მისი გამოსვლა 36 წუთი გაგრძელდა. პროცედურამ, ჯამში, 4 საათი და 2 წუთი დაიკავა. მინისტრი გამოსვლის დასაწყისში ზოგადად შეეხო კოვიდ-19-ის პანდემიას, უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს (სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინელ ხალხს) და ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის გადმოცემულ კითხვარს. ისაუბრა სამინისტროს მიერ ასოცირების კუთხით გაწეულ ძალისხმევაზე, ასევე სურსათით ქვეყნის მომარაგებაზე რეგიონში საომარი მოქმედებების პირობებში. მისი თქმით, აგრო-სასურსათო პროდუქტის ექსპორტი, გასულ წელთან შედარებით, 21%-ით გაიზარდა. მოხსენება შეეხო ისეთ თემებს, როგორებიცაა: სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავება, კენკროვანი ბაღების გაშენების დაფინანსება, სხვადასხვა მიმართულების სახელმწიფოს თანადაფინანსების საკითხები, ღვინის ექსპორტი ამერიკასა და სხვა ქვეყნებში. მინისტრმა ასევე ისაუბრა დაგეგმილ მიწის სისტემურ რეგისტრაციაზე, გარემოს დაცვის საკითხებზე, წყლის რესურსების მდგომარეობის შეფასებასა და ზრუნვის თემებზე.

მინისტრის გამოსვლის შემდეგ შეკითხვა დასვა 43-მა დეპუტატმა. 27 მათგანი წარმოდგენდა უმრავლესობას, ხოლო 16 - ოპოზიციას. კითხვები არსებითად თემატური იყო და შეეხოდა სამინისტროს კომპეტენციას, თუმცა ისინი სცილდებოდა მინისტრის მოხსენებას, სამთავრობო პროგრამას და მიემართებოდა მიმდინარე აქტუალურ საკითხებს როგორც გარემოს დაცვის, ისე სოფლის მეურნეობის სფეროებში.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის საათი: ზურაბ აზარაშვილს 11 მაისს მოუსმინეს.¹²⁷ ამ შემთხვევაშიც მინისტრის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის ნაწილი შეეხოდა არა უშუალოდ თანამდებობაზე მისი ყოფნის პერიოდს (აზარაშვილი 2021 წლის 27 დეკემბერს დაინიშნა), არამედ მისი წინამორბედის, ეკატერინე ტიკარაძის მინისტრობის დროს გაწეულ საქმიანობას. მინისტრის მოხსენება 40 წუთი გაგრძელდა. ჯამში, პროცედურამ 5 საათი და 31 წუთი დაიკავა. მან გამოსვლა 2022 წლის გაზაფხულზე პრემიერ-მინისტრის მიერ დაანონსებულ რეფორმასა და თურქეთიდან მედიკამენტების იმპორტზე საუბრით დაიწყო. მინისტრი შეეხო საანგარიშო პერიოდში, ქრონიკული დაავადებების სამკურნალოდ საჭირო მედიკამენტების დაფინანსების ზრდის საკითხს. ისაუბრა რეცეპტული სისტემის გაძლიერებაზე. ზურაბ აზარაშვილმა საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე მედიკამენტების ხარისხის უზრუნველყოფა სამინისტროს ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად დაასახელა. მისი განცხადებით, ამის მისაღწევად 2022 წლის ბოლომდე ყველა ადგილობრივ მწარმოებელს კარგი საწარმოო პრაქტიკის - GMP სტანდარტზე გადასვლა დაევალა. მინისტრმა აღნიშნა, რომ ადგილობრივ მწარმოებლებსა და იმპორტიორებს შორის თანაბრად კონკურენტული გარემოს შექმნის მიზნით, 2022 წლის ივნისიდან GMP სტანდარტის დაკმაყოფილების ვალდებულება განისაზღვრა ქვეყანაში იმპორტირებულ

¹²⁶ მინისტრის საათი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ოთარ შამუგიას გამოსვლა, 2022 წლის 14 აპრილი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/supervision/minister-hours>, განახლებულია: 28.02.2023.

¹²⁷ მინისტრის საათი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ზურაბ აზარაშვილის გამოსვლა, 2022 წლის 11 მაისი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/supervision/minister-hours>, განახლებულია: 28.02.2023.

მედიკამენტებზე. მინისტრის თქმით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა მოიცავს მოსახლეობის 94.7%-ს, მიმდინარე რეფორმების მხარდასაჭერად კი თითქმის ხუთჯერ გაიზარდა ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯები. მომხსენებელი ასევე შეეხო: სოფლის ამბულატორიების აღჭურვას, შენობების რეაბილიტაციას, დიაბეტის მართვის სახელმწიფო პროგრამის გაძლიერებას და სხვა საკითხებს. მისი თქმით, ულექტრონული სისტემის მეშვეობით გაუმჯობესდა პაციენტების დროული და სამართლიანი ჰოსპიტალიზაცია. მან ასევე ისაუბრა კოვიდ-19-ის პანდემიის წინააღმდეგ სამინისტროს საქმიანობაზე და ამ კუთხით სხვადასხვა მონაცემი წარმოადგინა. საუბარი შეეხო მოწყვლადი ჯგუფების სოციალურ მხარდაჭერასაც.

მინისტრის გამოსვლის შემდეგ შეკითხვა დასვა 40-მა დეპუტატმა. 23 მათგანი წარმოადგენდა უმრავლესობას, ხოლო 17 - ოპოზიციას. კითხვები არსებითად სამინისტროს საქმიანობის სფეროებს მიემართებოდა, თუმცა, სხვა მინისტრების მსგავსად, აქაც აქტუალურ პრობლემებზე იყო ფოკუსი. რამდენიმე შეკითხვა ეხებოდა ყოფილი პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობასაც, კერძოდ, უზრუნველყოფს თუ არა სახელმწიფო მისთვის შესაბამის მომსახურებას.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის საათი: ირაკლი ქარსელაძეს 25 მაისს მოუსმინეს.¹²⁸ მინისტრის გამოსვლა 55 წუთი გაგრძელდა. მისმა მოხსენებამ რეკლამენტით დადგინო დროს გადააჭარბა. პროცედურამ, ჯამში, 3 საათსა და 56 წუთს გასტანა. მინისტრმა მოხსენება დაიწყო კონკრეტულ ინფრასტრუქტურულ პროექტებსა და მათ მიმდინარეობაზე საუბრით და აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში, წინა წელთან შედარებით, ამ მიმართულებით 14%-ით მეტი ინვესტიცია განხორციელდა. მთლიანობაში, მინისტრის თქმით, 2021 წელს 500 კილომეტრამდე გზა დაიგო და რეაბილიტირდა. მან ისაუბრა ნაპირსამაგრ სამუშაოებზე, წყალმომარაგების პრობლემატიკაზე, სამომავლო გეგმებზე, სკოლებისა და ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე. გამომსვლელი ასევე შეეხო პროგრამას - „განახლებული რეგიონები“, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს შესაბამისი საქმიანობა, კულტურული და რეკრეაციული სივრცეების რეაბილიტაცია.

მინისტრის გამოსვლის შემდეგ შეკითხვა დასვა 38-მა დეპუტატმა, მათგან 24 წარმოადგენდა უმრავლესობას, ხოლო 14 - ოპოზიციას. ზოგადად, პროცედურის ანალიზმა აჩვენა, რომ უმრავლესობის დეპუტატების მიერ დასმულ კითხვებს, როგორც წესი, წინ უძღვის მაღლიერების და ქების გამომხატველი გამოსვლები. ერთ-ერთმა ოპოზიციონერმა დეპუტატმა¹²⁹ აღნიშნა, რომ მინისტრთან გაგზავნილი აქვს ორი სადეპუტატო შეკითხვა, რომლებზეც 195 დღის განმავლობაში პასუხიც არ მიუღია. ეს კითხვები დეპუტატმა სხდომაზე დასვა. პარლამენტის წევრთა შეკითხვები, ძირითადად, თემატური იყო.

თავდაცვის მინისტრის საათი: ჯუანშერ ბურჭულაძეს 9 ივნისს მოუსმინეს.¹³⁰ მისი მოხსენება 35 წუთი გაგრძელდა. პროცედურამ დაიკავა 5 საათი და 54 წუთი. მინისტრი იშვიათი გამონაკლისი იყო, რომელმაც გამოსვლის დაწყებისას აღნიშნა, რომ ის წარმოადგენდა ანგარიშს სამთავრობო პროგრამის შესაბამისი მიმართულების მნიშვნელოვანი რეფორმებისა და მიმდინარე პროექტების შესახებ.

¹²⁸ მინისტრის საათი - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის ირაკლი ქარსელაძის გამოსვლა, 2022 წლის 25 მაისი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/supervision/minister-hours>, განახლებულია: 28.02.2023.

¹²⁹ ხათუნა სამნიძე, პოლიტიკური ჯგუფის „რეფორმების ჯგუფის“ თავმჯდომარე.

¹³⁰ მინისტრის საათი - საქართველოს თავდაცვის მინისტრ ჯუანშერ ბურჭულაძის გამოსვლა, 2022 წლის 9 ივნისი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/supervision/minister-hours>, განახლებულია: 28.02.2023.

სამთავრობო პროგრამაში თავდაცვითი მიმართულება ცალკე ქვეთავად არის გამოყოფილი.¹³¹ ქვეთავის სახელწოდებაა „ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება“ და დაახლოებით ორ-ნახევარ გვერდს მოიცავს. მასში საუბარია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და მდგრადობის გაძლიერებაზე, მაღალი საბრძოლო მზადყოფნის მქონე, თანამედროვე შესაძლებლობებით აღჭურვილი, მობილური და ნატოსთან თავსებადი თავდაცვის ძალების ჩამოყალიბებაზე, ინსტიტუციურ განვითარებასა და უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაღრმავებაზე.

თავდაცვითი ძალები ხუთ ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებას ეფუძნება, ესენია: საჰაერო თავდაცვითი, ჯავშანსაწინააღმდეგო, საარტილერიო, სადაზვერვო (ISTAR) და საინჟინრო შესაძლებლობების განვითარება. პროგრამაში საუბარია ნატოსთან თავსებადობის გაღრმავებაზე, აშშ-საქართველოს შორის თანამშრომლობაზე და სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ წვრთნებზე, თავდაცვის კიბერმიმართულების, საწვრთნელი ცენტრების თანამედროვე სისტემებით აღჭურვასა და სამხედრო განათლების სფეროს განვითარებაზე.¹³² ასევე, პროგრამის მიხედვით, დაგეგმილია გარკვეული მიმართულებების სტრუქტურული და ფუნქციური რეფორმირება, სამხედროებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის სოციალური მხარდაჭერის გაძლიერება. თავდაცვის სამინისტრო შეიმუშავებს რეზერვისა და მობილიზაციის გაუმჯობესებულ სისტემას მისი ეფექტიანობისა და სანდოობის გაზრდის მიზნით. სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთი სფერო იქნება სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის შექმნა და სერიული წარმოება.¹³³ გააქტიურდება და გაღრმავდება ევროკავშირთან ურთიერთობა უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროებში. მიმდინარე წლების განმავლობაში ევროპულ თავდაცვის სააგენტოსთან (EDA) თანამშრომლობის დაწყების შესახებ ფორმალური განაცხადი გაკეთდება. ასევე, თავდაცვის სამინისტრო მზად იქნება ევროკავშირის მუდმივი სტრუქტურირებული თანამშრომლობის (PESCO) კონკრეტულ პროექტებში მონაწილეობის მისაღებად. გაუმჯობესდება თავდაცვითი ინფრასტრუქტურა და სხვა.¹³⁴

მინისტრის გამოსვლა, მეტწილად, პასუხობდა პროგრამაში ასახულ საკითხებს. ცხადია, მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შინაარსობრივი და ფაქტობრივი სიზუსტე ცალკე შესწავლის საგანია და ეს მინისტრის საათის პროცედურის ანალიზით ვერ დადგინდება.

მინისტრი შეეხო რუსეთ-უკრაინის ომს და აღნიშნა, რამხელა გამოწვევაა რუსეთის აგრესია მსოფლიო მშვიდობისა და საქართველოსთვის, რომელიც არაერთხელ გამხდარა ამ აგრესიის მსხვერპლი. მინისტრმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე განთავსებულია რუსული სამხედრო ბაზები, ხოლო რუსეთი ჰიბრიდული მექანიზმებით, მათ შორის, მცოცავი ოკუპაციის გამოყენებით ცდილობს საქართველოს ევროპულ არჩევანზე ზეგავლენის მოხდენას.

მინისტრმა ყურადღება გაამახვილა საჰაერო თავდაცვითი და ჯავშანსაწინააღმდეგო ტექნოლოგიების განახლებაზე, ასევე ახალი შეიარაღების დაგეგმილ და მიმდინარე შესყიდვებზე. მისი ინფორმაციით, შექმნილია ერთობლივი (პოლონეთთან თანამშრომლობით) საწარმო, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე უპილოტო თვითმკვლელი და სადაზვერვო საფრენი აპარატების წარმოებას უზრუნველყოფს. მინისტრმა ასევე ისაუბრა სხვადასხვა სამხედრო ტექნიკური, სადაზვერვო საშუალებების შესყიდვაზე, საარტილერიო, საავიაციო დანადგარების განახლებაზე და სხვა საკითხებზე.

¹³¹ სამთავრობო პროგრამა 2021-2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“, 9.

¹³² იქვე.

¹³³ იქვე, 10.

¹³⁴ იქვე, 11.

თავდაცვის მინისტრმა ხაზი გაუსვა ინსტიტუციურ ცვლილებებსაც და აღნიშნა, რომ, პარლამენტის მხარდაჭერით, თავდაცვის უწყებაში მნიშვნელოვანი რეფორმები იგეგმება, მათ შორის, სავალდებულო და სარეზერვო სამსახურების მიმართულებით.

მინისტრის გამოსვლის შემდგომ შეკითხვა დასვა 32-მა დეპუტატმა. მათგან 13 წარმოადგინდა მმართველ პარტიას, ხოლო 19 - ოპოზიციას.

აღსანიშნავია, რომ დეპუტატების დიდი ნაწილი საკითხებს არ უღრმავდებოდა და აქცენტი, ძირითადად, სამხედროების ხელფასებსა და მათ სოციალურ მხარდაჭერაზე კეთდებოდა. ხშირი იყო შეკითხვები როგორც პოლიტიკური (არათემატური), ისე აქტუალური საკითხების შესახებ. პრობლემად რჩება მინისტრის საათის ფორმატის არამიზნობრივად წარმართვა, ვინაიდან დეპუტატები მას ნაკლებად იყენებენ სამთავრობო პროგრამის იმპლემენტაციის გასაკონტროლებლად. ხშირ შემთხვევაში ისინი არ არიან შინაარსობრივად მომზადებულნი, შედეგად კი, ფოკუსირება ხდება, მეტწილად, მიმდინარე, არასიღრმისეულ საკითხებზე.

2022 წლის საშემოდგომო სესია

ბიუროს მიერ დამტკიცებული განრიგის მიხედვით, 2022 წლის საშემოდგომო სესიაზე 6 მინისტრის საათი გაიმართა.

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის საათი: თეა წულუკიანი მოხსენებით პარლამენტში 22 სექტემბერს წარდგა.¹³⁵ გამოსვლა 2 საათი გაგრძელდა. ეს აღემატება რეგლამენტით გამოყოფილ დროს. ჯამში, პროცედურა 9 საათი მიმდინარეობდა. მინისტრმა მოხსენება დაიწყო ევრობასკეტიტისთვის ახალი სპორტის სასახლის მშენებლობასა და ამ ღონისძიების დაფინანსების ხარჯებზე საუბრით. ასევე ილაპარაკა სახელმწიფოს მიერ სპორტული ფედერაციების აღიარების საკითხზე, ამ ფედერაციების დაფინანსებასა და მათ წესდებებში შეტანილ ცვლილებებზე, სპორტის უნივერსიტეტისთვის ახალი შენობის აშენების აუცილებლობაზე, ყინულის მოედნის მშენებლობის გეგმებზე, ცხენოსნობის ფედერაციისთვის შეძენილ ცხენებზე. მინისტრმა აგრეთვე ისაუბრა სხვადასხვა მიმართულებით ქართველი სპორტსმენების წარმატებებსა და სამომავლო გეგმებზე. დაასახელა ყველა გუნდური სახეობა, რომლებშიც პოზიტიური შედეგები გამოვლინდა. წულუკიანის თქმით, 2022 წელს უცხოურ სახელოვნებო სასწავლებლებში 12 ახალგაზრდის სწავლა დაფინანსდა. სამინისტრომ დააფინანსა ანსამბლებისთვის ახალი სამოსის შეძენაც, რაზეც 221 ათასი ლარი დაიხარჯა. მან ყურადღება გაამახვილა თეატრებსა და ძეგლთა დაცვის სისტემაში გატარებულ რეფორმებზე. ასევე ისაუბრა გელათის სამონასტრო კომპლექსში არსებულ პრობლემებზე და აღნიშნა, რომ არ იღებს პასუხისმგებლობას 2021 წლამდე არსებულ მდგომარეობაზე, არამედ მხოლოდ 2021 წლის მარტიდან არის პასუხისმგებელი, როგორც კულტურის მინისტრი.

შეკითხვის დასმის უფლებით ისარგებლა 33-მა დეპუტატმა, რომელთაგან 15 წარმოადგინდა მმართველ პარტიას, ხოლო 18 - ოპოზიციას. შეკითხვები სრულად თემატური იყო და მიემართებოდა სამინისტროს კომპეტენციის სფეროს. კრიტიკა გამოითქვა იმასთან დაკავშირებით, რომ დეპუტატებს არ მიეცათ ანგარიშის ბეჭდური ვერსიის გაცნობის შესაძლებლობა, ასევე იმის გამო, რომ მინისტრი არ პასუხობდა მათ სადეპუტატო კითხვებს.

პროცედურა კონსტრუქციულ გარემოში წარიმართა. „ქართული ოცნების“ დეპუტატების

¹³⁵ მინისტრის საათი - საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის თეა წულუკიანის გამოსვლა, 2022 წლის 22 სექტემბერი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/supervision/minister-hours>, განახლებულია: 28.02.2023.

უმრავლესობა ამჯერადაც მადლიერებითა და საქებარი სიტყვებით მიმართავდა მინისტრს გაწეული საქმიანობის გამო. ზოგადი ტენდენციის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ კულტურის მინისტრის, ისევე, როგორც სხვა ზოგიერთი მინისტრის შემთხვევაში, დეპუტატთა ნაწილი, შეკითხვის დასმის მაგივრად, გამოდიოდა თხოვნით ან ინიციატივით, რომლებიც, როგორც წესი, მათ მშობლიურ ან სამაჟორიტარო ოლქებს შეეხებოდა.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის საათი: ლევან დავითაშვილს 6 ოქტომბერს მოუსმინეს.¹³⁶ გამოსვლა 44 წუთი გაგრძელდა. ჯამში, პროცედურა 5 საათისა და 36 წუთის განმავლობაში მიმდინარეობდა. მინისტრმა საუბარი დაიწყო ეკონომიკური ზრდის ტენდენციებზე, სხვადასხვა სექტორში აქტივობებისა და სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდაზე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოღინების ტენდენციებზე. ილაპარაკა ინფლაციასა და მასთან გამკლავების გზებზე, სიღარიბის შემცირებაზე, კაპიტალის ბაზრის რეფორმაზე, ელექტროენერჯის გენერაციაზე, განახლებადი ენერჯის პრიორიტეტულობაზე, საქართველოში ციფრული სატრანზიტო ჰაბის განვითარებაზე, საგარეო ვაჭრობის ტენდენციებზე, ინდუსტრიული ნედლეულის იმპორტსა და სხვა საკითხებზე. საუბარი შეეხო პროგრამას „აწარმოე საქართველოში“. მინისტრმა გამოყო ისეთი თემებიც, როგორებიცაა IT სფეროს წახალისება და საქართველოში საერთაშორისო კომპანიების მოზიდვა, პრივატიზაცია, ტურიზმის სექტორის მნიშვნელობა და პანდემიური პერიოდის გადალახვა.

მოხსენების თაობაზე შეკითხვა დასვა 26-მა დეპუტატმა, რომელთაგან 15 წარმოადგენდა უმრავლესობას, ხოლო 11 - ოპოზიციას. ოპოზიციის კითხვები იყო უფრო კრიტიკული, ვიდრე საპარლამენტო უმრავლესობის.

საგარეო საქმეთა მინისტრის საათი: ილია დარჩიაშვილს 20 ოქტომბერს მოუსმინეს.¹³⁷ მინისტრის გამოსვლა 1 საათი და 2 წუთი გაგრძელდა. ეს აღემატება რეგლამენტით გამოყოფილ დროს. პროცედურა, ჯამში, 5 საათისა და 22 წუთის განმავლობაში მიმდინარეობდა. მან გამოსვლა დაიწყო რეგიონში არსებულ რთულ ვითარებაზე საუბრით და ხაზი გაუსვა ქართული მხარის ძალისხმევას საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების მიმართულებით. მინისტრმა მოიხმო საერთაშორისო პარტნიორების მიერ მიღებული საქართველოს მხარდამჭერი განცხადებები და რეზოლუციები. ისაუბრა ქენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების პროცესზე, ევროინტეგრაციის კუთხით კანონმდებლობის ჰარმონიზაციასა და, ზოგადად, კოპენჰაგენის კრიტერიუმებთან თავსებადი რეფორმების გატარებაზე. მინისტრმა ილაპარაკა თავის სამუშაო ვიზიტებზეც, ასევე ევროკავშირის საგანმანათლებლო და კულტურულ სივრცეში ინტეგრაციაზე, ნატოსთან დაახლოების ასპექტებზე, ევროპის ცალკეული ქვეყნების მხრიდან საქართველოს ევროინტეგრაციის ხელშეწყობაზე, საქართველოს მიერ უკრაინის მხარდამჭერ განცხადებებსა და რეზოლუციებზე. ნაცვლად არსებულ გამოწვევებზე სიღრმისეული მსჯელობისა, გამოსვლა იყო, მეტწილად, ზედაპირული და ფორმალური. აქედან გამომდინარე, მინისტრის მხრიდან ვიზიტებისა თუ რეზოლუციების ზედაპირული ჩამოთვლა ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად.

სხდომაზე შეკითხვა დასვა 22-მა დეპუტატმა. 8 მათგანი წარმოადგენდა უმრავლესობას, ხოლო 14 - ოპოზიციას. კითხვების უმეტესობა იყოს პოლიტიკური შინაარსის, კრიტიკას მხოლოდ ოპოზიციის კითხვები შეიცავდა. „ქართული ოცნების“ შეკითხვები, უმეტესად,

¹³⁶ მინისტრის საათი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ლევან დავითაშვილის გამოსვლა, 2022 წლის 6 ოქტომბერი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/supervision/minister-hours>, განახლებულია: 28.02.2023.

¹³⁷ მინისტრის საათი - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ილია დარჩიაშვილის გამოსვლა, 2022 წლის 20 ოქტომბერი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/supervision/minister-hours>, განახლებულია: 28.02.2023.

მინისტრის საქმიანობის უფრო წარმატებულად წარმოჩენას ემსახურებოდა. გამოსვლის მსგავსად, შეკითხვებზე პასუხებიც იყო ზედაპირული. დამაზუსტებელ გამოსვლაში ერთ-ერთმა ოპოზიციონერმა დეპუტატმა¹³⁸ აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა, მინისტრი შეკითხვას ინდივიდუალურად, მისი დასამისთანავე პასუხობდეს და არა - საათნახვერიანი შესვენების შემდეგ. მისი თქმით, ასეთ შემთხვევაში მინისტრი ახერხებს, გვერდი აუაროს არასასურველ შეკითხვებს, ან დააჯგუფოს ისინი მისთვის ხელსაყრელად.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის საათი: მიხეილ ჩხენკელის მინისტრის საათი 1-ელ დეკემბერს გაიმართა:¹³⁹ გამოსვლა 1 საათი და 27 წუთი გაგრძელდა, რითაც მან კანონით დადგენილ დროს გადააჭარბა. მოხსენება, მთლიანობაში, 4 საათისა და 25 წუთის განმავლობაში მიმდინარეობდა. მინისტრმა საუბრის დასაწყისში ახსენა 2021 წელს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით დამტკიცებული 2022-2030 წლების განათლების და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია და ამავე სტრატეგიის ფარგლებში მიღებული 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა. მან ისაუბრა სკოლების ავტორიზაციის პროცესზე, ასევე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის ქართული ენის სწავლებისა და, ზოგადად, მათ მიერ ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობაზე. მინისტრის თქმით, სამინისტროსა და პარლამენტის გადაწყვეტილებით, პირველ კლასში დარეგისტრირების შესაძლებლობა მიეცათ იმ ბავშვებს, რომლებსაც 30 სექტემბრის ჩათვლით უსრულდებოდათ 6 წელი. ასევე, 2022-2023 სასწავლო წლიდან ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებებში „საქართველოს ისტორია“ დამოუკიდებელ საგნად შეისწავლება. გარდა ამისა, მინისტრმა ყურადღება გაამახვილა სკოლებში ჭადრაკის, აგრეთვე პროგრამირების სავალდებულო სწავლებაზე, ბავშვებისთვის უკრაინულენოვანი განათლების მიღების შესაძლებლობაზე, ახალი სკოლების მშენებლობასა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვთა კვების საკითხებზე. მინისტრის თქმით, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების გასაძლიერებლად.

მინისტრს შეკითხვა დაუსვა 23-მა დეპუტატმა, რომელთაგან 9 წარმოადგენდა უმრავლესობას, ხოლო 14 - ოპოზიციას. მთლიანობაში, შეკითხვები იყო თემატური და, მეტწილად, შეესაბამებოდა მინისტრის საათის პროცედურით გათვალისწინებულ შინაარსს.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის საათი: თეა ახვლედიანს პარლამენტში 15 დეკემბერს მოუსმინეს.¹⁴⁰ გამოსვლის დაწყებამდე ოპოზიციის ერთ-ერთმა დეპუტატმა წამოაყენა წინადადება ანგარიშის დახურულ ფორმატში განხილვის თაობაზე.¹⁴¹ ეს საკითხი ფარულ კენჭისყრაზე დააყენეს, თუმცა პარლამენტმა მას მხარი არ დაუჭირა. მინისტრის გამოსვლა 45 წუთის განმავლობაში მიმდინარეობდა, პროცედურა კი, მთლიანობაში, 3 საათი და 6 წუთი გაგრძელდა. თეა ახვლედიანმა ისაუბრა თავისი უწყების ამოცანებსა და კომპეტენციის სფეროზე, ხაზი გაუსვა პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ფუნქციას, სხვადასხვა უწყებასთან კოორდინაციასა და თანამშრომლობას (მათ შორის, პარლამენტთან, სახელმწიფო რწმუნებულებთან, თვითმმართველობებსა და ავტონომიური რესპუბლიკების ხელმძღვანელ პირებთან). მან ორი პრიორიტეტული მიმართულება დაასახელა: 1) საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ოკუპაციის შედეგად ხელოვნურად გაყოფილი

¹³⁸ ფრიდონ ინჯია, პოლიტიკური ჯგუფის „ევროპელი სოციალისტების“ თავმჯდომარე.

¹³⁹ მინისტრის საათი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიხეილ ჩხენკელის გამოსვლა, 2022 წლის 1-ლი დეკემბერი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/supervision/minister-hours>, განახლებულია: 28.02.2023.

¹⁴⁰ მინისტრის საათი - საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის, თეა ახვლედიანის გამოსვლა, 2022 წლის 15 დეკემბერი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/supervision/minister-hours>, განახლებულია: 28.02.2023.

¹⁴¹ ფრიდონ ინჯია, პოლიტიკური ჯგუფის „ევროპელი სოციალისტების“ თავმჯდომარე.

საზოგადოების შერიგება და ჩართულობა; 2) საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერა, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის უზრუნველყოფა, კულტურათაშორისი ურთიერთობების განმტკიცება. მინისტრმა ახსენა მოსახლეობასთან შეხვედრები მათი პრობლემების მოსასმენად და შემდგომი რეაგირებისთვის, რისთვისაც მისი სამინისტრო შესაბამის კომპეტენტურ უწყებებს მიმართავდა. მან ასევე ისაუბრა საერთაშორისო სტრუქტურებთან, ქვეყნებთან და დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან პარტნიორობაზე. მოხსენების შინაარსი არსებითად მიჰყვებოდა წარმოდგენილ ანგარიშს.

სახელმწიფო მინისტრს კითხვა დაუსვა 9 დეპუტატმა, რომელთაგან 2 წარმოდგენდა სპარლამენტო უმრავლესობას, 1 კი - ოპოზიციას. სხვა შემთხვევების მსგავსად, „ქართული ოცნების“ წევრები ამჯერადაც მინისტრის საქმიანობისადმი მაღლიერების გამოხატვით შემოიფარგლებოდნენ. ერთ-ერთმა ოპოზიციონერმა დეპუტატმა აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა, მინისტრს უფრო მეტად ყურადღება გაემახვილებინა გამოწვევებსა და პრობლემებზე, მათი გამოსწორების გზების დასახვის მიზნით. კითხვები, მთლიანობაში, იყო თემატური და ეხებოდა სამინისტროს საქმიანობის მიმართულებებს.

იუსტიციის მინისტრის საათი: რატი ბრეგაძის მოსმენა სპარლამენტში 4 ნოემბერს უნდა გამართულიყო, თუმცა 16 დეკემბრისთვის გადაიდო.¹⁴² მის გამოსვლას წინ უძღოდა ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის სამედიცინო დაწესებულებაში ყოფნის კადრების გავრცელება. ამ ფაქტის გამო, სხდომათა დარბაზში ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა სააკაშვილის მხარდაჭერი პლაკატები გაშალეს. პროცედურა ხმაურისა და დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობდა. ერთ-ერთი დეპუტატი დარბაზიდან დაითხოვეს.¹⁴³ მოგვიანებით კი, ზემოხსენებული ფრაქციის წევრებმა სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვეს. რატი ბრეგაძის გამოსვლა 1 საათი და 37 წუთი გაგრძელდა, რაც რეგლამენტით განსაზღვრულ დროს აღემატებოდა. პროცედურა, მთლიანობაში, 6 საათი და 10 წუთი მიმდინარეობდა.

მოხსენების დაწყებამდე მინისტრმა მოკლედ შეაფასა „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელთა პროტესტი და მათი ქმედებები გააკრიტიკა. მინისტრმა ისაუბრა ახალი იუსტიციის სახლების გახსნაზე და აღნიშნა, რომ წლის ბოლოდან საქართველოში მოქმედ ყველა „საზოგადოებრივ ცენტრში“ შესაძლებელი იქნება იმ მომსახურების მიღება, რომელსაც იუსტიციის სახლი გასცემს. ასევე ილაპარაკა „მობილური“ იუსტიციის სახლების შესახებ. მინისტრმა სამართლის ისტორიის ჰოლოგრაფული მუზეუმის გახსნა დააანონსა.

მინისტრმა ისაუბრა: მიწების რეგისტრაციის შესახებ; სოფლებში ადამიანების დამისამართების საკითხზე, რაც, მისი აზრით, მნიშვნელოვნად მოაგვარებდა საარჩევნო სიებთან დაკავშირებულ პრობლემებს; ნოტარიუსებისთვის ზღვრული ასაკის ზრდაზე (65 წლის ნაცვლად - 70 წელი); პენიტენციურ დაწესებულებებში გატარებულ რეფორმებსა და პატიმრების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე; იუსტიციის სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს შორის ეფექტიან თანამშრომლობაზე. მისი თქმით, იუსტიციის სახლებში გახსნილია ახალი რეკრუტირების ცენტრები, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია, მიიღოს სრული ინფორმაცია სამხედრო სამსახურის შესახებ. მან ისაუბრა ასევე საერთაშორისო სასამართლოებში საქართველოს წარმომადგენლობაზე.

¹⁴² მინისტრის საათი - საქართველოს იუსტიციის მინისტრ რატი ბრეგაძის გამოსვლა, 2022 წლის 16 დეკემბერი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/supervision/minister-hours>, განახლებულია: 28.02.2023.

¹⁴³ „შალვა პაპუაშვილმა სალომე სამადაშვილს დარბაზი დაატოვებინა“, ინტერპრესნიუსი, 2022 წლის 16 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3IEUZbq>, განახლებულია: 28.02.2023.

სულ, შეკითხვა დასვა 28 დეპუტატმა. მათგან 22 იყო უმრავლესობის, ხოლო 6 - ოპოზიციის წარმომადგენელი. გამომსვლელთა საკმაოდ დიდი ნაწილი დაინტერესდა აქტუალური საკითხებით, მიხეილ სააკაშვილის ირგვლივ არსებული ვითარებით. თავად მინისტრს მოხსენების დროს ეს თემა არ უხსენებია, თუმცა საპასუხო გამოსვლაში, შეკითხვებიდან გამომდინარე, მიხეილ სააკაშვილზე საუბარს თავი ვერ აარიდა. მან ერთ-ერთი განაჩენიდან წაიკითხა ამონარიდი, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს ციხეში არაადამიანური მოპყრობის ფაქტებს ასახავდა. ამას დეპუტატ ხათუნა სამნიძის გაღიზიანება მოჰყვა. დამაზუსტებელი შეკითხვები დეპუტატებმა პოლიტიკური ურთიერთბრალდებებისთვის გამოიყენეს.

5.4. ანგარიშვალდებული თანამდებობის პირების პლენარულ სხდომაზე მოწვევა

პარლამენტის რეგლამენტი, გარდა თანამდებობის პირთა პლენარულ სხდომაზე საკუთარი სურვილით გამოცხადებისა, ასევე იცნობს მათი დაბარების შესაძლებლობასაც. კომიტეტის ან ფრაქციის მოთხოვნის საფუძველზე, პარლამენტის დამსწრეთა უმრავლესობის, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის 1/3-ის მხარდაჭერით შესაძლებელია საკანონმდებლო ორგანოს წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირის პლენარულ სხდომაზე დაბარება, რათა მან წარმოადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში და პასუხი გასცეს დასმულ შეკითხვებს.¹⁴⁴ 2021 წლის საშემოდგომო,¹⁴⁵ 2022 წლის საგაზაფხულო¹⁴⁶ და საშემოდგომო¹⁴⁷ სესიებზე, ისევე, როგორც 2019-20 წლებში, პარლამენტს ეს მექანიზმი არ გამოუყენებია.¹⁴⁸ ამის მიზეზად შეიძლება დასახელდეს გადაწყვეტილების მიღების კვორუმი და ამ კუთხით უმრავლესობის პასიურობა. ერთი მხრივ, იგი არ უნდა იყოს სრული შემადგენლობის 1/3-ზე ნაკლები, თუმცა, იმავდროულად, უნდა იყოს დამსწრეთა უმრავლესობა. ზოგჯერ „დამსწრეთა უმრავლესობა“ უფრო მეტია, ვიდრე ოპოზიციის ხმები. ამის საპირისპიროდ, უმრავლესობას, რომელსაც აქვს „დამსწრეთა უმრავლესობის“ მოსაპოვებლად საჭირო ხმები, არ არის დაინტერესებული, მინისტრი პლენარულ სხდომაზე დაიბაროს.

5.5. ინტერპელაცია

5.5.1. ინტერპელაციის არსი

ტრადიციულ პარლამენტარიზმში ინტერპელაცია არის ერთი ან რამდენიმე პარლამენტარის მიმართვა ერთი მინისტრისა ან მთელი მთავრობისადმი. ის მიზნად ისახავს ძირითად პოლიტიკაზე დებატების დაწყებას, რომელიც შეიძლება კონკრეტულ საკითხზე გაიმართოს.¹⁴⁹ დებატების ბოლოს გათვალისწინებულია კენჭისყრა დღის წესრიგთან დაკავშირებით.¹⁵⁰ დღის წესრიგი შეიძლება იყოს „უბრალო“ ან „მოტივირებული“.¹⁵¹ „უბრა-

¹⁴⁴ საქართველოს კონსტიტუცია, 44-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

¹⁴⁵ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 აპრილის №3678/2-7/22 წერილი.

¹⁴⁶ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 სექტემბრის №8820/2-7/22 წერილი.

¹⁴⁷ საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 31 იანვრის №885/2-7/23 წერილი.

¹⁴⁸ ვახუშტი მენაბდე და სხვები, დასახელებული ნაშრომი, 27.

¹⁴⁹ ფილიპ ლოვო, პარლამენტარიზმი, მ. ბალანჩივაძისა და ნ. ცქიტიშვილის თარგმანი, ვ. კეშელავასა და მ. მაცაბერიძის რედაქტორობით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, 2005, 99.

¹⁵⁰ ლანა ცანავა, მთავრობის პასუხისმგებლობის პრინციპები და კონსტიტუციონალიზმის პრაქტიკა, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2020, 90.

¹⁵¹ იქვე.

ლო“ ნიშნავს, რომ პარლამენტი აზრს არ გამოთქვამს მთავრობის მიმართ, ხოლო „მოტივირებული“ შემთხვევაში - გამოხატავს ნდობას ან უნდობლობას.¹⁵²

სიტყვა „ინტერპელაცია“, შესაძლოა, სხვადასხვა იურისდიქციაში გამოიყენებოდეს, თუმცა მისი ფორმა, შინაარსი, ფუნქციები და შედეგები განსხვავებული იყოს.¹⁵³ ინტერპელაციას შემდეგი თვისებები ახასიათებს: 1) მისი საშუალებით გამოითხოვება მთავრობიდან ინფორმაცია, ახსნა-განმარტებები საჯარო ინტერესის მქონე იმ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც არ შედის პარლამენტის დღის წესრიგში, თუმცა დეპუტატები მიიჩნევენ, რომ მათ შესახებ საკანონმდებლო ორგანო და საზოგადოება ინფორმირებულნი უნდა იყვნენ.¹⁵⁴ 2) ეს მექანიზმი საშუალებას იძლევა, გონივრულ ფარგლებში გაიმართოს დებატები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ და საკუთარ პოზიციებს დააფიქსირებენ ინტერპელანტი, შესაბამისი მინისტრი და საკანონმდებლო ორგანოს სხვა წევრები.¹⁵⁵ 3) პროცედურის ბოლოს მექანიზმი შეიძლება მხოლოდ ინფორმაციის მიღებით შემოიფარგლოს, ან დღის წესრიგში დადგეს მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი.¹⁵⁶ ვოტუმის ფარგლებში, შესაძლოა, პარლამენტმა აღმასრულებელ ხელისუფლებას მხარდაჭერა გამოუცხადოს, ან, სათანადო ხმების არსებობის შემთხვევაში, გაიცხვის რეზოლუცია მიიღოს.¹⁵⁷

5.5.2. ინტერპელაციის ჩატარების სიხშირე და თითოეული ინტერპელაციის დრო

ინტერპელაცია 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად დამკვიდრდა საქართველოში.¹⁵⁸ რეგლამენტმა მისი ფართო მოწესრიგება შემოგვთავაზა. თავდაპირველი რედაქციით, ინტერპელაცია წელიწადში 4-ჯერ, თითო სესიაზე 2-ჯერ იმართებოდა.¹⁵⁹ უშუალოდ ინტერპელაციისთვის გამოყოფილი იყო მარტის, მაისის, სექტემბრისა და ნოემბრის პლენარული სხდომების ბოლო კვირის პარასკევი.¹⁶⁰ 7-მა დეპუტატმა ან ფრაქციამ ადრესატს ინტერპელაცია სხდომამდე 10 დღით ადრე მაინც უნდა გაუგზავნოს.¹⁶¹

ევროპის ქვეყნებში ინტერპელაციები საკმაოდ ხშირად იმართება. იგი მოთხოვნიდან, საშუალოდ, 15 დღეში ტარდება.¹⁶² საქართველოში ამ მექანიზმის იშვიათად გამოყენება საპარლამენტო კონტროლის ხარისხზე აისახება. ქვემოთ ეს პრობლემა თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი.

გარდა სიხშირისა, პრობლემური იყო უშუალოდ პროცედურის სრულყოფილად ჩატარებისთვის გამოყოფილი დრო. რეგლამენტის თავდაპირველი რედაქცია საკმაოდ მცირე დროს განსაზღვრავდა ინტერპელაციისთვის, თუ ერთსა და იმავე დღეს რამდენიმე ადრესატი იყო დაბარებული. ეს პრაქტიკა საიამ გააკრიტიკა.¹⁶³ მართალია, მოგვიანებით

¹⁵² იქვე.

¹⁵³ Matti Wiberg, Parliamentary Questioning: Control by Communication?, in Parliaments and Majority Rule in Western Europe, Herbert Döring, ed. A publication of the Mannheim centre for European Social Research (MZES) at the University of Mannheim, 1995, 184.

¹⁵⁴ Ibid, 186.

¹⁵⁵ Ibid.

¹⁵⁶ Ibid.

¹⁵⁷ Ibid.

¹⁵⁸ საქართველოს კონსტიტუცია, 43-ე მუხლი.

¹⁵⁹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი (2022 წლის 2 ნოემბრის ცვლილებებამდე არსებული რედაქცია), 149-ე მუხლი, მე-5 პუნქტი.

¹⁶⁰ იქვე.

¹⁶¹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 149-ე მუხლის 1-ლი და მე-5 პუნქტები.

¹⁶² ვახუშტი მენაბდე და სხვები, დასახელებული ნაშრომი, 33.

¹⁶³ იქვე, 34-36.

ნორმა შეიცვალა,¹⁶⁴ თუმცა იგი მაინც ითვალისწინებდა დროის შემცირებას. კერძოდ, თუ ერთ დღეს 2-ზე მეტი ინტერპელაციის გამართვა იყო დაგეგმილი, პარლამენტის ბიურო თითოეული მათგანის გამოსვლის ხანგრძლივობას ამცირებდა, რათა ყველა პროცედურის გავლა შესაძლებელი ყოფილიყო.¹⁶⁵ ამასთანავე, მისი პროპორციული გამოთვლა იწყებოდა ორი ინტერპელაციისთვის ჯამურად განკუთვნილი დროიდან.¹⁶⁶ მართალია, ეს წესი წინა რედაქციას აუბოძებდა, თუმცა არასაკმარისი იყო. ინტერპელაციის დანიშნულებაა, ინფორმაციის მიღება თანამდებობის პირისგან. ამიტომ, მიზანი უნდა იყოს არა ყველა პროცედურის მოსწრება, რათა ფორმალურად შესრულდეს ამ ზედამხედველობის მექანიზმის მოთხოვნები, არამედ ჯეროვანი კონტროლის განხორციელება. შესაბამისად, საია წლების განმავლობაში მოუწოდებდა საკანონმდებლო ორგანოს, გაზრდილიყო ინტერპელაციების გამართვის რაოდენობა და იგი თვეში ერთხელ მაინც გამართულიყო.¹⁶⁷

2022 წლის 2 ნოემბრის ცვლილებებით, პარლამენტმა ნაწილობრივ გაიზიარა საიას მოსაზრება. ახალი რედაქციით, ინტერპელაცია ტარდება, როგორც წესი, მორიგი სესიის განმავლობაში ყოველი თვის პლენარული სხდომების ბოლო კვირის პარასკევს. ამასთანავე, ადრესატმა უნდა უპასუხოს ყველა შეკითხვას, რომლებიც მას გადაეცა ამ დრომდე არაუგვიანეს 10 დღისა.¹⁶⁸ თუმცა, ნორმას ერთი დათქმა აქვს. ივნისსა და დეკემბერში ინტერპელაცია არ ტარდება.¹⁶⁹ საკომიტეტო განხილვებზე გაკეთებული განმარტებების თანახმად, ივნისში პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური მოხსენებაა, ხოლო დეკემბერში ბიუჯეტის მიღება. ამიტომ, საპარლამენტო მუშაობის გადატვირთვის დასაზღვევად, რეგლამენტმა ამ თვეებში ინტერპელაციის გამართვა არ დაუშვა.¹⁷⁰ დასახელებული ცვლილებები პოზიტიურად უნდა შეფასდეს.

2021 წლის საშემოდგომო სესია

2021 წლის საშემოდგომო სესიის განმავლობაში, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 149-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ შვიდკაციან ჯგუფს, ასევე საპარლამენტო ფრაქციას, ინტერპელაციის წესით, შეკითხვით არ მიუმართავთ საქართველოს მთავრობისთვის, მთავრობის წევრისა და საქართველოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული სხვა ორგანოსთვის. შესაბამისად, 2021 წლის საშემოდგომო სესიაზე ინტერპელაცია არ გამართულა.

2022 წლის საგაზაფხულო სესია

2022 წლის საგაზაფხულო სესიაზე 3-მა საპარლამენტო სუბიექტმა გაუგზავნა ადრესატს შეკითხვა ინტერპელაციის პროცედურის ფარგლებში. ფრაქციამ „ქართული ოცნება“ 2022 წლის 10 მაისს, ინტერპელაციის წესით, შეკითხვით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ასევე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრებს,

¹⁶⁴ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 2020 წლის 1-ლი ივლისის ცვლილება.

¹⁶⁵ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 149-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

¹⁶⁶ იქვე.

¹⁶⁷ ვახუშტი მენაბდე და სხვები, დასახელებული ნაშრომი, 33.

¹⁶⁸ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 149-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

¹⁶⁹ იქვე.

¹⁷⁰ საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის 2022 წლის 19 სექტემბრის №79 სხდომის ოქმი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3kqYeVi>, განახლებულია: 10.01.2023.

პარლამენტის წევრთა არანაკლებ შვიდაცინამა ჯგუფმა¹⁷¹ 27 აპრილს - საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ხოლო ფრაქციამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ 7 მარტს - საქართველოს იუსტიციის მინისტრს.¹⁷²

2022 წლის საგზაფხულო სესიაზე გაგზავნილი ოთხივე ინტერპელაცია გაიმართა 27 მაისს.¹⁷³ ამან გამოიწვია ბიუროს მიერ თითოეული ინტერპელაციისთვის განკუთვნილი დროის პროპორციულად შემცირება. შედეგად, თითოეული ადრესატის მოსასმენად და მთლიანი პროცედურისთვის მაქსიმუმ 2 საათი და 45 წუთი განისაზღვრა.¹⁷⁴ 4 ინტერპელაციის გამო, რეგლამენტის შესაბამისად, გამოსვლების დროც პროპორციულად შემცირდა. აქედან გამომდინარე, უფრაქციო წევრებს ამისთვის მხოლოდ 2-2 წუთი მიეცათ, პოლიტიკურ ჯგუფებს - 8 წუთი, ფრაქციებს კი - 15-15 წუთი. პროცესის მიმდინარეობისას თავმჯდომარემ დეპუტატებს მცირედი დროის დამატების საშუალება არ მისცა. ამგვარი მიდგომა, განსაკუთრებით, გამოსვლისთვის მხოლოდ 2 წუთის მიცემა აზიანებს მთლიან პროცედურას და საფრთხეს უქმნის საკითხების გარშემო სიდრმისეული დებატების წარმოებას. განხილული შემთხვევები ცუდი ტენდენციის მაჩვენებელია. მისასალმებელია, რომ პარლამენტმა გაიზიარა საიას მოსაზრებები და 2023 წლიდან შესაძლებელი იქნება ინტერპელაციის ყოველთვიურად გამართვა. ეს, სავარაუდოდ, შეამცირებს ერთ დღეს რამდენიმე პროცედურის ჩატარებას. თუმცა, 2-ზე მეტი ინტერპელაციის შემთხვევაში რეგლამენტი მაინც უშვებს დროის პროპორციულად შემცირებას.¹⁷⁵ ეს კი კვლავ ტოვებს დღის გადატვირთვისა და ინტერპელაციების არასრულფასოვნად წარმართვის რისკებს. აუცილებელია, ამგვარი პრაქტიკა აღმოიფხვრას, რათა კონტროლის მექანიზმმა თავისი რეალური ფუნქცია შეასრულოს.

2022 წლის საშემოდგომო სესია

2022 წლის საშემოდგომო სესიაზე სექტემბრის ბოლო კვირაში უნდა გამართულიყო 4 ინტერპელაცია, თუმცა, გაეროს გენერალური ასამბლეის 77-ე სესიაზე მონაწილეობის მიზნით მინისტრების ვიზიტის გამო, მხოლოდ 1 პროცედურა გაიმართა.¹⁷⁶ დანარჩენი 3 კი ნოემბრის ბოლო სასესიო კვირისთვის გადაიდო.¹⁷⁷

¹⁷¹ პარლამენტის წევრები: დავით უსუფაშვილი, ანა ნაცვლიძე, სალომე სამადაშვილი, შალვა შავგულიძე, არმაზ ახვლედიანი, თამარ კორძია, დილარ ხაბულიანი.

¹⁷² საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 სექტემბრის №8820/2-7/22 წერილი.

¹⁷³ იქვე.

¹⁷⁴ ინტერპელაციის პროცედურის განრიგი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/300981>, განახლებულია: 05.10.22.

¹⁷⁵ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 149-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

¹⁷⁶ ინტერპელაცია - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა მინისტრის ზურაბ აზარაშვილის მოსმენა, 2022 წლის 23 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/supervision/interpellation>, განახლებულია: 28.02.2023.

¹⁷⁷ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილის ინფორმაცია 2022 წლის 20 სექტემბრიდან 26 სექტემბრის ჩათვლით ამერიკის შეერთებულ შტატებში მივლინების გამო, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის საქართველოს პარლამენტში ინტერპელაციის წესით მოსმენის თარიღის გადადების შესახებ, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/24666>, განახლებულია: 28.02.2023; საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაცია საქართველოს პრემიერ-მინისტრის (სამთავრობო დელეგაციასთან ერთად) 2022 წლის 18-25 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის გამო ინტერპელაციის წესით დასმულ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად საქართველოს პარლამენტის 23 სექტემბრის პლენარულ სხდომაზე დაუსწრებლობის შესახებ, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/24652>, განახლებულია: 28.02.2023;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრ მიხეილ ჩხენკელის ინფორმაცია 2022 წლის 18 სექტემბრიდან 25 სექტემბრის ჩათვლით ამერიკის შეერთებულ შტატებში მივლინების გამო ინტერპელაციის წესით დასმულ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დაუსწრებლობისა და ინტერპელაციის წესით დასმული შეკითხვების შესახებ, საქართველოს პარლამენტის

18 ნოემბერს გაიმართა 2 ინტერპელაცია. ამ პროცედურის ფარგლებში პარლამენტის წინაშე წარდგინდა პრემიერ-მინისტრი და განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.¹⁷⁸ ამავე დღეს იყო დაგეგმილი საგარეო საქმეთა მინისტრის ინტერპელაციაც, თუმცა, მისი ავადმყოფობის მიზეზით, პროცედურა აღარ ჩატარდა. გამომდინარე იქიდან, რომ 2022 წელს ინტერპელაციები აღარ გაიმართება, მისი მოსმენა, სავარაუდოდ, მომდევნო წელს გადავიდა, ან, შესაძლოა, სულ გაუქმდეს, რითაც კონსტიტუცია დაირღვევა. ამასთანავე, რამდენიმე თვის შემდეგ მისი მოწვევა აზრს უკარგავს მთლიან პროცედურას.

5.5.3. ინტერპელაციის თემისა და გამართული დებატების შესაბამისობა

ინტერპელაციის მექანიზმის დანიშნულებაა, მთავრობის წევრისგან მიიღოს ამომწურავი პასუხი გაგზავნილ შეკითხვაზე. ამიტომ, კითხვა-პასუხი სწორედ განსახილველი საკითხის ირგვლივ უნდა იმართებოდეს. ამის საპირისპიროდ, მე-9 მოწვევის პარლამენტში დეპუტატები ხშირად მიმდინარე ან მათთვის საინტერესო სხვა საკითხებზე უსვამდნენ კითხვებს ადრესატებს.¹⁷⁹ საიას პოზიციით, ამგვარი მიდგომა აზიანებს მექანიზმის ეფექტიანობას. აუცილებელია, ინტერპელაციის დროს არსებობდეს თანხვედრა შეკითხვების თემატიკასა და საპარლამენტო დისკუსიას შორის.¹⁸⁰

2022 წლის საგაზაფხულო სესია

პრემიერ-მინისტრის ინტერპელაცია

2022 წლის 27 აპრილს პარლამენტის წევრთა შვიდკაციანმა ჯგუფმა პრემიერ-მინისტრს, ინტერპელაციის წესით, კითხვით მიმართა, კერძოდ - რა სამართლებრივ და ადმინისტრაციულ ღონისძიებებს ახორციელებდა საქართველოს მთავრობა იმისთვის, რომ საქართველოს ტერიტორიის, საქართველოში რეგისტრირებული ფიზიკური და იურიდიული პირებისა თუ სხვა სუბიექტების გამოყენებით არ დარღვეულიყო შესაბამისი სანქციების რეჟიმი რუსეთის ფედერაციისა და მისი წარმომადგენლების მიერ.¹⁸¹

ინტერპელაციის პროცედურის ფარგლებში პრემიერ-მინისტრი დეპუტატების წინაშე 27 მაისს წარდგა.¹⁸² მისი გამოსვლა გაგრძელდა, დაახლოებით, 20 წუთი (შეკითხვის ავტორის მიერ დაზუსტების უფლების გამოყენების ხარჯზე), ხოლო ინტერპელაცია, მთლიანობაში - 2 საათი და 24 წუთი. ირაკლი ღარიბაშვილმა ისაუბრა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან უკრაინის დასახმარებლად გადადგმულ ნაბიჯებზე. მისი თქმით, სანქციებთან მიმართებით საქართველოს მთავრობის პოზიცია სრულად შეესაბამებოდა

ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/24648>, განახლებულია: 28.02.2023.

¹⁷⁸ ინტერპელაცია, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი (შეკითხვის გაგზავნის დრო 07.09.2022), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი (შეკითხვის გაგზავნის დრო 08.09.2022), საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/supervision/interpellation>, განახლებულია: 28.02.2023.

¹⁷⁹ ვახუშტი მენაბდე და სხვები, დასახელებული ნაშრომი, 36-39.

¹⁸⁰ იქვე.

¹⁸¹ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 სექტემბრის №8820/2-7/22 წერილი; საქართველოს პარლამენტის წევრების დავით უსუფაშვილის, ანა ნაცვლიძის, სალომე სამადაშვილის, შალვა შავგულიძის, არმან ავლედიანის, თამარ კორძაიას და დილარ საბულიანის 2022 წლის 27 აპრილის №3800/3-98/22 წერილი პრემიერ-მინისტრს, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3IBVJD8>, განახლებულია: 28.02.2023.

¹⁸² ინტერპელაცია, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლა, 2022 წლის 27 მაისი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/supervision/interpellation>, განახლებულია: 28.02.2023.

თანამეგობრობის პოზიციას და დასავლური სანქციების გვერდის ავლა შეუძლებელი იყო. პრემიერის განმარტებით, ქვეყანაში ეროვნული სანქციების დაწესება არ იგეგმებოდა.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ მას წერილობითი პასუხიც ჰქონდა გამოგზავნილი, რომელშიც უფრო დეტალურად იყო საუბარი კონკრეტულ ადმინისტრაციულ დონის დიეზელზე. შეკითხვის ავტორის, დავით უსუფაშვილის თქმით, პარლამენტარებს ეს საპასუხო წერილი არ მიუღიათ (პროცედურის მიმდინარეობისას არ ჰქონდათ მიღებული). უსუფაშვილმა დასვა ასევე დამაზუსტებელი კითხვა საქართველოს ევროპულ პერსპექტივასა და ამ კუთხით მთავრობის ქმედებებთან დაკავშირებით. ანა ნაცვლიშვილის შეკითხვაზე, სად შეიძლებოდა დეპუტატებს პრემიერ-მინისტრის წერილობითი პასუხი ენახათ, პარლამენტის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ რეგლამენტი ზუსტ დროს არ განსაზღვრავდა და ის მოგვიანებით დაურიგდებოდათ. **რეკომენდებულია, ადრესატის წერილობით პასუხი პარლამენტის წევრებს სხდომამდე წარედგინოთ. ეს მათ მისცემს შესაძლებლობას, ადეკვატურად მოემზადონ პროცედურისთვის.** დებატების დროს სიტყვით გამოვიდა 19 პარლამენტარი, რომელთაგან 15 წარმოადგენდა ოპოზიციას, ხოლო 4 - მმართველ პარტიას. გამომსვლელთა უმეტესობის მიერ გამოთქმული მოსაზრებები პირდაპირ არ უკავშირდებოდა ინტერპელაციის შინაარსს. მათი ნაწილი მაქსიმალურად ცდილობდა, ბევრ თემას შეეხებოდა. ამდენად, ისინი, ნაწილობრივ, საუბრობდნენ ინტერპელაციის საკითხზე, თუმცა, დამატებით, ყურადღებას ამახვილებდნენ სხვა ასპექტებზეც, მაგალითად, ევროინტეგრაციაზე, სასამართლო რეფორმის აუცილებლობაზე და სხვა.

იუსტიციის მინისტრის ინტერპელაცია

2022 წლის 27 მაისს პარლამენტში, ინტერპელაციის წესით, იუსტიციის მინისტრი რატი ბრეგაძე წარდგა.¹⁸³ მან ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ შეკითხვას უპასუხა, რომელიც შეეხებოდა სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში ბრალდებულთა (მსჯავრდებულთა) უფლებების დაცვის კუთხით გატარებულ ღონისძიებებს და მათ შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილ სტანდარტებთან.¹⁸⁴

სხდომაზე შეკითხვა წარმოადგინა ხატია დეკანოიძემ. მან, ძირითადად, ყურადღება გაამახვილა მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობასა და მის მიმართ შესაძლო არაადამიანურ მოპყრობაზე.

მინისტრის გამოსვლა 15 წუთი გაგრძელდა. მან საუბარი დაიწყო წინა ხელისუფლების დროს პენიტენციურ სისტემაში არსებულ პრობლემებზე, შემდეგ კი მიმოიხილა პატიმართა ამჟამინდელი უფლებრივი მდგომარეობა, ყოფითი პირობები და სარეაბილიტაციო სერვისები. ინტერპელაციის კითხვის ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე, იუსტიციის მინისტრის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია იყო საკითხის შესაბამისი და ადეკვატური.

დებატების დროს სიტყვით გამოვიდა 11 დეპუტატი: 4 - ოპოზიციიდან, ხოლო 7 - მმართველი პარტიიდან. ოპოზიციის წარმომადგენლები, ძირითადად, მესამე პრეზიდენტის მდგომარეობაზე საუბრობდნენ, ხოლო უმრავლესობის წევრები წინა ხელისუფლებას

¹⁸³ ინტერპელაცია, საქართველოს იუსტიციის მინისტრ რატი ბრეგაძის გამოსვლა, 2022 წლის 27 მაისი, შეკითხვის გაგზავნის დრო 07.02.2022, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/supervision/interpellation>, განახლებულია: 28.02.2023.

¹⁸⁴ ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ 2022 წლის 7 მარტის №2015/3-23/22 წერილი იუსტიციის მინისტრს, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3mbxVcW>, განახლებულია: 28.02.2023.

აკრიტიკებდნენ. პროცედურის ფარგლებში წარმართული დისკუსია, მეტწილად, არ მიემართებოდა შეკითხვის შინაარსს, აქცენტები კეთდებოდა დაკავებულ პოლიტიკურ პირებთან დაკავშირებულ აქტუალურ თემებზე და არა - პენიტენციურ სისტემაში არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობაზე.

საგარეო საქმეთა მინისტრის ინტერპელაცია

„ქართული ოცნების“ მიერ საგარეო საქმეთა მინისტრისადმი გაგზავნილი შეკითხვები ევროკომისიის კითხვარის შევსების პროცესს მიემართებოდა,¹⁸⁵ კერძოდ: რა სამუშაო გასწიეს სახელმწიფო სტრუქტურებმა ევროკომისიის კითხვარის სათანადო დონეზე მოსამზადებლად; მინისტრის აზრით, რა საკითხებზე გაამახვილებდა ყურადღებას ევროკომისია შეფასების პროცესში და როდის გამოქვეყნდებოდა შეფასების დოკუმენტი; როგორი იყო სამინისტროს მოლოდინი საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით; ევროკომისიის კითხვარზე მუშაობის შედეგად, რა სფეროები გამოიკვეთა, როგორც ყველაზე წარმატებული და რომელი მიმართულებით სჭირდებოდა ქვეყანას გაძლიერება; აგრეთვე, ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან რა სახის დიპლომატიურ სამუშაოს ახორციელებდა საგარეო საქმეთა სამინისტრო კანდიდატის სტატუსის მისაღებად.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოსმენა ინტერპელაციის პროცედურის ფარგლებში 27 მაისს გაიმართა.¹⁸⁶ მინისტრი პასუხის გაცემისას ნაკლებად შეუწო კითხვას - რომელი მიმართულებით სჭირდებოდა ქვეყანას გაძლიერება. გამოსვლა 19 წუთი გაგრძელდა. 9 შეკითხვა დასვა ოპოზიციამ, 9 - უმრავლესობამ. მამუკა მდინარაძემ მთელი გამოსვლა დაუთმო ოპოზიციის კომენტარების ციტირებას (კანდიდატობის საკითხზე, უკრაინასთან ურთიერთობაზე) და კრიტიკას. „ქართული ოცნების“ სხვა წარმომადგენლებმაც „ოპონენტების მხრიდან დესტრუქციასა“ და „საკუთარ სწორ პოლიტიკაზე“ ისაუბრეს. ოპოზიციის შეკითხვები, უმეტესად, სცილდებოდა ინტერპელაციის საკითხს, ან დეპუტატები ცდილობდნენ, ნებისმიერი არათემატური კითხვა მასთან როგორმე დაეკავშირებინათ. მინისტრმა აღნიშნა, რომ იგი პასუხს არ გაცემდა იმ კითხვებს, რომლებიც პროცედურის შინაარსს არ შეესაბამებოდა.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ინტერპელაცია

„ქართულმა ოცნებამ“ ინტერპელაციის მექანიზმი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მიმართაც გამოიყენა.¹⁸⁷ დაისვა შემდეგი კითხვები: რეგიონსა და მსოფლიოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები რა გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკაზე; როგორია მოლოდინები და რა ხედვა აქვს საქართველოს მთავრობას; რა კეთდება და რა ტიპის კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა იგეგმება ეკონომიკის სტიმულირებისთვის.

აღსანიშნავია, რომ ინტერპელაციის შეკითხვები იყო ძალიან ზოგადი. ამის მიუხედა-

¹⁸⁵ ფრაქცია „ქართული ოცნების“ 2022 წლის 10 მაისის №4155//3-65/22 წერილი საგარეო საქმეთა მინისტრს, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3IE6Czy>, განახლებულია: 28.02.2023.

¹⁸⁶ ინტერპელაცია, საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი, 2022 წლის 27 მაისი, წერილის გაგზავნის დრო 10 მაისი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/supervision/interpellation>, განახლებულია: 28.02.2023.

¹⁸⁷ ფრაქცია „ქართული ოცნების“ 2022 წლის 10 მაისის №4154//3-65/22 წერილი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3yhOc5s>, განახლებულია: 28.02.2023.

ვად, პროცედურის ფარგლებში დასმული საკითხები მაინც სცდებოდა ამ სამინისტროს საქმიანობის სფეროს. მინისტრის გამოსვლა 23 წუთი გაგრძელდა. იგი ყველა შეკითხვას შეეხო. კითხვების დასმის უფლებით ისარგებლა ოპოზიციის 10-მა და უმრავლესობის 8 წარმომადგენელმა. ამ უკანასკნელთა გამოსვლები, ძირითადად, შეიცავდა ოპოზიციის კრიტიკას, ხოლო მინისტრის მისამართით - მადლიერებას და ქებას.¹⁸⁸

2022 წლის სამშობლოდ სესია

2022 წლის სამშობლოდ სესიაზე 3 ინტერპელაცია გაიმართა. კვლავ გადაიდო საგარეო საქმეთა მინისტრის გამოსვლა, რომელსაც შეკითხვა 2022 წლის 7 სექტემბერს გაეგზავნა.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა მინისტრის ინტერპელაცია

23 სექტემბერს გაიმართა ზურაბ აზარაშვილის მოსმენა ინტერპელაციის პროცედურის ფარგლებში.¹⁸⁹ შეკითხვა დაპუტატთა 7-კაციანმა ჯგუფმა¹⁹⁰ 5 სექტემბერს გაგზავნა).¹⁹¹

ინტერპელაცია შეეხებოდა საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამას, რომელიც მთავრობის დადგენილებით 2022 წლის 17 თებერვალს დამტკიცდა. პროგრამა გულისხმობს სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი მოქალაქეების დასაქმებას. ინტერპელაციის ავტორების მოსაზრებით, მმართველი პარტია ამ პროგრამას, რომელიც, თავისი არსით, არ არის ცუდი, არაკეთილსინდისიერად, პროგრამით განსაზღვრული მიზნების უფლებებელყოფით და მხოლოდ პარტიისთვის მისაღები პირების დასაქმებისთვის იყენებს. შეკითხვის ერთ-ერთი ავტორის, ბექა ლილუაშვილის პოზიციით, მოქალაქეები დისკრიმინაციულად შეირჩევიან, ხოლო ხშირ შემთხვევაში მუნიციპალიტეტებს არ აქვთ დამატებითი კადრების აყვანის საჭიროება. გარდა ამისა, მისი თქმით, დასაქმებული პირები ვერ იმადლებენ კვალიფიკაციას და პროგრამის დასრულების შემდეგ კვლავ გაუჭირდებათ შრომით ბაზარზე თავის დამკვიდრება.

შეკითხვის ავტორმა, ჯამში, 15 წუთი ისაუბრა, რაც, ფორმალურად, აღემატება რეგლამენტით გათვალისწინებულ დროს. მინისტრის გამოსვლა კი 16 წუთი გაგრძელდა. მისი თქმით, ვერცერთი რეალური პრობლემა ვერ მოისმინა. მინისტრმა დაპუტატებისთვის წერილობითი ფორმით წარმოდგენილი პასუხის ტექსტი სიტყვასიტყვით წაიკითხა.

რეგლამენტით გათვალისწინებული დებატების უფლებით ისარგებლა 16-მა დაპუტატმა. მათგან 4 წარმოადგენდა უმრავლესობას, ხოლო 12 - ოპოზიციას. რამდენიმე მათგანის კითხვა იყო არათემატური და არ შეესაბამებოდა ინტერპელაციის საკითხს, რაც მათ იმით

¹⁸⁸ ინტერპელაცია, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი, 2022 წლის 27 მაისი, წერილის გაგზავნის დრო 10 მაისი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/supervision/interpellation>, განახლებულია: 28.02.2023.

¹⁸⁹ ინტერპელაცია, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ზურაბ აზარაშვილი, 2022 წლის 5 სექტემბერი, წერილის გაგზავნის დრო 10 მაისი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/supervision/interpellation>, განახლებულია: 28.02.2023.

¹⁹⁰ პარტია „საქართველოსთვის“ 6 წევრი და თეონა აქუბარდია.

¹⁹¹ საქართველოს პარლამენტის წევრების - გიორგი ხოჯევანიშვილის, ანა ბუჩუკურის, ალექსანდრე მოწერელია, შალვა კერესელიძის, მიხეილ დაუშვილის, ბექა ლილუაშვილის და თეონა აქუბარდიას 2022 წლის 5 სექტემბრის №8063/3-127/22 წერილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/41AYOqL>, განახლებულია: 28.02.2023.

დაასაბუთეს, რომ პარლამენტში ამ მინისტრის ხშირად ხილვის საშუალება არ აქვთ, შესაბამისად, იძულებულნი არიან ამ შესაძლებლობით ახლა ისარგებლონ. ეს ტენდენცია კიდევ ერთხელ მიუთითებს სამთავრობო საათის პროცედურის აუცილებლობაზე.

პრემიერ-მინისტრის ინტერპელაცია

დეპუტატთა რვაკაციანმა ჯგუფმა ინტერპელაციის წესით პრემიერ-მინისტრს 2022 წლის 7 სექტემბერს მიმართა.¹⁹² შეკითხვა შეეხებოდა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მისაღებად ევროკომისიის მიერ დაწესებული 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულების მიმართულებით მთავრობის მიერ გაწეულ სამუშაოებს, სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებულ მოლოდინებს, ასევე მთავრობის პოზიციას, რატომ არ მიიღო ქვეყანამ კანდიდატის სტატუსი და ხელავს თუ არა პრემიერი ამ ტიპის განცხადებებში რუსული ჰიბრიდული ომისთვის დამახასიათებელი დუზინფორმაციისა და მოქალაქეების ფსიქოლოგიური ტერორის ნიშნებს. გარდა ამისა, დეპუტატები დაინტერესდნენ, რა გაკეთდა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში იმისთვის, რომ საქართველო ეკონომიკურად, სურსათისა და ენერგო უსაფრთხოების კუთხით ნაკლებად დამოკიდებული ყოფილიყო რუსეთის ფედერაციაზე, რათა შემცირებულიყო ამ უკანასკნელის მხრიდან საქართველოზე, როგორც დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოზე ზემოქმედების ბერკეტები.

პრემიერ-მინისტრის პასუხი იყო 22-გვერდიანი.¹⁹³ მისი გამოსვლა 2022 წლის 18 ნოემბერს გაიმართა და გაგრძელდა 38 წუთი, ხოლო ინტერპელაციის პროცედურა, მთლიანობაში, 4 საათი და 34 წუთი მიმდინარეობდა.¹⁹⁴

პრემიერმა თავდაპირველად ისაუბრა ოპოზიციის წარმომადგენლების (მათ შორის, შეკითხვის ავტორების) მონაწილეობაზე 12 რეკომენდაციის შესრულების მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფებში და აღნიშნა, რომ მათი პასიურობა პროცესზე გავლენას ახდენდა. იგი შეეხო შეკითხვის ავტორების პოლიტიკურ წარსულსაც. პრემიერ-მინისტრის თქმით, საქართველო თავისი მიღწევებით წინ უსწრებს უკრაინასაც და მოლდოვასაც, თუმცა მათ სტატუსი მიენიჭათ იმიტომ, რომ ერთი ომშია, ხოლო მეორე - ომთან გათანაბრებულ სიტუაციაში. ის, პარალელურად, აკრიტიკებდა ოპოზიციას, რომ მათ ყველაფერი გააკეთეს, რათა ქვეყანას კანდიდატის სტატუსი არ მიეღო. მისი თქმით, ისინი ეწეოდნენ საბოტაჟს, მოღალატეობრივ პოლიტიკას და ევროპულ სტრუქტურებში ქვეყნისთვის სახელის გატეხას ცდილობდნენ. პრემიერმა დეპუტატებს დეპოლარიზაციის პირობის შესრულებისკენ მოუწოდა. მან ასევე ისაუბრა ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისიის, ოლივერ ვარჰეის ვიზიტის მნიშვნელობაზე. ერთ-ერთ კითხვაზე პასუხის დრო კი სრულად დაუთმო წინა ხელისუფლების საქმიანობაზე საუბარს და მოსახლეობისთვის ამის შეხსენებას. პრემიერ-მინისტრის განმარტებით, ამგვარი ქმედებების ჩამდენი ადამიანები არ უნდა ბედავდნენ სანქციებზე შეკითხვების დასმას. აღსანიშნავია, რომ პრემიერის გამოსვლა არსებითად განსხვავდებოდა ინტერპელაციის შეკითხვებისგან.

¹⁹² საქართველოს პარლამენტის წევრების - გიორგი ვაშაძის, პაატა მანჯგალაძის, თეონა აქუბარდიას, ხათუნა სამხიძის, ტარიელ ნაკაიძის, თამარ კორძაიას, როსტომ ჩხეიძის და ნატო ჩხეიძის 2022 წლის 7 სექტემბრის №8177/3-30/22 წერილი პრემიერ-მინისტრს, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3EICaCZ>, განახლებულია: 06.12.22.

¹⁹³ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2022 წლის 18 ნოემბრის წერილი პარლამენტს, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/311950>, განახლებულია: 28.02.2023.

¹⁹⁴ ინტერპელაცია, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, 2022 წლის 18 ნოემბერი, წერილის გაგზავნის დრო 7 სექტემბერი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/supervision/interpellation>, განახლებულია: 28.02.2023.

თხვანუ დოკუმენტური ფორმით გამოგზავნილი პასუხისგან, რომელიც უფრო თემატური, შინაარსობრივი და ამომწურავი იყო.

პრემიერის მოხსენების შემდეგ გამოსვლის უფლებით ისარგებლა 21-მა ოპოზიციონერმა დეპუტატმა და საპარლამენტო უმრავლესობის 3-მა წევრმა. ოპოზიციის საუბარი, ძირითადად, ეხებოდა ინტერპელაციის შეკითხვას და მთავრობის კრიტიკას იმის გამო, რომ ისინი არ ცდილობენ კანდიდატის სტატუსის მიღებას. თუმცა, რამდენჯერმე გამოიკვეთა არათემატური პოლიტიკური რიტორიკაც, მათ შორის, ყოფილი პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით. განსაკუთრებული აქცენტები კეთდებოდა დეპოლარიზაციის აუცილებლობაზე. რაც შეეხება უმრავლესობას, სამივე დეპუტატის გამოსვლა დაეთმო ოპოზიციის კრიტიკას და მათ მიმართ ბრალდებებს. გარდა ამისა, ისინი პრემიერს მადლობას უხდიდნენ, რომ ოპონენტების არასწორ კრიტიკას გაუძლო. საპარლამენტო უმრავლესობის ამგვარი დამოკიდებულება არასწორი პრაქტიკაა.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინტერპელაცია

18 ნოემბერს ინტერპელაციის პროცედურის ფარგლებში გაიმართა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოსმენა,¹⁹⁵ რომელიც ასევე სექტემბერში უნდა წარმდგარიყო პარლამენტის წინაშე. თუმცა, იმის გამო, რომ ისიც გაეროს სამიტზე იმყოფებოდა, გამოსვლა ნოემბრისთვის გადაიდო. ამის მიუხედავად, 14 სექტემბერს მინისტრმა შეკითხვებზე წერილობითი პასუხი გამოგზავნა.¹⁹⁶

ერთი ინტერპელაციის ფარგლებში მინისტრს 8 დეპუტატისგან ოთხი შეკითხვა გაეგზავნა.¹⁹⁷ კითხვები შეეხებოდა შემდეგ საკითხებს: რუსულენოვან საჯარო სკოლებსა და სამინისტროს პოლიტიკას ამ მიმართულებით; სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს; სკოლების ინტერნეტიზაციის, ასევე მასწავლებელთა და მოსწავლეთა ტექნიკით აღჭურვის პროგრამას; ერთ-ერთი სოფლის ისტორიული სკოლის დემონტაჟს.

მოხსენების ფარგლებში მინისტრმა 11 წუთი ისაუბრა. მისი გამოსვლა სრულად მიემართებოდა შეკითხვებზე პასუხს. მან წარმოადგინა მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც წერილობით პასუხში იყო ასახული და რაიმე სხვა დამატებითი ცნობები საკანონმდებლო ორგანოსთვის არ მიუწოდებია.

მინისტრის მოხსენებას მხოლოდ რამდენიმე დეპუტატი ესწრებოდა. გამოსვლის უფლებით ისარგებლა ოპოზიციის 5-მა წარმომადგენელმა, ხოლო უმრავლესობიდან - მხოლოდ განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარემ, რომელმაც მთელი დრო მინისტრის შექებასა და მის მიმართ მადლიერების გამოხატვას დაეთმო. რაც შეეხება ოპოზიციას, სხდომის თავმჯდომარის მოწოდების მიუხედავად, რომ თემას არ გასცილებოდნენ, არცერთი მათგანის გამოსვლა და შეკითხვები ინტერპელაციის თემატიკას არ შეესაბამებოდა. ერთ-ერთმა დეპუტატმა აღნიშნა, რომ ამ ინტერპელაციის დროს

¹⁹⁵ ინტერპელაცია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიხეილ ჩხენკელის გამოსვლა, 2022 წლის 18 ნოემბერი, წერილის გაგზავნის დრო 8 სექტემბერი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/supervision/interpellation>, განახლებულია: 28.02.2023.

¹⁹⁶ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიხეილ ჩხენკელის 2022 წლის 14 სექტემბრის წერილი პარლამენტს, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Y6VYR2>, განახლებულია: 28.02.2023.

¹⁹⁷ საქართველოს პარლამენტის წევრების - ნიკა მაჭუტაძის, ანა წითლიძის, დავით ხაჯიშვილის, გიორგი გოდაბრელიძის, თამარ ჩარკვიანის, სულხან სიბაშვილის, ბაჩუკი ქარდავას და გიორგი ბოტკოველის 2022 წლის 8 სექტემბრის №8300/3-64/22 წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრ მიხეილ ჩხენკელს, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3EGVa4M>, განახლებულია: 28.02.2023.

ძალიან დეტალური და წვრილმანი საკითხები განიხილებოდა, შესაბამისად, არ ღირდა ამისთვის მინისტრის მოწვევა, ამ კითხვებზე პასუხის მიღება კი კონტროლის სხვა მექანიზმების გამოყენებითაც შეიძლებოდა. მინისტრმა დასკვნით სიტყვაში მოკლედ უპასუხა დებატების დროს წამოჭრილ ცალკეულ შეკითხვებს.

5.5.4. ერთი ინტერპელაციის ფარგლებში რამდენიმე არსებითად განსხვავებული საკითხის დასმა

მე-9 მოწვევის პარლამენტში რამდენჯერმე ერთი ინტერპელაციის ფარგლებში არსებითად განსხვავებული საკითხები დაისვა.¹⁹⁸ ამ შემთხვევაში დროის გაყოფის პრინციპი არ მოქმედებს, რადგან თავად ინტერპელაცია ერთია, მიუხედავად იმისა, რომ მასში რამდენიმე კითხვაა გაერთიანებული. წინა მოწვევის პარლამენტში დამკვიდრებული პრაქტიკა არ იძლევა საშუალებას, საკითხზე სიღრმისეული დისკუსია გაიმართოს. ამიტომ, ძალაში რჩება რეკომენდაცია, რომ **რეგლამენტმა, შესაბამისი ცვლილებების მეშვეობით, უნდა გამორიცხოს ერთი ინტერპელაციის ქვეშ რამდენიმე არსებითად განსხვავებული კითხვის დასმის შესაძლებლობა.**¹⁹⁹

2022 წლის საგაზაფხულო სესია

ერთი ინტერპელაციის ფარგლებში არსებითად განსხვავებული კითხვები არ დასმულა 2022 წლის საგაზაფხულო სესიაზე.

2022 წლის საშემოდგომო სესია

2022 წლის საშემოდგომო სესიაზე ერთი ინტერპელაციის ფარგლებში არსებითად განსხვავებული 4 კითხვა დაისვა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიმართ. აღსანიშნავია, რომ ოთხივე კითხვა განათლების სფეროს მიეკუთვნებოდა, თუმცა ერთმანეთისგან შინაარსობრივად განსხვავდებოდა.²⁰⁰ განხილვის დროს ერთ-ერთი შეკითხვა მოხსნა მისმა ავტორმა და განმარტა, რომ სამინისტროს მიერ წერილში გაცემული პასუხი სრულად აკმაყოფილებდა მის ინტერესს.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ რაიმე საკითხზე ფოკუსირებული კონკრეტული შეკითხვის შემთხვევაში დეპუტატები ხშირად სცილდებიან ინტერპელაციის თემატიკას. ამასთანავე, უმჯობესია, ერთი ინტერპელაციის ფარგლებში დაისვას ერთი ტიპის შეკითხვები. ხოლო, თუ ისინი შეეხება კონკრეტულ მონაცემებს, რომლებიც არ საჭიროებს სიღრმისეულ დებატებს, აჯობებს ამისთვის გამოყენებული იყოს, მაგალითად, სადეპუტატო კითხვის მექანიზმი. ინტერპელაციის დროს კი უფრო ფართო ხასიათის საკითხები დაისვას.

¹⁹⁸ ვახუშტი მენაბდე და სხვები, დასახელებული ნაშრომი, 39.

¹⁹⁹ იქვე.

²⁰⁰ საქართველოს პარლამენტის წევრების - ნიკა მაჭუტაძის, ანა წითლიძის, დავით ხაჯიშვილის, გიორგი გოდარელიძის, თამარ ჩარკვიანის, სულხან სიბაშვილის, ბაჩუკი ქარდავას და გიორგი ბოტკოველის 2022 წლის 8 სექტემბრის №8300/3-64/22 წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრ მიხეილ ჩხენკელს, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3EGVa4M>, განახლებულია: 28.02.2023.

5.5.5. ინტერპელაციის ბმა უნდობლობის პროცედურასთან

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ინტერპელაციაზე თანამდებობის პირის პასუხი, შესაძლოა, გახდეს პარლამენტის განხილვის საგანი.²⁰¹ რეგლამენტი კი პროცედურის დასრულების შემდგომ დადგენილების მიღებას ითვალისწინებს.²⁰² ინტერპელაციის მკაფიო ბმას უნდობლობის პროცედურასთან არც ძირითადი კანონი და არც რეგლამენტი არ ითვალისწინებს. თუმცა, ეს უცხო არ არის ევროპული სახელმწიფოებისთვის.²⁰³

მართალია, საქართველოს კონსტიტუციით, ინტერპელაციისას მიღებული პასუხი შეიძლება გახდეს დებატების საბაზი, თუმცა, რამდენად მოიცავს ეს საკითხის გადაზრდას უნდობლობის პროცედურაში, განმარტების საგანია. რეგლამენტიც არ გამოირჩევა უფრო ნათელი ნორმებით. ისიც დადგენილების მიღებას ითვალისწინებს, თუმცა არა სავალდებულო ფორმით, არამედ პარლამენტის სურვილის შემთხვევაში.²⁰⁴ უმჯობესია, საქართველოს ძირითად კანონში აისახოს ევროპული გამოცდილება და დამკვიდრდეს უნდობლობის მექანიზმთან ინტერპელაციის ბმის შესაძლებლობა.

საანგარიშო პერიოდში პარლამენტს უნდობლობის გამოცხადების თაობაზე დადგენილება არ მიუღია.²⁰⁵

5.5.6. ინტერპელაციის დასრულების შემდგომ დადგენილების მიღების საკითხი

პარლამენტი უფლებამოსილია, ინტერპელაციის დასრულების შემდეგ პარლამენტის დადგენილება მიიღოს.²⁰⁶ რეგლამენტი ცხადად არ განმარტავს, რა შეიძლება ეწეროს ამ დადგენილებაში. მასში აისახება პარლამენტის დამოკიდებულება ინტერპელაციის ადრესატის პასუხებისადმი. სასურველია, დადგენილების მიღება დაუკავშირდეს ე.წ. გაკიცხვის რეზოლუციას, რაც უნდობლობის პროცედურის დაწყების საფუძველი გახდება.

საანგარიშო პერიოდში ინტერპელაციების დასრულების შემდგომ პარლამენტს დადგენილება არ მიუღია.²⁰⁷

5.6. დროებითი კომისია

2021 წლის საშემოდგომო²⁰⁸ და 2022 წლის საგაზაფხულო²⁰⁹ და საშემოდგომო სესიების განმავლობაში საქართველოს პარლამენტში დროებითი კომისიის შექმნაზე მოთხოვნა არ დარეგისტრირებულა.

5.7. დროებითი საგამოძიებო კომისია

2021 წლის საშემოდგომო სესიის განმავლობაში საქართველოს პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნაზე მოთხოვნა არ შესულა.²¹⁰

²⁰¹ საქართველოს კონსტიტუცია, 43-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

²⁰² საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 149-ე მუხლის მე-11 პუნქტი.

²⁰³ ვახუშტი მენაბდე და სხვები, დასახელებული ნაშრომი, 39.

²⁰⁴ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 149-ე მუხლის მე-11 პუნქტი.

²⁰⁵ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 25 ოქტომბრის №10099/2-7/22 წერილი.

²⁰⁶ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 149-ე მუხლის მე-11 პუნქტი.

²⁰⁷ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 7 ნოემბრის №10651/2-7/22 წერილი.

²⁰⁸ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 აპრილის №3678/2-7/22 წერილი.

²⁰⁹ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 სექტემბრის №8820/2-7/22 წერილი.

²¹⁰ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 აპრილის №3678/2-7/22 წერილი.

2022 წლის საგაზაფხულო სესიაზე საპარლამენტო ფრაქციამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ წარმოადგინა „საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიმართ შესაძლო ძალადობრივი, შეურაცხმყოფელი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი,²¹¹ ასევე, პოლიტიკურმა ჯგუფმა „რეფორმების ჯგუფი“ - „2021 წლის 5-6 ივლისის თბილისში განვითარებული მოვლენების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი.²¹² ინიცირების მიუხედავად, საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისია არ შექმნილა (ეს საკითხები პლენარულ სხდომაზე არ განხილულა).

2022 წლის საშემოდგომო სესიაზე საქართველოს პარლამენტში 31-მა დეპუტატმა წარმოადგინა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და ფასების სტაბილურობის დარღვევის მიზანმიმართული ქმედებების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატივა,²¹³ ასევე, პარლამენტის 51-მა წევრმა - 2016-2017 წლებსა და შემდგომ პერიოდში საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლების რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურებთან ფარული და სისტემატური თანამშრომლობის ფაქტების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატივა.²¹⁴ თუმცა, პარლამენტში ეს კომისიები არ შექმნილა.²¹⁵ ამასთანავე, ეროვნულ ბანკთან დაკავშირებული საგამოძიებო კომისიის ინიციატივამ პლენარულ სხდომაზე 2023 წლის თებერვალში ვერ მოიპოვა შექმნისთვის საჭირო ხმები,²¹⁶ რის გამოც, ის საკანონმდებლო ორგანოს დღის წესრიგიდან მოიხსნა.

²¹¹ საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი „საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიმართ შესაძლო ძალადობრივი, შეურაცხმყოფელი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის თაობაზე“ (№07-3/162, 31.01.2022), საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/23523>, განახლებულია: 28.02.2023.

²¹² საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი „2021 წლის 5-6 ივლისის თბილისში განვითარებული მოვლენების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ“ (№07-3/163, 03.02.2022), საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/23551>, განახლებულია: 28.02.2023.

²¹³ საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი „ეროვნული ბანკის პრეზიდენტის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და ფასების სტაბილურობის დარღვევის მიზანმიმართული ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ“ (№07-3/244, 21.09.2022), საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/24688>, განახლებულია: 28.02.2023.

²¹⁴ „2016-2017 წლებსა და შემდგომ პერიოდში საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლების რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურებთან ფარული და სისტემატური თანამშრომლობის ფაქტების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი (№07-3/246, 22.09.2022).

²¹⁵ საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 31 იანვრის №885/2-7/23 წერილი.

²¹⁶ საქართველოს პარლამენტის დადგენილება „ეროვნული ბანკის პრეზიდენტის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და ფასების სტაბილურობის დარღვევის მიზანმიმართული ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ“ (№07-3/244, 21.09.2022).

VI. პარლამენტის წევრის კითხვა

სადეპუტატო კითხვა ქართული კონსტიტუციონალიზმისთვის უცხო არ არის. მისი საშუალებით ერთ დეპუტატსაც კი აქვს შესაძლებლობა, მიმართოს მთავრობას, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა უწყებას, მთავრობის წევრს, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის ხელისუფლების ორგანოს, სახელმწიფო დაწესებულებას.²¹⁷ კითხვაზე სრული და დროული პასუხის გაცემა აუცილებელია.²¹⁸ ამ მოთხოვნის უგულებელყოფა კონსტიტუციის დარღვევაა, რაც მთავრობის წევრის მიმართ იმპიჩმენტის დაწყების საფუძველი შეიძლება გახდეს.

2022 წლის ნოემბრამდე კითხვაზე პასუხის გასაცემად რეგლამენტი 15-დღიან ვადას ადგენდა.²¹⁹ თუმცა, შესაძლებელი იყო მისი 10 დღით გაგრძელება ადრესატსა და კითხვის ავტორს შორის კოორდინაციის საფუძველზე.²²⁰

რეგლამენტის 2022 წლის 2 ნოემბრის ცვლილებებით, ეს ვადა 10 დღემდე შემცირდა, შემდგომში 10-დღიანი გაგრძელების პერსპექტივით.²²¹ ამასთანავე, ნორმას დაემატა ჩანაწერი პასუხგაუცემელ კითხვებთან დაკავშირებით. კერძოდ, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი კალენდარული წლის თებერვლის, მაისის, აგვისტოსა და ნოემბრის თვეების დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს 15 დღისა, შეკითხვებზე რეაგირების ასპექტებს შეისწავლის²²² და შედეგებს პარლამენტის ბიუროს წარუდგენს, რომელიც უფლებამოსილია, ის პლენარული სხდომების დღის წესრიგში შეიტანოს.²²³ გარდა ამისა, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი უზრუნველყოფს ამ ინფორმაციის პარლამენტის ვებგვერდზე განთავსებას.²²⁴ საკითხის ამგვარი მოწესრიგება მისასაღებელია, რადგან შესაძლებელი იქნება საზოგადოების მხრიდან საჯარო მოხელეების პასუხებზე თვალყურის დევნება. თუმცა, **საია მიიჩნევს, რომ ეს ცვლილება არასაკმარისია. უნდა შეიქმნას პასუხგაუცემელი კითხვების დასმის შესაძლებლობა პლენარულ სხდომაზე, სამთავრობო საათის ფარგლებში.**²²⁵

სადეპუტატო კითხვები გამოქვეყნებულია პარლამენტის ვებგვერდზე.²²⁶ თუმცა, საკანონმდებლო ორგანოს აპარატიდან გამოთხოვნილი და ვებგვერდზე განთავსებული მონაცემები ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა. გარდა ამისა, ინფორმაცია არ არის გამოქვეყნებული ღია ფორმატში, შესაბამისად, არ არის შესაძლებელი მისი ჩამოტვირთვა და დამუშავება. ამასთანავე, საძიებო სისტემა შეზღუდული ფუნქციებით არის აღჭურვილი. **მეტი სანდოობისა და ვალიდურობისთვის, მნიშვნელოვანია, სადეპუტატო შეკითხვა პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნდეს ღია ფორმატში, რაც დაინტერესებულ პირებს და პარლამენტის აპარატს შრომას შეუმსუბუქებს, იმავდროულად, შესაძლებელი იქნება პირდაპირ განახლებული ინფორმაციის ჩამოტვირთვა და დამუშავება საკვლევი საკითხის შესაბამისად.**²²⁷

²¹⁷ საქართველოს კონსტიტუცია, 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

²¹⁸ იქვე.

²¹⁹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 148-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

²²⁰ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 2022 წლის 2 ნოემბრამდე მოქმედი რედაქცია, 148-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

²²¹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 148-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

²²² იქვე, მე-8 პუნქტი.

²²³ იქვე.

²²⁴ იქვე.

²²⁵ „საიამ პარლამენტს საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესების თაობაზე მოსაზრებები წარუდგინა“, 2022 წლის 14 აგვისტო.

²²⁶ პარლამენტის წევრის კითხვა, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3J97Kel>, განახლებულია: 14.03.2023.

²²⁷ ამ თავში მოცემული ინფორმაცია სრულად ეყრდნობა პარლამენტიდან ოფიციალურად მოთხოვნილ ინფორმაციას. ვინაიდან საჯარო ინფორმაციის წერილის პასუხად გამოგზავნილი მონაცემები სრულად არ

რაც შეეხება უსაფრთხოების თემატიკაზე კითხვებს, სამივე სესიის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ, ძირითადად, ოპოზიციის წარმომადგენლები აგზავნიან, ხოლო ადრესატები პასუხს არ სცემენ ამ თემასთან დაკავშირებით მხოლოდ ოპოზიციის მიერ წარდგენილ შეკითხვებს. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს საანგარიშო პერიოდში, ზოგადად, დეპუტატის კითხვის მექანიზმი არ გამოუყენებია, 2022 წლის საშემოდგომო სესიაზე კი მხოლოდ 2-მა წევრმა²²⁸ გაგზავნა კითხვები უსაფრთხოების თემაზე უსაფრთხოების სექტორის ადრესატებთან.

2021 წლის საშემოდგომო სესია

2021 წლის საშემოდგომო სესიაზე საქართველოს პარლამენტის 32-მა წევრმა გაგზავნა 724 წერილობითი შეკითხვა.²²⁹ მათგან 12 იყო უმრავლესობის წევრი, ხოლო 20 - ოპოზიციის.²³⁰ დასმული კითხვებიდან პასუხი გაეცა 671-ს, დანარჩენი 53 ადრესატებმა უპასუხოდ დატოვეს.²³¹ უმრავლესობის მიერ, ჯამში, გაიგზავნა 136 კითხვა, რომელთაგანაც პასუხი გაეცა 130-ს. ოპოზიციის წარმომადგენლებმა კი გაგზავნილი 588 კითხვიდან პასუხი 541 მათგანზე მიიღეს.²³²

რაც შეეხება უშუალოდ უსაფრთხოების სექტორს, ამ თემატიკაზე, ჯამში, 174 კითხვა დაისვა,²³³ რაც საერთო რაოდენობის თითქმის მეოთხედია. შეკითხვები გაგზავნა სულ 11-მა დეპუტატმა.²³⁴ 3 კითხვა უპასუხოდ დარჩა. აქედან 2-ის ავტორი ოპოზიციის წარმომადგენელი იყო. კითხვები პირობითად 3 ტიპად შეიძლება დაიყოს: 1) უსაფრთხოების სექტორის ადრესატებთან²³⁵ გაგზავნილი უსაფრთხოების თემატიკის კითხვები; 2) უსაფრთხოების სექტორის ადრესატებთან გაგზავნილი არაუსაფრთხოების თემატიკის კითხვები; 3) არაუსაფრთხოების სექტორის ადრესატებთან გაგზავნილი უსაფრთხოების თემატიკის კითხვები. პირველი ტიპის 125 კითხვა გაიგზავნა ადრესატებთან.²³⁶ აქედან მხოლოდ 2-ს გაეცა პასუხი რეგლამენტით დადგენილ ვადებში, 123-ს კი - ვადის დარღვევით.²³⁷ 125-ვე კითხვა, ჯამში, ოპოზიციის 3-მა დეპუტატმა გაგზავნა.²³⁸ მე-2 ტიპის 36 კითხვა გაიგზავნა ადრესატებთან.²³⁹ აქედან მხოლოდ 5-ს გაეცა პასუხი რეგლამენტით დადგენილ ვადებში, 29-ს - ვადის დარღვევით, ხოლო 2 კითხვა უპასუხოდ დარჩა.²⁴⁰ 36 კითხვიდან 22-ის ავტორი ოპოზიცია იყო, 14-ის - უმრავლესობა.²⁴¹ მესამე ტიპს რაც შეეხება, ჯამში გაიგზავნა 13 შეკითხვა.²⁴² აქედან რეგლამენტით დადგენილ ვადაში პასუხი გაეცა 1-ს, ხოლო ვადის და-

ემთხვევა ვებგვერდზე გამოქვეყნებულს, კვლევის ჯგუფს პარლამენტის ვებგვერდი, როგორც დადასტურების წყარო, არ გამოუყენებია სადეპუტატო კითხვის ფარგლებში.

²²⁸ ვლადიმერ ჩაჩიბაია („ქართული ოცნება“) და თეონა აქუბარდია („რეფორმების ჯგუფი“).

²²⁹ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 2 აგვისტოს №6986/2-7-1/22 წერილი.

²³⁰ იქვე.

²³¹ იქვე.

²³² იქვე.

²³³ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 7 ნოემბრის №10651/2-7/22 წერილი.

²³⁴ იქვე.

²³⁵ კვლევის მიზნებისთვის უსაფრთხოების სექტორის ადრესატებს განეკუთვნებიან: შსს, სუს, თავდაცვის სამინისტრო, დაზვერვის სამსახური, იუსტიციის სამინისტრო, ეროვნული უსაფრთხოების საბჭო, სდსს, ოტს.

²³⁶ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 7 ნოემბრის №10651/2-7/22 წერილი.

²³⁷ იქვე.

²³⁸ იქვე.

²³⁹ იქვე.

²⁴⁰ იქვე.

²⁴¹ იქვე.

²⁴² იქვე.

რღვევით - 11-ს.²⁴³ 1 კითხვა უპასუხოდ დარჩა.²⁴⁴ 11 შეკითხვა დასვა ოპოზიციამ, ხოლო 2 - უმრავლესობამ.²⁴⁵

2022 წლის საგაზაფხულო სესია

2022 წლის საგაზაფხულო სესიის განმავლობაში, ჯამში, 811 წერილობითი კითხვა გაგზავნა პარლამენტის 41-მა წევრმა, მათ შორის, 12 იყო საპარლამენტო უმრავლესობის წევრი (97 კითხვა), 29 - ოპოზიციის (714 კითხვა).²⁴⁶ 811 კითხვიდან პასუხი გაეცა 710-ს, ხოლო 101 უპასუხოდ დარჩა.²⁴⁷ პასუხგაუცემელი კითხვებიდან 1 მათგანი გაიგზავნა უმრავლესობის, ხოლო 100 - ოპოზიციის მიერ.²⁴⁸ 710 პასუხგაუცემელი კითხვიდან ვადის გადაცილებით პასუხი გაეცა 56-ს, აქედან 6 მათგანის ავტორია უმრავლესობა, 50-ის კი - ოპოზიცია.²⁴⁹

რაც შეეხება უსაფრთხოების სექტორს, ამ თემატიკაზე, ჯამში, 130 კითხვა დაისვა,²⁵⁰ რაც საერთო რაოდენობის თითქმის მეექვსედია. კითხვები დასვა 22-მა დეპუტატმა.²⁵¹ 7 კითხვა უპასუხოდ დარჩა. ყველა მათგანის ავტორი ოპოზიცია იყო. უსაფრთხოების სექტორის ადრესატებთან უსაფრთხოების თემატიკაზე გაიგზავნა 75 კითხვა.²⁵² აქედან მხოლოდ 20-ს გაეცა პასუხი რეგლამენტით დადგენილ ვადებში, ხოლო 53-ს - ვადის დარღვევით.²⁵³ 2 კითხვა უპასუხოდ დარჩა.²⁵⁴ ამ 75 კითხვიდან 60 გაგზავნა ოპოზიციის 14-მა წარმომადგენელმა, 15 კი - უმრავლესობის 1-მა დეპუტატმა.²⁵⁵ უსაფრთხოების სექტორის ადრესატებთან არაუსაფრთხოების თემატიკის 43 კითხვა გაიგზავნა.²⁵⁶ აქედან მხოლოდ 9-ს გაეცა პასუხი რეგლამენტით დადგენილ ვადებში, 32-ს - ვადების დარღვევით, ხოლო 2 კითხვა უპასუხოდ დარჩა.²⁵⁷ 43 კითხვიდან 20-ის ავტორი ოპოზიცია, ხოლო 23-ის - უმრავლესობა იყო.²⁵⁸ არაუსაფრთხოების სექტორის ადრესატებთან გაგზავნილი უსაფრთხოების თემატიკის კითხვები 12-ს შეადგენდა.²⁵⁹ აქედან რეგლამენტით დადგენილ ვადაში პასუხი გაეცა 4-ს, ხოლო ვადის დარღვევით - 5-ს.²⁶⁰ 3 კითხვა უპასუხოდ დარჩა.²⁶¹ 12-ვე კითხვა ოპოზიციამ დასვა.²⁶²

²⁴³ იქვე.

²⁴⁴ იქვე.

²⁴⁵ იქვე.

²⁴⁶ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 სექტემბრის №8820/2-7/22 წერილი.

²⁴⁷ იქვე.

²⁴⁸ იქვე.

²⁴⁹ იქვე.

²⁵⁰ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 7 ნოემბრის №10651/2-7/22 წერილი.

²⁵¹ იქვე.

²⁵² იქვე.

²⁵³ იქვე.

²⁵⁴ იქვე.

²⁵⁵ იქვე.

²⁵⁶ იქვე.

²⁵⁷ იქვე.

²⁵⁸ იქვე.

²⁵⁹ იქვე.

²⁶⁰ იქვე.

²⁶¹ იქვე.

²⁶² იქვე.

2022 წლის საშემოდგომო სესია

2022 წლის საშემოდგომო სესიის განმავლობაში, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ გაგზავნილია სულ 3183 წერილობითი შეკითხვა. აქედან პასუხგაუცემელია 644, ვადის გადაცილებით პასუხი მოვიდა 214-ზე, ხოლო მიმდინარეა²⁶³ 199 კითხვა.²⁶⁴

უსაფრთხოების თემატიკაზე, ჯამში, 149 შეკითხვა დაისვა.²⁶⁵ აქედან 136 გაგზავნა ოპოზიციამ, ხოლო 13 - უმრავლესობამ.²⁶⁶ პასუხგაუცემელი დარჩა 26 კითხვა. ყველა მათგანის ავტორი ოპოზიციის წარმომადგენელია. უსაფრთხოების თემატიკაზე არცერთი პასუხგაუცემელი კითხვა უმრავლესობას არ ეკუთვნის. ოპოზიციიდან კითხვები 13-მა, ხოლო უმრავლესობიდან 4-მა დეპუტატმა დასვა.²⁶⁷ უსაფრთხოების სექტორის ადრესატებთან გაგზავნილი უსაფრთხოების თემატიკის კითხვების ჯამი 40-ს შეადგენს. აქედან 32-ის ავტორია ოპოზიციის, ხოლო 8-ის - უმრავლესობა.²⁶⁸ უსაფრთხოების სექტორის ადრესატებთან, ჯამში, 42 არაუსაფრთხოების თემატიკის კითხვა გაიგზავნა. აქედან 37 ეკუთვნის ოპოზიციას, ხოლო 5 - უმრავლესობას.²⁶⁹ არაუსაფრთხოების სექტორის ადრესატებთან გაგზავნილი უსაფრთხოების თემატიკის კითხვებმა კი 67 შეადგინა. ყველა მათგანი ოპოზიციის მიერ დაისვა.²⁷⁰

²⁶³ 2023 წლის 31 იანვრის მდგომარეობით. საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 31 იანვრის №885/2-7/23 წერილი.

²⁶⁴ იქვე.

²⁶⁵ იქვე.

²⁶⁶ იქვე.

²⁶⁷ იქვე.

²⁶⁸ იქვე.

²⁶⁹ იქვე.

²⁷⁰ იქვე.

VII. საკომიტეტო კონტროლის მექანიზმები

7.1. ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება

კომიტეტი უფლებამოსილია, მთავრობის წევრს, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირს ან ორგანოს ხელმძღვანელს ცალკეული ინფორმაციის წარდგენა მოსთხოვოს.²⁷¹ არსებული წესის მიხედვით, შესაბამის სუბიექტს კომიტეტი დოკუმენტების მოწოდების ვადას განუსაზღვრავს.²⁷²

საანგარიშო პერიოდში კომიტეტებმა ანგარიშვალდებულ პირებს მხოლოდ მესამედ შემთხვევაში დაუწესეს ინფორმაციის მიწოდების ვადები.

რაც შეეხება თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს, საანგარიშო პერიოდში მას ინფორმაციის მოთხოვნის უფლებამოსილებით არ უსარგებლია.

2021 წლის საშემოდგომო სესია

ამ მექანიზმით 2021 წლის საშემოდგომო სესიაზე 7-მა კომიტეტმა, ჯამში, 43-ჯერ ისარგებლა.²⁷³ ინფორმაცია არ გამოუთხოვია 8 კომიტეტს. 4-მა მათგანმა მხოლოდ 30-ჯერ დაუწესა ადრესატს პასუხისთვის ვადა,²⁷⁴ რაც 26 შემთხვევაში დაიცვეს.²⁷⁵

2021 წლის საშემოდგომო სესიაზე მოთხოვნილი ინფორმაციების მესამედზე (სულ 13) კომიტეტს პასუხის მისაღებად ვადა არ დაუწესებია. საპარლამენტო საქმიანობის უკეთესი მონიტორინგისა და ინსტიტუტის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის, რეკომენდებულია, კითხვის ავტორს ინფორმაცია რეგლამენტით დადგენილ ვადაში გაეგზავნოს. კომიტეტის ეს უფლებამოსილება ჰგავს დეპუტატის კითხვას. ამიტომ, **უმჯობესია, მასზე იდენტური პროცედურები გავრცელდეს (დეპუტატის კითხვის დროს პასუხის გაცემის ვადაა 10 დღე, რომელიც, ავტორის თანხმობით, შეიძლება კიდევ 10 დღით გაიზარდოს).**²⁷⁶

საყურადღებოა პასუხების მიღება ზეპირი ფორმით. რეგლამენტი ასეთ შესაძლებლობას არ იცნობს. პირიქით, მოთხოვნილი ინფორმაცია ადრესატს მიეწოდება დოკუმენტის, დასკვნის ან სხვა მასალის სახით.²⁷⁷ შესაბამისად, ზეპირი ფორმით ინფორმაციის წარდგენა ამ ნორმის მოთხოვნის დარღვევაა. მეტიც, იგი სხვა კონტროლის მექანიზმს მიეკუთვნება. 2021 წლის საშემოდგომო სესიაზე 1-მა კომიტეტმა ერთ შემთხვევაში მოისმინა პასუხი ზეპირად.²⁷⁸ თუ კომიტეტს სურს საკუთარ სხდომაზე ცალკეული ინფორმაციის ზეპირი ფორმით მიღება, მაშინ მან თანამდებობის პირი უნდა დაიბაროს ფრაქციის, კომიტეტის დამსწრეთა ან შესაბამისი სითითი შემადგენლობის მოთხოვნის საფუძველზე.²⁷⁹

²⁷¹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 41-ე მუხლი.

²⁷² იქვე.

²⁷³ იხ. ცხრილი №1. ცხრილში წარმოდგენილია 2021 წლის საშემოდგომო სესიის მონაცემები.

²⁷⁴ იქვე.

²⁷⁵ იქვე.

²⁷⁶ ვახუშტი მენაბდე და სხვები, დასახელებული ნაშრომი, 46.

²⁷⁷ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 41-ე მუხლი.

²⁷⁸ იხ. ცხრილი №1.

²⁷⁹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მე-40 მუხლი.

2022 წლის საგაზაფხულო სესია

2022 წლის საგაზაფხულო სესიაზე 4-მა კომიტეტმა, ჯამში, 42-ჯერ გამოითხოვა ინფორმაცია.²⁸⁰ ამ მექანიზმით არ უსარგებლია 12 მათგანს. ადრესატს კომიტეტმა ვადა განუსაზღვრა 18 შემთხვევაში, რაც არცერთხელ არ დარღვეულა.²⁸¹ დარჩენილი 24 შემთხვევიდან, როცა ვადა განსაზღვრული არ იყო, კომიტეტებს 17-ზე პასუხი დაუბრუნდათ 1-იდან 2 კვირამდე პერიოდში, 4-ზე - 2 კვირიდან 1 თვის ვადაში, ხოლო 3-თან დაკავშირებით ადრესატებს 1 თვეზე მეტი დროს დასჭირდათ.

ვლინდება შემთხვევები, როდესაც კომიტეტი ერთმანეთში ურევს ინფორმაციის გამოთხოვნის რეგლამენტით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას და კომიტეტის წევრის მიერ ინფორმაციის გამოთხოვნას.²⁸² მნიშვნელოვანია, კომიტეტმა კონტროლის სხვადასხვა ფორმა ერთმანეთისგან მკაფიოდ გამიჯნოს.

2022 წლის საშემოდგომო სესია

საშემოდგომო სესიაზე, რეგლამენტში შესული ცვლილებების შედეგად, კომიტეტის თავმჯდომარეს გაუჩნდა ვალდებულება, კომიტეტის მიერ ინფორმაციის გამოთხოვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, იგი არაუგვიანეს 3 დღისა გაუგზავნოს ადრესატს.²⁸³ ამ სესიის ფარგლებში არცერთ კომიტეტს ამ უფლებამოსილებით არ უსარგებლია.²⁸⁴

7.2. კომიტეტის სხდომაზე თანამდებობის პირის დაბარება

თანამდებობის პირის დაბარება საკომიტეტო მოსმენაზე ერთ-ერთი კლასიკური იარაღია ადმინისტრაციულ ხელისუფლებაზე ჯეროვანი კონტროლისთვის. კომიტეტზე გამოცხადება სავალდებულოა.²⁸⁵ ის უზრუნველყოფს დარგობრივი დებატის გამართვას. მისი მეშვეობით შესაძლებელია ანგარიშვალდებულ პირთა ფაქტობრივი საქმიანობის გამოძიება, რამაც შეიძლება სამართლებრივი პროცედურების დაწყება ან პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხის დასმა გამოიწვიოს.²⁸⁶ საქართველოში პირის დაბარება შესაძლებელია (1) კომიტეტის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით ან (2) ფრაქციის მოთხოვნით, თუ მას შესაბამის კომიტეტში ჰყავს წევრი.²⁸⁷

2022 წლის 2 ნოემბრის ცვლილებებით, კომიტეტის თავმჯდომარეს დაეკისრა ვალდებულება, უფლებამოსილი სუბიექტის მიერ თანამდებობის პირის დაბარების შემთხვევაში, ადრესატს ამის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 3 დღის ვადაში აცნობოს.²⁸⁸ ამასთანავე, აუცილებელია, კომიტეტის სხდომაზე მოწვევის შესახებ მოთხოვნა

²⁸⁰ იხ. ცხრილი №2. ცხრილში წარმოდგენილია 2022 წლის საგაზაფხულო სესიის მონაცემები.

²⁸¹ იქვე.

²⁸² ასეთი ფაქტი გამოვლინდა განათლების კომიტეტის შემთხვევაში. საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 სექტემბრის №8820/2-7/22 და 25 ოქტომბრის №10099/2-7/22 წერილები.

²⁸³ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 41-ე მუხლი.

²⁸⁴ საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 31 იანვრის №885/2-7/23 წერილი.

²⁸⁵ ავთანდილ დემეტრაშვილი (ავტ. კოლ. ხელ. და პას. რედ.), და სხვ. კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, 216.

²⁸⁶ ანდრამ შაიო, ხელისუფლების თვითმუზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 115.

²⁸⁷ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მე-40 მუხლი.

²⁸⁸ იქვე, მე-4 პუნქტი.

გაიგზავნოს სხდომამდე არაუგვიანეს 1 კვირისა.²⁸⁹ კომიტეტი მოწვეულ პირს უსმენს ამ ვადის გასვლიდან პირველსავე სხდომაზე.²⁹⁰ თუმცა, მოცემული წესის შეცვლა შესაძლებელია ინიციატორ სუბიექტსა და ადრესატს შორის შეთანხმების საფუძველზე.²⁹¹ ცვლილებების თანახმად, თანამდებობის პირის დაბარებასა და მის გამოცხადებას პერიოდულად შეისწავლის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი.²⁹² კერძოდ, შესაბამისი კომიტეტები მას კალენდარული წლის ყოველი შესამე თვის (მარტი, ივნისი, სექტემბერი, დეკემბერი) დასრულებიდან არაუგვიანეს 5 დღისა უგზავნიან თანამდებობის პირის მოწვევის შესახებ მოთხოვნებს, აგრეთვე ინფორმაციას კომიტეტის სხდომაზე თანამდებობის პირის დასწრების/მოსმენის თაობაზე.²⁹³ იგი ამ ვადის გასვლიდან 15 დღეში შეისწავლის მიღებულ მასალებს და, საჭიროების შემთხვევაში, ახდენს სათანადო რეაგირებას, მათ შორის, შეიმუშავებს რეკომენდაციებს,²⁹⁴ ხოლო შედეგებს წარუდგენს პარლამენტის ბიუროს. ამასთანავე, იგი უზრუნველყოფს შესაბამისი ინფორმაციის გამოქვეყნებას პარლამენტის ვებგვერდზე,²⁹⁵ სადაც ასევე უნდა აიტვირთოს კომიტეტის სხდომაზე თანამდებობის პირის მოწვევის შესახებ მოთხოვნები და ამ თანამდებობის პირის მოსმენის აუდიოჩანაწერი.²⁹⁶

7.2.1. კომიტეტის უმრავლესობის მიერ თანამდებობის პირის დაბარება

კომიტეტზე, დამსწრეთა უმრავლესობით, შეიძლება დაიბარონ პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული პირი.²⁹⁷ კომიტეტის თავმჯდომარე ადრესატს მოწვევას უგზავნის განხილვამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა.²⁹⁸

2021 წლის საშემოდგომო სესიაზე ეს წესი ერთადერთხელ მხოლოდ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა გამოიყენა და ერთსა და იმავე საკითხზე ერთდროულად 2 თანამდებობის პირი მოიწვია.²⁹⁹ კერძოდ, 21 დეკემბრის სხდომაზე დეპუტატებმა მოუსმინეს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს ლაშა დარსალიას და პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელს რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძეს, რომლებმაც ქენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების შესახებ ინფორმაცია წარმოადგინეს. ისინი სხდომაზე დათქმულ დროს გამოცხადდნენ.³⁰⁰ დანარჩენ 13 კომიტეტს ამ უფლებამოსილებით არ უსარგებლია.

2022 წლის საგაზაფხულო სესიაზე კვლავ მხოლოდ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა მოიწვია ერთხელ ერთდროულად 2 თანამდებობის პირი (საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ლაშა დარსალია და საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე გრიგოლ გიორგაძე) ერთსა და იმავე საკითხზე.³⁰¹ ისინი სხდომაზე დათქმულ დროს გამოცხადდნენ.³⁰²

²⁸⁹ იქვე.

²⁹⁰ იქვე.

²⁹¹ იქვე.

²⁹² იქვე, მე-9 პუნქტი.

²⁹³ იქვე.

²⁹⁴ იქვე.

²⁹⁵ იქვე.

²⁹⁶ იქვე, მე-10 პუნქტი.

²⁹⁷ იქვე, მე-2 პუნქტი.

²⁹⁸ იქვე, მე-4 პუნქტი.

²⁹⁹ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 აპრილის №3678/2-7/22 წერილი.

³⁰⁰ იქვე.

³⁰¹ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 სექტემბრის №8820/2-7/22 წერილი.

³⁰² იქვე.

2022 წლის საშემოდგომო სესიაზე არცერთ კომიტეტს ეს უფლებამოსილება არ გამოუყენებია.³⁰³

რეგლამენტი ითვალისწინებს ე.წ. ჩამკეტ მექანიზმს. კერძოდ, ერთი და იმავე პირის განმეორებით დაბარება 2 თვის განმავლობაში ნებისმიერ კომიტეტზე დაუშვებელია. თუმცა, არსებობს გამონაკლისი. თუ კომიტეტს სურს უკვე დაბარებული პირის ხელახლა მოწვევა, გადაწყვეტილების მისაღებად სიითი შემადგენლობის უმრავლესობაა საჭირო.³⁰⁴ დათქმა ვრცელდება როგორც კომიტეტის, ისე ფრაქციის მიერ დაბარებულ თანამდებობის პირებზე. ასეთი რეგულირებით კომიტეტს მეტი ძალისხმევა სჭირდება მათი საქმიანობის გასაკონტროლებლად. ამ მექანიზმის გამოყენება საკითხის მნიშვნელობიდან უნდა გამომდინარეობდეს და პირის მოწვევისთვის დამაბრკოლებელი გარემოება არ უნდა იყოს უახლოეს წარსულში კომიტეტის სხდომაზე მისი მოსმენა. **აუცილებელია, ზემოაღნიშნული შეზღუდვა გაუქმდეს და როგორც ფრაქციას, ისე კომიტეტის სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობას მიეცეს შესაძლებლობა, ნებისმიერ დროს ნებისმიერი პირი დაიბაროს კომიტეტის სხდომაზე.**

გარდა ამისა, რეგლამენტი ადგენს ზოგადი წესიდან გამონაკლისის 3 თანამდებობის პირის დაბარებასთან დაკავშირებით. კერძოდ, პრემიერ-მინისტრის, გენერალური პროკურორის ან/და სუს-ის უფროსის სხდომაზე მოწვევა შესაძლებელია მხოლოდ კომიტეტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.³⁰⁵ არც 2021 წლის საშემოდგომო³⁰⁶ და არც 2022 წლის საგაზაფხულო³⁰⁷ და საშემოდგომო³⁰⁸ სესიებზე არცერთ კომიტეტს დასახელებული 3 პირი არ დაუბარებია. ასეთი დიფერენცირებული მიდგომა ამცირებს საპარლამენტო კონტროლის ეფექტიანობას და, იმავდროულად, მას საფუძვლად არ უდევს მკაფიო არგუმენტი.³⁰⁹ **კომიტეტის უბრალო უმრავლესობას უნდა ჰქონდეს ამ პირთა დაბარების უფლებამოსილება.**

7.2.2. კომიტეტის სხდომაზე თანამდებობის პირის დაბარება ფრაქციის მიერ

ფრაქციას შეუძლია, კომიტეტის სხდომაზე დაიბაროს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირი. თუმცა, ამ უფლებამოსილებით სარგებლობისთვის მას შესაბამის კომიტეტში წარმომადგენელი უნდა ჰყავდეს.³¹⁰

2021 წლის საშემოდგომო სესიაზე ფრაქციებმა 2 კომიტეტზე თითოჯერ დაიბარეს თანამდებობის პირები,³¹¹ თუმცა არცერთი არ გამოცხადდა.³¹² პირველ შემთხვევაში ეს არ იყო დარღვევა, რადგან ფრაქცია, რომელმაც თანამდებობის პირი მოიწვია, კომიტეტის სხდომაზე გაუქმდა.³¹³ პირის დაბარება მიბმულია ფრაქციის მოთხოვნაზე. თუ ფრაქცია აღარ არსებობს, უქმდება გამოცხადების ვალდებულებაც. მეორე შემთხვევაში საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის გამოუცხადებლობის მიზეზად დასახელდა ის, რომ მინისტრის საათის ფარგლებში იგი უკვე იყო დაბარებული

³⁰³ საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 31 იანვრის №885/2-7/23 წერილი.

³⁰⁴ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მე-40 მუხლის მე-8 პუნქტი.

³⁰⁵ იქვე, მე-3 პუნქტი.

³⁰⁶ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 აპრილის №3678/2-7/22 წერილი.

³⁰⁷ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 სექტემბრის №8820/2-7/22 წერილი.

³⁰⁸ საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 31 იანვრის №885/2-7/23 წერილი.

³⁰⁹ ვახუშტი მენაბდე და სხვები, დასახელებული ნაშრომი, 80.

³¹⁰ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტი.

³¹¹ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 აპრილის №3678/2-7/22 წერილი.

³¹² იქვე.

³¹³ იქვე.

პარლამენტში.³¹⁴ ეს არასწორი პრაქტიკაა. აღსანიშნავია, რომ კომიტეტზე დაბარება განსხვავდება მინისტრის საათის ფორმატიდან. პირველ შემთხვევაში ფრაქცია უფლებამოსილია, პირი მოიწვიოს მისთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, კომიტეტის სხდომაზე მის განსახილველად. მინისტრის საათი კი არის მოხსენება სამთავრობო პროგრამის შესრულების თაობაზე.³¹⁵ ამ ორი მექანიზმის ურთიერთშემნაცვლებელ კონტროლის ფორმებად განხილვა ეფუძნება სამთავრობო პასუხისმგებლობის ტიპების არასწორ აღქმას. ამიტომ, მინისტრის გამოუცხადებლობა დასახელებული მიზეზით რეგლამენტის დარღვევაა.

2022 წლის საგაზაფხულო³¹⁶ და საშემოდგომო³¹⁷ სესიებზე ფრაქციას კომიტეტის სხდომაზე თანამდებობის პირი არ დაუბარებია.

ამ მექანიზმით გათვალისწინებული ერთადერთი გამონაკლისი, როცა პირი არ არის ვალდებული, გამოცხადდეს კომიტეტის სხდომაზე, როგორც ზემოთ აღინიშნა, 2 თვის ვადაში მისი ხელმოწერა დაბარებაა.³¹⁸ ასეთი შემთხვევა არც 2021 წლის საშემოდგომო და არც 2022 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიებზე არ ყოფილა.

7.3. კომიტეტის თემატური მომხსენებელი

7.3.1. კომიტეტის სამოქმედო გეგმა

თითოეული კომიტეტი ყოველი წლის დასაწყისში შეიმუშავებს დასახელებულ დოკუმენტს, რომელშიც განსაზღვრულია კანონშემოქმედებითი, საზედამხებდევლო და, კომიტეტის სპეციფიკის გათვალისწინებით, სხვა შესაბამისი ფუნქციები.³¹⁹ მასში უნდა გაიწეროს აქტივობები და მათი შესრულების ვადები.³²⁰ გეგმით განისაზღვრება თითოეულ აქტივობაზე პასუხისმგებელი კომიტეტის წევრი, რომელიც არის თემატური მომხსენებელი.³²¹

რეგლამენტში ორი ნორმაა, რომელიც ეხება თემატურ მომხსენებელს. მათი დეტალური ანალიზით ერთი წინააღმდეგობა ვლინდება. ერთი მხრივ, მომხსენებელი ინიშნება სამუშაო გეგმით განსაზღვრულ აქტივობაზე,³²² ხოლო, მეორე მხრივ - ამავე დოკუმენტით გაწერილ სფეროსა ან მიმართულებაზე.³²³ რეგლამენტის ავტორებმა ასეთი ორწარმოვანი ჩანაწერით გაართულეს მექანიზმის პრაქტიკაში იმპლემენტაცია. სისტემური განმარტებით იკვეთება, რომ მომხსენებელი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ კონკრეტულ „სფეროსა“ და ამ სფეროში შემავალ ყველა „საკითხზე“ პასუხისმგებელი.

2021 წელს 16-ვე კომიტეტმა შეიმუშავა საკითხებად ჩამოლილი სამოქმედო გეგმა, თუმცა მხოლოდ 13-მა განათავსა ისინი ვებგვერდზე.³²⁴ 2022 წელსაც ყველა კომიტეტს ჰქონდა სამოქმედო გეგმა. ამჯერად ისინი ვებგვერდზე, ერთის გარდა, ყველამ გამოაქვეყნა.³²⁵ კომიტეტის წევრებიც თემატურ მომხსენებლებად ამ საკითხებზე და არა - სფეროებზე

³¹⁴ იქვე.

³¹⁵ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 153-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

³¹⁶ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 სექტემბრის №8820/2-7/22 წერილი.

³¹⁷ საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 31 იანვრის №885/2-7/23 წერილი.

³¹⁸ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მე-40 მუხლის მე-8 პუნქტი.

³¹⁹ იქვე, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

³²⁰ იქვე.

³²¹ იქვე.

³²² იქვე.

³²³ იქვე, 45-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

³²⁴ იხ. ცხრილი №3.

³²⁵ საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის 2022 წლის სამოქმედო გეგმა პარლამენტის ვებგვერდზე განთავსებული არ არის. მკვლევართა ჯგუფმა იგი კომიტეტისგან გამოითხოვა.

დაინიშნენ. ამიტომ, ერთ სფეროში შემავალ ელემენტებზე სხვადასხვა დეპუტატია მომხსენებელი.

საკითხის ორი წინააღმდეგობრივი შინაარსის მქონე ნორმით დარეგულირება ბუნდოვანებას იწვევს. **ამიტომ, აუცილებელია, ნორმები გადაისინჯოს და მომხსენებელი მხოლოდ შესაბამის სფეროზე დაინიშნოს.**

7.3.2. სამოქმედო გეგმის სტრუქტურა

როგორც წინა ქვეთავში აღინიშნა, არსებობს ტერმინოლოგიური წინააღმდეგობა თემატური მომხსენებლის დანიშვნის თაობაზე. რეგლამენტი ადგენს, რომ კომიტეტის სამოქმედო გეგმა უნდა შეიცავდეს კონკრეტულ „აქტივობას“³²⁶ და „სამუშაო სფეროს/მიმართულებას“.³²⁷ აქედან გამომდინარე, გეგმას ორი სტრუქტურული ერთეული გააჩნია - „სამუშაო სფერო“/„მიმართულება“ და კონკრეტული „აქტივობა“.

შესწავლილ გეგმებში ეს ნორმები არ არის დაცული და დიფერენცირებული მიდგომები ვლინდება.³²⁸ 2021 წელს შექმნილი დოკუმენტებიდან 2 გეგმა 4 სტრუქტურული ერთეულისგან შედგება: მიმართულება, სტრატეგიული მიზანი, ამოცანა და ღონისძიება;³²⁹ 10 - 3-ისგან: სტრატეგიული მიზანი, ამოცანა და საკითხი;³³⁰ 3 (ფორმალური თვალსაზრისით, შესაბამება რეგლამენტის მოთხოვნებს) - 2-ისგან: მიმართულება და საკითხი.³³¹ თუმცა, გეგმები ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც პრობლემურია, რადგან კომიტეტის წევრები არა თემებზე, არამედ საკითხებზე არიან დანიშნულნი თემატურ მომხსენებლებად.

მნიშვნელოვანია, რომ ბოლო სტრუქტურული ერთეული - „საკითხი“ - სხვადასხვა სამოქმედო გეგმაში სხვადასხვა ტერმინით არის აღნიშნული. სიტყვა „ღონისძიება“ გამოყენებულია 7 შემთხვევაში,³³² „საკითხი“³³³ - 4-ში, „ქმედება“ - 4-ში,³³⁴ „აქტივობა/ღონისძიება“³³⁵ - 1-ში.

2022 წელს შექმნილი დოკუმენტებიდან 4 გეგმა 4 სტრუქტურული ერთეულისგან შედგება: მიმართულება, სტრატეგიული მიზანი, ამოცანა და ღონისძიება;³³⁶ 6 - 3-ისგან: სტრატეგი-

³²⁶ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

³²⁷ იქვე, 45-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

³²⁸ მაგ. განათლებისა და მეცნიერების, საპროცედურო საკითხთა და წესების, აგრარულ საკითხთა კომიტეტების სამოქმედო გეგმები.

³²⁹ ასეთი სტრუქტურის მქონე სამოქმედო გეგმა აქვთ განათლებისა და მეცნიერების, აგრეთვე კულტურის კომიტეტებს.

³³⁰ ასეთი სტრუქტურის მქონე სამოქმედო გეგმები აქვთ: აგრარულ საკითხთა, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის, ევროპასთან ინტეგრაციის, თავდაცვისა და უშიშროების, იურიდიულ საკითხთა, საგარეო ურთიერთობათა, საფინანსო-საბიუჯეტო, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტებს.

³³¹ ასეთი სტრუქტურის მქონე სამოქმედო გეგმები აქვთ: დიასპორისა და კავკასიის საკითხთა, რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის და საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტებს.

³³² ეს ტერმინი გამოყენებული აქვთ: ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის, განათლებისა და მეცნიერების, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, ევროპასთან ინტეგრაციის, იურიდიულ საკითხთა, კულტურის, რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტებს.

³³³ ეს ტერმინი გამოყენებული აქვთ: დიასპორისა და კავკასიის საკითხთა, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის, საპროცედურო საკითხთა და წესების, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტებს.

³³⁴ ეს ტერმინი გამოყენებული აქვთ: თავდაცვისა და უშიშროების, საგარეო ურთიერთობათა, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტებს.

³³⁵ ეს ტერმინი გამოყენებული აქვს აგრარულ საკითხთა კომიტეტს.

³³⁶ ასეთი სტრუქტურის მქონე სამოქმედო გეგმები აქვთ: ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის, განათლებისა და მეცნიერების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტებს.

ული მიზანი, ამოცანა და ღონისძიება;³³⁷ 5 - 2-ისგან: ამოცანა და აქტივობა;³³⁸ მხოლოდ 1 ერთეულისგან (მიმართულება) შედგება 1 კომიტეტის სამოქმედო გეგმა.³³⁹

ასეთი ქაოსური არქიტექტურის დოკუმენტები ართულებს მათ ანალიზს და საერთო კონტექსტში მათ აღქმას. ამიტომ, აუცილებელია კომიტეტების სამოქმედო გეგმების სტანდარტიზაცია და რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

7.3.3. თემატურ მომხსენებლად დანიშვნა

თითოეულ სფეროზე უმრავლესობიდან 1 წევრი სავალდებულოდ ინიშნება, ხოლო ოპოზიციას, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია გამოყოფს იმავე საკითხზე მომხსენებელი საკუთარი რიგებიდან.³⁴⁰ თუ კონკრეტულ თემაზე მუშაობა არცერთმა დეპუტატმა არ მოინდომა, კომიტეტის თავმჯდომარე სავალდებულო წესით შეარჩევს 1 პირს საკუთარი შეხედულებისამებრ.³⁴¹ ასევე, თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, ერთსა და იმავე სფეროზე შეიძლება დაინიშნოს 2-ზე მეტი მომხსენებელი.³⁴²

2021 წელს ყველა კომიტეტმა დანიშნა თემატური მომხსენებლები³⁴³ - ჯამში, 81 დეპუტატი. ოპოზიციის მიხედვით თავდაპირველად არცერთი მათგანი არ იყო, ხოლო მას შემდეგ, რაც პარლამენტის რამდენიმე წევრმა უმრავლესობა დატოვა, მათმა რიცხვმა 6 შეადგინა.³⁴⁴ კომიტეტების სამოქმედო გეგმებით, მთლიანობაში, 1031 საკითხია გათვალისწინებული. აქედან 836 საკითხზე მომხსენებლებად განისაზღვრნენ კომიტეტის თავმჯდომარეები (სულ 16),³⁴⁵ ხოლო 201-ზე - თავმჯდომარის პირველი მოადგილეები (სულ 11).

2022 წელს ყველა კომიტეტმა დანიშნა მომხსენებლები³⁴⁶ - ჯამში, 93 დეპუტატი. მათგან უმრავლესობიდან არის 74, ხოლო ოპოზიციიდან - 19.³⁴⁷ კომიტეტების სამოქმედო გეგმებით, მთლიანობაში, 1034 საკითხია გათვალისწინებული. აქედან 555 საკითხზე მომხსენებლებად განისაზღვრნენ კომიტეტის თავმჯდომარეები (სულ 11),³⁴⁸ ხოლო 398-ზე - პირველი მოადგილეები (სულ 13).³⁴⁹

ასეთი მიდგომით დეფორმირდება ინსტიტუტის რეალური დანიშნულება - დეპუტატებს

³³⁷ ასეთი სტრუქტურის მქონე სამოქმედო გეგმები აქვთ: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის, ევროპასთან ინტეგრაციის, იურიდიულ საკითხთა, საგარეო ურთიერთობათა, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტებს.

³³⁸ ასეთი სტრუქტურის მქონე სამოქმედო გეგმები აქვთ: აგრარულ საკითხთა, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა, თავდაცვისა და უშიშროების, რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტებს.

³³⁹ ასეთი სტრუქტურის მქონე სამოქმედო გეგმა აქვს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს.

³⁴⁰ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 45-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

³⁴¹ იქვე, მე-4 პუნქტი.

³⁴² იქვე, მე-3 პუნქტი.

³⁴³ იხ. ცხრილი №3.

³⁴⁴ იქვე. იგულისხმება ქართული ოცნებიდან იმ დეპუტატების წასვლა, რომლებიც გიორგი გახარიას პარტიას შეუერთდნენ.

³⁴⁵ იქვე.

³⁴⁶ იხ. ცხრილი №4.

³⁴⁷ ეს დეპუტატები არიან გურამ მაჭარაშვილი, დიმიტრი ხუნდაძე, მიხეილ ყაველაშვილი და სოზარ სუბარი.

³⁴⁸ 4-მა დეპუტატმა უმრავლესობა დატოვა და, შესაბამისად, დატოვა კომიტეტების თავმჯდომარეობაც. ამიტომ, ისინი მხედველობაში არ მიიღება. ასევე, ერთ-ერთი კომიტეტის (საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი) თავმჯდომარე სახელითა და გვარით არ არის მითითებული. შესაბამისად, რთულია, ზუსტად განისაზღვროს, ვინ არის თავმჯდომარე და რამდენ საკითხზე. ამიტომ, ამ კომიტეტის სამოქმედო გეგმის მონაცემებიც თავმჯდომარის ნაწილში რაოდენობაში გათვალისწინებული არ არის.

³⁴⁹ იხ. ცხრილი №4.

შორის შრომის დანაწილება.³⁵⁰ ამიტომ, მიმართულებები თანაბრად უნდა გადანაწილდეს კომიტეტის წევრებს შორის. თემების ყოველმხრივი დამუშავებისთვის, სასურველია, ოპოზიციის ჩართულობა გაიზარდოს თემატურ მომხსენებლად რეგისტრაციისას.

7.3.4. თემატური მომხსენებლის ვინაობა

თემატურ მომხსენებლად შესაბამისი კომიტეტის წევრი ინიშნება. სამოქმედო გეგმაში ზუსტად უნდა ჩაიწეროს იმ დეპუტატის სახელი და გვარი, რომელიც ამა თუ იმ მიმართულებაზე პასუხისმგებელი. თუმცა, 2021 წელს 6 კომიტეტის გეგმაში არ განსაზღვრულა კონკრეტული პირი, შესაბამის გრაფაში კი მითითებული იყო „კომიტეტის წევრი“; 1 შემთხვევაში მომხსენებლად მითითებული იყო პარლამენტის სხვა კომიტეტი.³⁵¹ წარმოუდგენელია, კომიტეტის მიერ განსაზღვრულ საკითხებზე მომხსენებლად მიეთითოს სრულიად სხვა კომიტეტი. ეს ეწინააღმდეგება რეგლამენტის მოთხოვნებს და, ზოგადად, ლოგიკას. 1 შემთხვევაში ასევე მომხსენებლად დაინიშნა პარლამენტში შექმნილი დროებითი კომისია. მიდგომა არ მიესადაგება თემატური მომხსენებლის ინსტიტუტის არსს, შესაბამისად, ირღვევა რეგლამენტი. კვლავ პრობლემური რჩება აპარატის თანამშრომლის დანიშვნა თემატურ მომხსენებლად. 2021 წელს ასეთ პრაქტიკას 10-მა კომიტეტმა მიმართა.³⁵² ერთ შემთხვევაში მომხსენებლად ნდობის ჯგუფი ფიგურირებს.³⁵³

2022 წელს ბლანკეტური ჩანაწერი „კომიტეტის წევრი“ მომხსენებლად გვხვდება 6 კომიტეტის სამოქმედო გეგმაში, მეგობრობის ჯგუფი და საპარლამენტო დელეგაცია - თითო-თითოში, კომიტეტის აპარატი - 10-ში, ხოლო 1 კომიტეტის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ თემებზე მომხსენებლები არიან ასევე სხვა კომიტეტები.³⁵⁴

ზემოთ განხილული შემთხვევები მიაჩნდება თემატური მომხსენებლის არსის არასწორ გაგებაზე. ამიტომ, აუცილებელია, თემატურ მომხსენებლად დაინიშნოს მხოლოდ ფიზიკური პირი, სახელისა და გვარის მითითებით და არა - იურიდიული წარმონაქმნი ან ზოგადი ტერმინებით აღნიშნული სუბიექტი.

2021 წელს 17-მა დეპუტატმა დატოვა შესაბამისი კომიტეტები, ხოლო 3-მა - მანდატი.³⁵⁵ 2022 წელს 7-მა დეპუტატმა თქვა უარი კონკრეტული კომიტეტის წევრობაზე.³⁵⁶ თუმცა არცერთ შემთხვევაში სამოქმედო გეგმებში ცვლილებები არ შესულა. **აუცილებელია, მსგავსი ფაქტები გონივრულ ვადაში აისახოს სამოქმედო გეგმაში.**

7.3.5. თემატური მომხსენებლის ანგარიშგება

თემატურ მომხსენებლებს მათთვის განსაზღვრულ საკითხებზე გაწეული სამუშაოს შესახებ კომიტეტის წინაშე უნდა წარედგინათ ანგარიშები.³⁵⁷ 2021 წელს არცერთ კომიტეტში არცერთ თემატურ მომხსენებელს ეს არ გაუკეთებია.³⁵⁸

³⁵⁰ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

³⁵¹ იქვე.

³⁵² იქვე.

³⁵³ იქვე.

³⁵⁴ იხ. ცხრილი №4. 3 შემთხვევაში საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სამოქმედო გეგმით მომხსენებლად განსაზღვრულია თავდაცვისა და უშიშროების, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციისა და იურიდიული საკითხთა კომიტეტები თითო-თითო საკითხზე.

³⁵⁵ იხ. ცხრილი №3.

³⁵⁶ იხ. ცხრილი №4.

³⁵⁷ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 45-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

³⁵⁸ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 აპრილის №3678/2-7/22 წერილი.

2022 წლის საგაზაფხულო სესიაზე მხოლოდ 1 კომიტეტში 2-მა დეპუტატმა თითო-თითო საკითხზე გააკეთა მოხსენება.³⁵⁹ დანარჩენ 13 კომიტეტს ეს ინსტრუმენტი არ გამოუყენებია. კულტურის კომიტეტი იყო ერთადერთი, რომელსაც თემატურმა მომხსენებლებმა ანგარიშები წარუდგინეს. 2022 წლის 28 თებერვალს კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ ელისო ბოლქვაძემ, როგორც თემატურმა მომხსენებელმა, წარმოადგინა სახელოვნებო განათლების მიმართულებით გაწეული საქმიანობის ანგარიში. ხოლო 2022 წლის 31 მარტს კომიტეტის წევრმა ბაია კვიციანი, თემატური მომხსენებლის სტატუსით, კოლეგებს გააცნო ინფორმაცია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით ჩატარებული სამუშაოს შესახებ.³⁶⁰

2022 წლის საშემოდგომო სესიაზე 3 კომიტეტში, ჯამში, 5 მომხსენებელი წარდგა ანგარიშით. 30 სექტემბერს განათლებისა და მეცნიერების კომიტეტში თამარ ტალიაშვილმა წარმოადგინა ანგარიში თემატურ მოკვლევაზე „სასკოლო საგანმანათლებლო რესურსების გამოყენების პრაქტიკა ეფექტიანი სწავლა-სწავლების უზრუნველყოფის პროცესში“, ხოლო 31 ოქტომბერს ბაია კვიციანი - თემატურ მოკვლევაზე „ეთნიკური უმცირესობებისთვის ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის შესწავლა“.³⁶¹ ასევე, 2022 წლის 22 დეკემბერს დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტში ეკა სეფაშვილი გამოვიდა მოხსენებით თემატური მოკვლევის შესახებ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების კონტროლი“.³⁶²

რეკომენდებულია, რომ მომხსენებლებმა მათზე დაკისრებული ვალდებულება ჯეროვნად შეასრულონ და კომიტეტებს შესაბამისი ანგარიში წარუდგინონ.

7.4. უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის სპეციალური სუბიექტები

7.4.1. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი უსაფრთხოების სექტორზე კონტროლის სუბიექტებად მოიწოდებს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს, ნდობის ჯგუფს და სხვა დარგობრივ კომიტეტებს.³⁶³ ამ უკანასკნელს რეგლამენტი მკაფიოდ არ განსაზღვრავს. ამის საპირისპიროდ, შესწავლილი უცხოური პრაქტიკით, რეგლამენტებში კონკრეტულად არიან მოხსენიებულნი ის კომიტეტები, რომლებსაც უსაფრთხოების სექტორზე კონტროლი ევალებათ.³⁶⁴ ამასთანავე, ეს კომიტეტები სპეციალურად ამ საქმისთვის შექმნილი სუბიექტებია. ქართულ რეალობაში კი უსაფრთხოების სექტორის თემას რეგლამენტი ანაწილებს ისეთ კომიტეტებზე, რომელთა სფეროებიც შედარებით ვიწროა.

უშუალოდ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი აკონტროლებს თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის,

³⁵⁹ ეს იყო კულტურის კომიტეტი. 2022 წლის 28 თებერვალს კომიტეტის თავმჯდომარემ ელისო ბოლქვაძემ, როგორც თემატურმა მომხსენებელმა, კომიტეტს წარუდგინა სახელოვნებო განათლების მიმართულებით განხორციელებული სამუშაოების ანგარიში. აგრეთვე, 2022 წლის 31 მარტს კომიტეტის წევრმა ხათუნა კვიციანი თემატური მომხსენებლის სტატუსით წარმოადგინა ინფორმაცია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით ჩატარებული სამუშაოს შესახებ. საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 სექტემბრის №8820/2-7/22 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

³⁶⁰ საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 31 იანვრის №885/2-7/23 წერილი.

³⁶¹ იქვე.

³⁶² იქვე.

³⁶³ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 156-ე მუხლი.

³⁶⁴ ვახუშტი მენაბდე და სხვები, დასახელებული ნაშრომი, 57-58.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს დაზვერვის სამსახურისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის, ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს საქმიანობას.³⁶⁵ რეგლამენტის მიხედვით, შესაბამისი უწყებები პარლამენტის იურიდიულ საკითხთა, ასევე თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტებს წარუდგენენ დეტალურ ინფორმაციას განსახორციელებელი არასაიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, თუ შესასყიდი საქონლისა ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება აღემატება 2,000,000 (ორი მილიონი) ლარს, ხოლო შესასყიდი სამშენებლო სამუშაოს სავარაუდო ღირებულება - 4,000,000-ს (ოთხი მილიონი), აგრეთვე წელიწადში არანაკლებ ერთხელ აწოდებენ ინფორმაციას განსახორციელებელი და მიმდინარე არასაიდუმლო შესყიდვების შესახებ.³⁶⁶ საანგარიშო პერიოდში ეს ინფორმაცია თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში მხოლოდ 3-მა უწყებამ წარმოადგინა - მსს-მ - 9-ჯერ, სუს-მა და თავდაცვის სამინისტრომ - 2-2-ჯერ.³⁶⁷

ასეთი დატვირთული საკურატორო სფეროების პირობებში, რთულია, ერთმა სუბიექტმა ჯეროვანი კონტროლი უზრუნველყოს. ამიტომ, აუცილებელია, თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტი გარდაიქმნას ორ სრულფასოვან კომიტეტად. მათგან ერთი გააკონტროლებს მხოლოდ თავდაცვის სფეროს, ხოლო მეორე - საპოლიციო ძალებს.³⁶⁸ შესაბამისად, მასზე გადავა უსაფრთხოების სექტორში საიდუმლო ნაწილის კონტროლი და ნდობის ჯგუფის საჭიროება ადარ იქნება.

7.4.2. ნდობის ჯგუფი

7.4.2.1. ნდობის ჯგუფის დაკომპლექტება

მოქმედი რეგლამენტით, ნდობის ჯგუფი შედგება 5 დეპუტატისგან. მისი *ex officio* წევრია თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, რომელიც, დადგენილი პრაქტიკით, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელია. გარდა ამისა, ჯგუფში შედის უმრავლესობისა და ოპოზიციის 2-2 დეპუტატი.³⁶⁹ წევრთა დასახელების უფლება ფრაქციებს აქვთ.³⁷⁰ თუ კანდიდატს წარადგენს 2-ზე მეტი ოპოზიციური ფრაქცია, უპირატესობა მიენიჭება იმ 2-ს, რომლებიც ორმა ყველაზე დიდმა ფრაქციამ დაასახელა.³⁷¹ ხოლო, თუ მათ თანაბარი რაოდენობის წევრები ჰყავთ, მაშინ საკითხს მათ მიერ არჩევნებში მიღებული ხმები გადაწყვეტს.³⁷²

მეათე მოწვევის პარლამენტში ნდობის ჯგუფში 4 წევრია, რომელთაგან 3 - მმართველ პარტიას, ხოლო 1 ოპოზიციას წარმოადგენს.³⁷³ მოწვევის დასაწყისში 4 ფრაქცია არსებობდა.³⁷⁴ მოგვიანებით 2 მათგანი დაიშალა³⁷⁵ და მხოლოდ 2 ფრაქცია დარჩა. 2021 წლის

³⁶⁵ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის დებულება, მე-2 მუხლი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/yc2bjdhh>, განახლებულია: 21.11.22. აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 159-ე მუხლი.

³⁶⁶ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 159-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

³⁶⁷ საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 2023 წლის 30 მარტის №2374/2-7/23 წერილი.

³⁶⁸ ვახუშტი მენაბდე და სხვები, დასახელებული ნაშრომი, 59.

³⁶⁹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 157-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

³⁷⁰ იქვე, მე-3 პუნქტი.

³⁷¹ იქვე.

³⁷² იქვე.

³⁷³ ნდობის ჯგუფში 3 დეპუტატი ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრია, ხოლო 1 - ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“.

³⁷⁴ ეს ფრაქციები იყო: „ქართული ოცნება“, „ნაციონალური მოძრაობა“, „ლელო - პარტნიორობა საქართველოსთვის“, „მარლ მიშელის რეფორმების ჯგუფი“.

³⁷⁵ საპარლამენტო ფრაქციები „ლელო - პარტნიორობა საქართველოსთვის“ და „რეფორმების ჯგუფი“ გაუქმდა 2021 წლის 26 ნოემბრიდან. საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 25 ოქტომბრის №10099/2-7/22 წერილი.

საზაფხულო სესიაზე, რეგლამენტის ცვლილებების შედეგად, გაჩნდა ახალი სუბიექტი - პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც ფრაქციის უფლებამოსილებით აღიჭურვა (გარდა კონსტიტუციით ფრაქციისთვის განსაზღვრული უფლებებისა).³⁷⁶ ამჟამად პარლამენტში უმრავლესობასა და ოპოზიციაში თითო-თითო ფრაქციაა. ამასთანავე, ოპოზიციაში შექმნილია 5 პოლიტიკური ჯგუფი,³⁷⁷ რომელთაგან ყველაზე მრავალრიცხოვანში 5 წევრია. შესაბამისად, რეგლამენტის ახალი ჩანაწერით, მათ შეუძლიათ ნდობის ჯგუფში წევრის დასახელება, მით უფრო, რომ ეს საკითხი კონსტიტუციით დარეგულირებული არ არის. საგულისხმოა, რომ ოპოზიცია, თვეებია, ამ უფლებას არ იყენებს, რის გამოც, ნდობის ჯგუფი, ძირითადად, 3 წევრის შემადგენლობით (სამივე „ქართული ოცნების“ წარმომადგენელია) ფუნქციონირებს.

7.4.2.2. ნდობის ჯგუფის მოწვევა და კვორუმი

ნდობის ჯგუფის სხდომის მოწვევა შეუძლია თავმჯდომარეს ერთპიროვნულად.³⁷⁸ ჯგუფის წევრს კი შეუძლია, მოწვევის საკითხი დააყენოს, თუმცა სხდომის გამართვას წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერა სჭირდება.³⁷⁹ იმ პირობებში, როცა, რეგლამენტის მიხედვით, 5 წევრიდან 3 უმრავლესობის კვოტაა, რთული წარმოსადგენია, როგორ შეძლებს ოპოზიციის კვოტით დანიშნული წევრი სხდომის მოწვევას. ეს ოპოზიციას შესაძლებლობას აართმევს, მისთვის საინტერესო თემაზე ჯგუფის სხდომა მოიწვიოს. **რეკომენდებულია, სხდომის მოწვევა ჯგუფის ერთ წევრს შეეძლოს.**

2021 წლის სამემოდგომო სესიის განმავლობაში, ნდობის ჯგუფის თავმჯდომარის ინიციატივით, 2 სხდომა გაიმართა.³⁸⁰ 2022 წლის საზაფხულო სესიაზე - 7,³⁸¹ 2022 წლის სამემოდგომო სესიაზე კი - 5.

7.4.2.3. მანდატი

ნდობის ჯგუფი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში აკონტროლებს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროს. ამისთვის მას წარედგინება ინფორმაცია განსახორციელებელი, უკვე განხორციელებული და მიმდინარე საილუმლო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;³⁸² ასევე უწყების სტრუქტურისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების ძირითადი ამოცანების შემცველი საილუმლო ნორმატიული აქტი.³⁸³ წელიწადში ერთხელ, თუმცა არაუგვიანეს 15 აპრილისა, შესაბამისი უწყებები ჯგუფს წარუდგენენ მოხსენებას წინა წელს გაწეული საილუმლო საქმიანობისა და სპეციალური პროგრამების შესახებ, ხოლო ოტს - ამ საქმიანობის სტატისტიკურ და განზოგადებულ ანგარიშს.³⁸⁴ გარდა ამისა, ჯგუფს შეუძლია, ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო შეამოწმოს წელიწადში არაუმეტეს 2-ჯერ;³⁸⁵ თავმჯდომარის თანხმობით, ეწვიოს სხვადასხვა უწყებას;³⁸⁶ შესაბამისი დაწესებულებე-

³⁷⁶ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 228¹-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

³⁷⁷ პოლიტიკური ჯგუფები, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/parliament/parliamentary-opposition/political-groups>, განახლებულია: 19.09.22.

³⁷⁸ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 158-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

³⁷⁹ იქვე.

³⁸⁰ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 აპრილის №3678/2-7/22 წერილი.

³⁸¹ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 სექტემბრის №8820/2-7/22 წერილი.

³⁸² საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 159-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

³⁸³ იქვე, მე-7 პუნქტი.

³⁸⁴ იქვე, მე-9 პუნქტი.

³⁸⁵ იქვე, მე-12 პუნქტი.

³⁸⁶ იქვე, მე-11 პუნქტი.

ბიდან გამოითხოვოს ინფორმაცია;³⁸⁷ დაიბაროს თანამდებობის პირები საკუთარ სხდომებზე.³⁸⁸ იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ განხილულ უფლებამოსილებათა შესრულებისას დანაშაულის ნიშნები გამოიკვეთება, ჯგუფი ვალდებულია, მიმართოს საგამოძიებო ორგანოს და წარუდგინოს მის ხელთ არსებული მასალები.³⁸⁹ 2021 წლის საშემოდგომო და 2022 წლის საზაფხულო და საშემოდგომო სესიებზე ნდობის ჯგუფს საგამოძიებო ორგანოსთვის მიმართვის მექანიზმი არ გამოუყენებია.³⁹⁰

7.4.2.4. საიდუმლო შესყიდვების შესახებ ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება

საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებები ვალდებულნი არიან, ნდობის ჯგუფს წარუდგინონ დეტალური ინფორმაცია განსახორციელებელი საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.³⁹¹ თუმცა, ეს ვალდებულება მხოლოდ მაშინ არსებობს, თუ შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება - 2,000,000 ლარს, ხოლო შესასყიდი სამშენებლო სამუშაოს სავარაუდო ღირებულება 4,000,000-ს აღემატება.³⁹²

ეს ვალდებულება 2021 წელს 6-მა სუბიექტმა, ჯამში, 14-ჯერ შეასრულა.³⁹³ კერძოდ, სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა, სსიპ - ოპერატიულ-ტექნიკურმა სააგენტომ, სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა და შინაგან საქმეთა სამინისტრომ ეს ინფორმაცია თითოჯერ წარუდგინეს ჯგუფს,³⁹⁴ ხოლო თავდაცვის სამინისტრომ - 9-ჯერ.³⁹⁵

2022 წლის საზაფხულო სესიაზე ეს ვალდებულება 7-მა სუბიექტმა, ჯამში, 12-ჯერ შეასრულა.³⁹⁶ კერძოდ, სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა, დაზვერვის სამსახურმა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურმა თითოჯერ წარუდგინეს ჯგუფს ინფორმაცია,³⁹⁷ სსიპ - ოპერატიულ-ტექნიკურმა სააგენტომ - 2-ჯერ, ხოლო თავდაცვის სამინისტრომ - 5-ჯერ.³⁹⁸

2022 წლის საშემოდგომო სესიაზე ეს ვალდებულება 7-მა სუბიექტმა, ჯამში, 14-ჯერ შეასრულა.³⁹⁹ კერძოდ, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა, საქართველოს დაზვერვის სამსახურმა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალმა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ - სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა და სსიპ - ოპერატიულ-ტექნიკურმა სააგენტომ ჯგუფს ინფორმაცია წარუდგინეს თითოჯერ, ხოლო საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ - 8-ჯერ.⁴⁰⁰

³⁸⁷ იქვე, მე-2 პუნქტი.

³⁸⁸ იქვე, მე-10 პუნქტი.

³⁸⁹ იქვე, მე-13 პუნქტი.

³⁹⁰ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 25 ოქტომბრის №10099/2-7/22 და 2023 წლის 30 მარტის №2373/2-7/23 წერილები.

³⁹¹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 159-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

³⁹² იქვე.

³⁹³ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 აპრილის №3678/2-7/22 წერილი.

³⁹⁴ იქვე.

³⁹⁵ იქვე.

³⁹⁶ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 სექტემბრის №8820/2-7/22 წერილი.

³⁹⁷ იქვე.

³⁹⁸ იქვე.

³⁹⁹ საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 31 იანვრის №885/2-7/23 წერილი.

⁴⁰⁰ იქვე.

7.4.2.5. საილუმლო ნორმატიული აქტის გაცნობის ვალდებულება

პრემიერ-მინისტრი, მთავრობა და შესაბამისი უწყებები ვალდებულნი არიან, ნდობის ჯგუფს გააცნონ უწყების სტრუქტურისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების ძირითადი ამოცანების შემცველი საილუმლო ნორმატიული აქტი 2 კვირის შემდეგ, რაც მას ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრის საილუმლო ნაწილში შეიტანენ.⁴⁰¹ ჯგუფისთვის აქტის გაცნობის შემდგომ ის დაუყოვნებლივ უბრუნდება შესაბამის უწყებას.⁴⁰²

2021 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიების განმავლობაში თავდაცვის სამინისტრომ ნდობის ჯგუფს წარუდგინა დასახელებული ინფორმაცია.⁴⁰³

2022 წლის საგაზაფხულო სესიაზე ოპერატიულ-ტექნიკურმა სააგენტომ ნდობის ჯგუფს 2 და 11 მაისს წარუდგინა ინფორმაცია უწყების სტრუქტურისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების ძირითადი ამოცანების შემცველი საილუმლო ნორმატიული აქტების შესახებ.⁴⁰⁴

2022 წლის საშემოდგომო სესიაზე მსგავსი რამ არ მომხდარა.⁴⁰⁵

7.4.2.6. ჯგუფისთვის საქმიანობის ანგარიშის წარდგენა

საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებები ნდობის ჯგუფს წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს 15 აპრილისა, წარუდგენენ მოხსენებას წინა წელს განხორციელებული საილუმლო საქმიანობისა და სპეციალური პროგრამების შესახებ.⁴⁰⁶ განსხვავებული მოთხოვნებია განსაზღვრული ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოსთვის. იგი წარადგენს გაწეული საქმიანობის სტატისტიკურ და განზოგადებულ ანგარიშს.⁴⁰⁷

2021 წელს ეს ვალდებულება შეასრულეს და ნდობის ჯგუფს მოხსენებები წარუდგინეს: საქართველოს დაზვერვის სამსახურმა (21 იანვარს), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ (28 იანვარს), საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ (12 თებერვალს), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალმა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ - სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა (25 მარტს), საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა (12 აპრილს) და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა (14 აპრილს).⁴⁰⁸ რაც შეეხება ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს, მანაც, რეგლამენტის შესაბამისად, 13 აპრილს ნდობის ჯგუფს წარუდგინა გაწეული საქმიანობის სტატისტიკური და განზოგადებული ანგარიში.⁴⁰⁹

2022 წელს ეს ვალდებულება დაიცვა დაზვერვის სამსახურმა და 2022 წლის 9 მარტს ნდობის ჯგუფს შესაბამისი ანგარიში წარუდგინა. ასევე, 13 აპრილს ოპერატიულ-ტექნიკურმა სააგენტომ ჯგუფს მიაწოდა სტატისტიკური და განზოგადებული ინფორმაცია უწყების მიერ გაწეული საქმიანობის თაობაზე.⁴¹⁰

⁴⁰¹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 159-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

⁴⁰² იქვე.

⁴⁰³ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 აპრილის №3678/2-7/22 წერილი.

⁴⁰⁴ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 სექტემბრის №8820/2-7/22 წერილი.

⁴⁰⁵ საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 31 იანვრის №885/2-7/23 წერილი.

⁴⁰⁶ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 159-ე მუხლის მე-9 პუნქტი.

⁴⁰⁷ იქვე.

⁴⁰⁸ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 აპრილის №3678/2-7/22 წერილი.

⁴⁰⁹ იქვე.

⁴¹⁰ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 სექტემბრის №8820/2-7/22 წერილი.

7.4.2.7. მონიტორინგის ვიზიტი

ნდობის ჯგუფი უფლებამოსილია, ეწვიოს სხვადასხვა დაწესებულებას,⁴¹¹ რისთვისაც მას თავმჯდომარის თანხმობა სჭირდება.⁴¹² ვიზიტის ფარგლებში ჯგუფის წევრებს შეუძლიათ, გაესაუბრონ თანამშრომლებს და გაეცნონ ჯგუფის კომპეტენციაში შემავალი საკითხების თაობაზე ინფორმაციას.⁴¹³ ნიშანდობლივია, რომ ვიზიტის წინ შესაბამისი უწყებას ნდობის ჯგუფის თავმჯდომარის გადაწყვეტილება ეგზავნება.⁴¹⁴ **საიას აზრით, მნიშვნელოვანია, ჯგუფს ვიზიტის განხორციელება შეტყობინების გარეშე შეეძლოს.**

ნდობის ჯგუფი უფლებამოსილია, შეამოწმოს ასევე ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო.⁴¹⁵ თუმცა, განსხვავებით სხვა უწყებებისგან, ამის გაკეთება მას წელიწადში, მაქსიმუმ, 2-ჯერ შეუძლია.⁴¹⁶ ამასთანავე, თავად ჯგუფი განსაზღვრავს, რომელი წევრი/წევრები შეამოწმებს/შეამოწმებენ სააგენტოს.⁴¹⁷

2021 წლის საშემოდგომო სესიის პერიოდში ნდობის ჯგუფი შემოწმების მიზნით ეწვია ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს, ხოლო საზედამხედველო ვიზიტები განხორციელა სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“, „თბილავიამშენსა“ და ქართულ-ებრაულ საწარმოში.⁴¹⁸

2022 წლის საგაზაფხულო სესიის პერიოდში საქართველოს პარლამენტის ნდობის ჯგუფის თავმჯდომარე ირაკლი ბერაია და ნდობის ჯგუფის წევრი ალექსანდრე ტაბატაძე საზედამხედველო ვიზიტით ეწვივნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიას.⁴¹⁹

2022 წლის საშემოდგომო სესიის პერიოდში საქართველოს პარლამენტის ნდობის ჯგუფის წევრებმა განხორციელეს საზედამხედველო ვიზიტები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირველ ქვეით ბრიგადაში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სპეციალური დანიშნულების რაზმის ბაზაზე.⁴²⁰

7.4.2.8. ინფორმაციის გამოთხოვნა

შესაბამისი უწყებები ვალდებულნი არიან, მოთხოვნის შემთხვევაში ნდობის ჯგუფს წარუდგინონ მისი უფლებამოსილების შეუფერხებელი განხორციელებისთვის საჭირო ყველა ინფორმაცია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.⁴²¹ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოსგან ინფორმაციის გამოთხოვნას ერთი დათქმა აქვს. იგი ჯგუფს აძლევს მხოლოდ გაწეული საქმიანობის სტატისტიკურ და განზოგადებულ ანგარიშს.⁴²² ინფორმაციის მიწოდებაზე უარის შემთხვევაში შესაბამისი უწყებები ვალდებულნი არიან, ნდობის ჯგუფს წარუდგინონ უარის წერილობითი დასაბუთება.⁴²³

⁴¹¹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 159-ე მუხლის მე-11 პუნქტი.

⁴¹² იქვე.

⁴¹³ იქვე.

⁴¹⁴ იქვე.

⁴¹⁵ იქვე, მე-12 პუნქტი.

⁴¹⁶ იქვე.

⁴¹⁷ იქვე.

⁴¹⁸ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 აპრილის №3678/2-7/22 წერილი.

⁴¹⁹ იქვე.

⁴²⁰ საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 31 იანვრის №885/2-7/23 წერილი.

⁴²¹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 159-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁴²² იქვე.

⁴²³ იქვე, მე-4 პუნქტი.

2021 წლის საშემოდგომო სესიაზე ნდობის ჯგუფმა გამოითხოვა ინფორმაცია ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოდან 8-ჯერ, ხოლო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან - 6-ჯერ.⁴²⁴ ხსენებულმა უწყებებმა დაუყოვნებლივ გასცეს პასუხები.⁴²⁵

2022 წლის საგაზაფხულო სესიაზე, კერძოდ, თებერვალში ჯგუფმა ინფორმაციები გამოითხოვა შემდეგი სუბიექტებისგან: თავდაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, დაზვერვის სამსახური, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური, ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო, იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სპეციალური პენიტენციური სამსახური.⁴²⁶ პასუხები ჯგუფმა დროულად მიიღო.⁴²⁷

2022 წლის საშემოდგომო სესიაზე ნდობის ჯგუფს ამ უფლებამოსილებით არ უსარგებლია.⁴²⁸

7.4.2.9. თანამდებობის პირის სხდომაზე დაბარება

შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელებს ან, ნდობის ჯგუფთან შეთანხმებით, მათ მიერ უფლებამოსილ პირებს შეუძლიათ, დაესწრონ ჯგუფის სხდომებს, უპასუხონ დასმულ შეკითხვებს, წარმოადგინონ შესაბამისი მასალები და გაწეული საქმიანობის ანგარიშები.⁴²⁹ ხოლო ნდობის ჯგუფის მოთხოვნის შემთხვევაში, ისინი ვალდებული არიან, განახორციელონ ზემოთ დასახელებული ქმედებები.⁴³⁰

2021 წლის საშემოდგომო სესიის პერიოდში, კერძოდ, 15 ოქტომბერს ნდობის ჯგუფმა, თავმჯდომარისა⁴³¹ და თავად ჯგუფის⁴³² გადაწყვეტილებით, მოუსმინა შემდეგი უწყებების ხელმძღვანელებს: თავდაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, დაზვერვის სამსახური, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური და სპეციალური პენიტენციური სამსახური. ხოლო 23 დეკემბრის სხდომაზე ჯგუფის წინაშე მოხსენებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი წარდგა.

2022 წლის საგაზაფხულო სესიაზე ნდობის ჯგუფმა 7 სხდომა გამართა.⁴³³ კერძოდ, 2022 წლის 11 თებერვლის სხდომაზე მოწვეული იყო დაზვერვის სამსახურის უფროსი, 17 თებერვალს – სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი, 9 მარტს – შინაგან საქმეთა მინისტრი, 10 მარტს – თავდაცვის მინისტრი, 13 მაისს – დაზვერვის სამსახურის უფროსი. 25 მაისს ჩატარდა 2 სხდომა, რომლებზეც მოწვეულები იყვნენ თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელი პირები, ასევე იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორი.⁴³⁴

2022 წლის საშემოდგომო სესიაზე ნდობის ჯგუფმა 5 სხდომა გამართა.⁴³⁵ კერძოდ, 2022

⁴²⁴ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 აპრილის №3678/2-7/22 წერილი.

⁴²⁵ იქვე.

⁴²⁶ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 სექტემბრის №8820/2-7/22 წერილი.

⁴²⁷ იქვე.

⁴²⁸ საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 15 თებერვლის №1251/2-7/23 წერილი.

⁴²⁹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 159-ე მუხლის მე-10 პუნქტი.

⁴³⁰ იქვე.

⁴³¹ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 აპრილის №3678/2-7/22 წერილი.

⁴³² საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 7 ნოემბრის №10651/2-7/22 წერილი.

⁴³³ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 სექტემბრის №8820/2-7/22 წერილი.

⁴³⁴ იქვე.

⁴³⁵ საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 31 იანვრის №885/2-7/23 წერილი.

წლის 30 სექტემბრის სხდომაზე მოწვეულები იყვნენ: შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე იოსებ ჭელიძე, შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე ალექსი ბატიაშვილი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორი; 7 ოქტომბრის სხდომაზე მოიწვიეს: თავდაცვის მინისტრის მოადგილე გიორგი ხაინდრავა, თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე, გენერალური შტაბის უფროსი, თავდაცვის სამინისტროს J-5 სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის რუსურების დაგეგმვისა და მართვის სამმართველოს უფროსი, სუს-ის უფროსის პირველი მოადგილე ალექსი ბატიაშვილი, სუს-ის ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორი, დაზვერვის სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე გიორგი ლილუაშვილი, დაზვერვის სამსახურის საფინანსო სამმართველოს უფროსი, სდსს-ის ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, შს მინისტრის მოადგილე გიორგი ბუთხუზი, შსს-ს ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორი, იუსტიციის მინისტრის მოადგილე თორნიკე ჭიშვილი, იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორი ნიკა ცხვარაშვილი, ამ სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი და დაზვერვის სამსახურის ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი; 3 ნოემბრის სხდომაზე მოიწვიეს დაზვერვის სამსახურის უფროსი შალვა ლომიძე; 4 ნოემბრის სხდომაზე – სუს-ის უფროსის მოადგილე შენგელი ფიცხელაური, სუს-ის სასწავლო ცენტრის უფროსი გიორგი ვაშაიძე და მისი მოადგილე; 15 დეკემბრის სხდომაზე კი – თავდაცვის მინისტრი ჯუანშერ ბურჭულაძე, მისი მოადგილე გიორგი ხაინდრავა, თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე ირაკლი ჭიჭინაძე, თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე, გენერალური შტაბის უფროსი ჯონი ტატუნაშვილი.⁴³⁶

7.5. თემატური მოკვლევა

7.5.1. თემატური მოკვლევის ჯგუფის შექმნა

პარლამენტის რეგლამენტი კომიტეტს ან პარლამენტის მუდმივმოქმედ საბჭოს უფლებას აძლევს, შექმნას პარლამენტის წევრებისგან დაკომპლექტებული თემატური მოკვლევის ჯგუფი.⁴³⁷ საანგარიშო პერიოდში სულ 14 თემატური ჯგუფი ჩამოყალიბდა. მათგან არცერთი არ შეუქმნია თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს.

2021 წლის საშემოდგომო სესია

2021 წლის საშემოდგომო სესიის პერიოდში პარლამენტში, ჯამში, 3 თემატური მოკვლევის ჯგუფი შეიქმნა.⁴³⁸ რეგლამენტის მიხედვით, ჯგუფის შექმნის უფლებამოსილება აქვს როგორც კომიტეტს, ისე პარლამენტში არსებულ მუდმივმოქმედ საბჭოს.⁴³⁹ შესაბამისად, 2 ჯგუფი შეიქმნა კომიტეტების, ხოლო 1 - საბჭოს მიერ.⁴⁴⁰ თავდაპირველად, 2021 წლის 23 სექტემბერს, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის სხდომაზე დამსწრე წევრთა მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით, შეიქმნა თემატური მოკვლევის ჯგუფი საკითხზე „საქართველოში ინერტული ნარჩენების მდგრადი მართვა“.⁴⁴¹ მე-

⁴³⁶ საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 31 იანვრის №885/2-7/23 წერილი.

⁴³⁷ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 155-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁴³⁸ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 20 დეკემბრის №13394/2-7/22 წერილი.

⁴³⁹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 155-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁴⁴⁰ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 20 დეკემბრის №13394/2-7/22 წერილი.

⁴⁴¹ საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის 2021 წლის 23

ორე ჯგუფი შეიქმნა დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის მიერ 2021 წლის 13 ოქტომბერს „მეწარმეობის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამების ხელმისაწვდომობასა და ეფექტიანობასთან დაკავშირებით - „აწარმოე საქართველოში“ პროგრამების ეფექტიანობის შესახებ“.⁴⁴² კომიტეტმა იმსჯელა ამ საკითხზე და მისმა წევრებმა მხარი დაუჭირეს მოკვლევის დაწყებას.⁴⁴³ მესამე ჯგუფი დააინიცირა გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედმა საპარლამენტო საბჭომ 2021 წლის 15 ნოემბერს თემაზე „გენდერული თანასწორობის საკითხების მეინსტრიმინგი სამთავრობო პოლიტიკაში“.⁴⁴⁴ ჯგუფის შექმნის თაობაზე საბჭომ დადებითი გადაწყვეტილება მიიღო.⁴⁴⁵

2022 წლის საგაზაფხულო სესია

2022 წლის საგაზაფხულო სესიაზე შეიქმნა 8 თემატური მოკვლევის ჯგუფი.⁴⁴⁶ სესიის დასაწყისში, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის 2022 წლის 8 თებერვლის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, დაიწყო თემატური მოკვლევა საკითხზე „სახელმწიფო ვალი და ფისკალური სტაბილურობა კოვიდ პანდემიის გავლენით“.⁴⁴⁷ 2022 წლის 23 მარტს აგრარულ საკითხთა და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტებმა ცალ-ცალკე სხდომებზე მიიღეს გადაწყვეტილება ერთობლივი თემატური მოკვლევის ჯგუფის შექმნის თაობაზე „აგრარულ დარგში DCFTA-ით ნაკისრი ვალდებულების ფარგლებში მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების აღსრულების გადავადების შესახებ“.⁴⁴⁸ აღსანიშნავია, რომ კომიტეტებს არ აქვთ უფლებამოსილება, ერთობლივად შექმნან თემატური მოკვლევის ჯგუფი. რეგლამენტი სპეციალურ პროცედურას ითვალისწინებს იმ შემთხვევისთვის, როცა სხვადასხვა კომიტეტს ერთსა და იმავე საკითხზე სურს თემატური მოკვლევის დაწყება. კერძოდ, ასეთ დროს აუცილებელია პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება მოკვლევაში მონაწილე წევრების გაერთიანების თაობაზე.⁴⁴⁹ **რეკომენდებულია, საპარლამენტო სუბიექტებმა დაიცვან რეგლამენტით განსაზღვრული პროცედურები.** თემატური მოკვლევის ორი ჯგუფი შეიქმნა განათლებისა და მეცნიერების კომიტეტში 2022 წლის 6 აპრილს.⁴⁵⁰ ერთი ჯგუფის მიზნად განისაზღვრა სასკოლო საგანმანათლებლო რესურსების ეფექტიანობის შეფასება,⁴⁵¹ ხოლო მეორის - ხარისხიან განათლებაზე ეთნიკური უმცირე-

სექტემბრის №25 სხდომის ოქმი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3LO2hwL>, განახლებულია: 17.01.23.

⁴⁴² საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 20 დეკემბრის №13394/2-7/22 წერილი.

⁴⁴³ საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის 2021 წლის 13 ოქტომბრის №32 სხდომის ოქმი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3JYXUxw>, განახლებულია: 17.01.23.

⁴⁴⁴ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 20 დეკემბრის №13394/2-7/22 წერილი.

⁴⁴⁵ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს 2021 წლის 15 ნოემბრის №7 სხდომის ოქმი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ZbyXUb>, განახლებულია: 17.01.23.

⁴⁴⁶ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 20 დეკემბრის №13394/2-7/22 წერილი.

⁴⁴⁷ საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის 2022 წლის 8 თებერვლის №1 სხდომის ოქმი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ZbyXUb>, განახლებულია: 17.01.23.

⁴⁴⁸ საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის 2022 წლის 23 მარტის №30 სხდომის ოქმი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ZbyXUb>, განახლებულია: 01.03.2023; საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის 2022 წლის 23 მარტის №28 სხდომის ოქმი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3TGpHGf>, განახლებულია: 17.01.23.

⁴⁴⁹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 155-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

⁴⁵⁰ განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის 2022 წლის 6 აპრილის №41 სხდომის ოქმი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3lz3KfE>, განახლებულია: 17.01.23.

⁴⁵¹ იქვე.

სობების ხელმისაწვდომობის შესწავლა.⁴⁵² კიდევ ერთი თემატური ჯგუფი შეიქმნა 2022 წლის 31 მაისს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს მიერ.⁴⁵³ იგი შეეხება ქალების წვდომას ფინანსურ რესურსებზე.⁴⁵⁴ ჯგუფის შექმნას მხარი ერთხმად დაუჭირეს სხდომაზე დამსწრე წევრებმა.⁴⁵⁵ მე-6 ჯგუფი შეიქმნა კულტურის კომიტეტში 2022 წლის 13 ივნისს.⁴⁵⁶ თემატური მოკვლევა დაიწყო საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საფორტიფიკაციო (ციხესიმაგრეები, ციხე-დარბაზები, კოშკები) ნაგებობების მდგომარეობის, მათი დაცვისა და განვითარების პერსპექტივების შესწავლის მიზნით.⁴⁵⁷ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტმა, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტთან ერთად, 2022 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით, შექმნა თემატური მოკვლევის ჯგუფი საქართველოში დეკარბონიზაციის შესაძლებლობებისა და გამოწვევების თაობაზე.⁴⁵⁸ 2022 წლის 20 ივნისს შეიქმნა კიდევ ერთი ჯგუფი, ამჯერად გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს მიერ.⁴⁵⁹ მის შექმნას სხდომაზე დამსწრე წევრებმა მხარი ერთხმად დაუჭირეს.⁴⁶⁰

2022 წლის საშემოდგომო სესია

2022 წლის საშემოდგომო სესიაზე, ჯამში, 3 ჯგუფი ჩამოყალიბდა.⁴⁶¹ პირველი მათგანი დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა შექმნა 12 სექტემბერს.⁴⁶² კომიტეტის წევრებმა მხარი დაუჭირეს ჯგუფის შექმნას ციფრული ეკონომიკის მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ.⁴⁶³ მეორე თემატური მოკვლევის ჯგუფი შეიქმნა 3 კომიტეტის მიერ 26 სექტემბერს (გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, აგრარულ საკითხთა და განათლების და მეცნიერების კომიტეტები).⁴⁶⁴ მათ გაერთიანებულ სხდომაზე მიიღეს ჯგუფის შექმნის გადაწყვეტილება.⁴⁶⁵ მოკვლევა შეეხება ბაზრის მოთხოვნაზე მორგებული განათლების ხელმისაწვდომობას თანამედროვე აგრარული და გარემოსდაცვითი მიმართულებებით.⁴⁶⁶ როგორც ზემოთ აღინიშნა, თუ სხვადასხვა კომიტეტში სურთ დეპუტატებს, საერთო თემატიკაზე შექმნან მოკვლევის ჯგუფი, გადაწყვეტილებას ამ ჯგუფების გაერთიანების თაობაზე იღებს ბიურო.⁴⁶⁷

⁴⁵² იქვე.

⁴⁵³ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 20 დეკემბრის №13394/2-7/22 წერილი.

⁴⁵⁴ იქვე.

⁴⁵⁵ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს 2022 წლის 31 მაისის №11 სხდომის ოქმი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3K31S8D>, განახლებულია: 17.01.23.

⁴⁵⁶ კულტურის კომიტეტის 2022 წლის 13 ივნისის №27 სხდომის ოქმი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3n5D06S>, განახლებულია: 17.01.23.

⁴⁵⁷ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 20 დეკემბრის №13394/2-7/22 წერილი.

⁴⁵⁸ იქვე.

⁴⁵⁹ იქვე.

⁴⁶⁰ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს 2022 წლის 20 ივნისის №12 სხდომის ოქმი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3LMNvqg>, განახლებულია: 17.01.23.

⁴⁶¹ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 20 დეკემბრის №13394/2-7/22 წერილი.

⁴⁶² იქვე.

⁴⁶³ საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომის ოქმი №23, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Z52yON>, განახლებულია: 18.01.23.

⁴⁶⁴ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 20 დეკემბრის №13394/2-7/22 წერილი.

⁴⁶⁵ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, აგრარულ საკითხთა, განათლების და მეცნიერების კომიტეტების 2022 წლის 26 სექტემბრის ერთობლივი სხდომის დღის წესრიგი, საქართველო პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/40aVKAz>, განახლებულია: 18.01.23.

⁴⁶⁶ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 20 დეკემბრის №13394/2-7/22 წერილი.

⁴⁶⁷ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 155-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

შესაბამისად, კომიტეტების მიერ ერთობლივ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება ჯგუფის შექმნის შესახებ რეგლამენტის მოთხოვნებს არ შეესაბამება. მესამე ჯგუფის შექმნის გადაწყვეტილება საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა 25 ნოემბრის სხდომაზე მიიღო.⁴⁶⁸ იგი შეეხება ინტელექტუალური საკუთრების, კერძოდ, საავტორო და მომიჯნავე უფლებების მიმართულებით საერთაშორისო ვალდებულებებთან ქვეყნის კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისობის ანალიზსა და რეკომენდაციების გაცემას.⁴⁶⁹

7.5.2. ჯგუფის დაკომპლექტების პრინციპი

წლებია, საია პარლამენტს მოუწოდებს, თემატური მოკვლევის ჯგუფის დაკომპლექტებისას გამოიყენოს ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპი.⁴⁷⁰ ამის მიუხედავად, რეგლამენტში შესაბამისი ჩანაწერი არ გაკეთდა. ეს წესი დარღვეულია როგორც 2021 საშემოდგომო, ისე 2022 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიების პერიოდში შექმნილ ჯგუფებში.⁴⁷¹ მხოლოდ ერთ ჯგუფში მოხერხდა პარლამენტში არსებულ ძალთა პროპორციული წარმომადგენლობის მიახლოებითი ასახვა.⁴⁷² რეკომენდაებულია, ჯგუფები ამ პრინციპის საფუძველზე დაკომპლექტდეს.

7.5.3. ჯგუფის წევრთა რაოდენობა

რეგლამენტი არ განსაზღვრავს თემატური მოკვლევის ჯგუფის წევრთა რაოდენობას. 2021 წლის საშემოდგომო სესიიდან 2022 წლის საშემოდგომო სესიის ჩათვლით პერიოდში თითო-თითო ჯგუფი შეიქმნა 11 და 9 წევრის შემადგენლობით, 2 ჯგუფი დაკომპლექტდა 8 წევრით, 6 - 7-ით, ხოლო 3 - 6 წევრით.⁴⁷³ თემატური მოკვლევის ჯგუფი მოქნილი უნდა იყოს, რათა კომიტეტს ან მუდმივმოქმედ საბჭოს დროულად მიაწოდოს ექსპერტული პოზიციები პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით. მისასაღებელია, რომ მე-10 მოწვევის პარლამენტში შეინიშნება მცირე ჯგუფების შექმნის ტენდენცია. რეკომენდაებულია, თემატური მოკვლევის მცირეწევრიანი ჯგუფების შექმნა, რომელთა რაოდენობაც არ აღემატება შემქმნელი სუბიექტის წევრთა 1/3-ს.

7.5.4. ჯგუფის წევრობა

თემატური მოკვლევის ჯგუფის წევრობა შეუძლია ნებისმიერ დეპუტატს. რეგლამენტით ამ მხრივ რაიმე შეზღუდვა არ არსებობს. საიას პოზიციით, ჯგუფის წევრი მხოლოდ მისი შემქმნელი სუბიექტის წევრი შეიძლება იყოს.⁴⁷⁴ 2021 წლის საშემოდგომო სესიაზე ჩამოყალიბებული ჯგუფებიდან ეს პრინციპი 2-ში დაირღვა (1 კომიტეტის მიერ შექმნილ სამუშაო ჯგუფში სხვა კომიტეტის წევრები მონაწილეობდნენ), 2022 წლის საგაზაფხულო სესიაზე - 5-ში, ხოლო იმავე წლის საშემოდგომო სესიაზე - 1-ში.⁴⁷⁵ ანუ სამივე სესიის განმავლობაში ეს პრინციპი, ჯამში, 8 ჯგუფში არ იყო დაცული. გარდა ამისა, 2 ჯგუფი სხვადასხვა კომიტეტის წევრთა მონაწილეობით შეიქმნა.⁴⁷⁶ როდესაც ერთსა და იმავე საკითხზე

⁴⁶⁸ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 20 დეკემბრის №13394/2-7/22 წერილი.

⁴⁶⁹ იქვე.

⁴⁷⁰ ვახუშტი მენაბდე და სხვები, დასახელებული ნაშრომი, 70.

⁴⁷¹ იხ. ცხრილი №5.

⁴⁷² იქვე.

⁴⁷³ იქვე.

⁴⁷⁴ ვახუშტი მენაბდე და სხვები, დასახელებული ნაშრომი, 71.

⁴⁷⁵ იხ. ცხრილი №5.

⁴⁷⁶ იქვე.

ჯგუფის შექმნის სურვილს ერთდროულად რამდენიმე კომიტეტი გამოთქვამს, მათი გაერთიანების შესახებ გადაწყვეტილება ბიურომ უნდა მიიღოს.⁴⁷⁷ თუმცა, ამ შემთხვევაში ასე არ მომხდარა. კომიტეტებმა ჯგუფი ერთობლივი სხდომის ჩატარების შედეგად შექმნეს.⁴⁷⁸ ეს რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევაა. **რეკომენდებულია, ერთი მხრივ, თემატური მოკვლევის დაწყებისას ჯგუფის წევრები იყვნენ შექმნილი სუბიექტის წევრები, ხოლო, მეორე მხრივ, მისი შექმნისას დაცული იყოს რეგლამენტის მოთხოვნები.**

7.5.5. ჯგუფის უფლებამოსილების ვადა და მისი დასკვნა

თემატური მოკვლევის ჯგუფის უფლებამოსილების ვადა არის 3 თვე, რაც შეიძლება გაიზარდოს არაუმეტეს 2 თვით.⁴⁷⁹ 2021 წლის საშემოდგომო სესიაზე შექმნილი ჯგუფებიდან 2-მა ვადის დარღვევით შეიმუშავა დასკვნა, ხოლო ერთს საბოლოო დოკუმენტი არ მოუშადა.⁴⁸⁰ ორივე ჯგუფმა დასკვნები ბიუროს წარუდგინა,⁴⁸¹ თუმცა ერთ-ერთ მათგანს დოკუმენტი კომიტეტისთვის უნდა გადაეგზავნა, რადგან ის კომიტეტმა შექმნა.⁴⁸² მეორე ჯგუფი ჩამოყალიბებული იყო გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს მიერ, შესაბამისად, მისი დასკვნა ბიუროს ეგზავნება,⁴⁸³ რომელსაც ის პარლამენტის სხდომის დღის წესრიგში შეაქვს.⁴⁸⁴ პარლამენტმა დასკვნა 2022 წლის 21 სექტემბერს მოისმინა,⁴⁸⁵ თუმცა რეკომენდაციები არ შეუმუშავებია.

2022 წლის საგაზაფხულო სესიაზე შექმნილი ჯგუფებიდან მხოლოდ 2-მა მოახერხა რეგლამენტით დადგენილ დამატებით ვადამი დასკვნის შემუშავება.⁴⁸⁶ ერთი ჯგუფი კომიტეტის მიერ იყო შექმნილი, ხოლო მეორე - ორი კომიტეტის მიერ, ერთობლივად.⁴⁸⁷ პირველი ჯგუფის დასკვნა უნდა წარდგენოდა კომიტეტს, თუმცა ეცნობა ბიუროს.⁴⁸⁸ ხოლო მეორე ჯგუფის დასკვნა უნდა წარდგენოდა ბიუროს პლენარული სხდომის დღის წესრიგში შესატანად, თუმცა ის შესაბამისმა კომიტეტებმა გაერთიანებულ სხდომაზე დაამტკიცეს და შესაბამის სუბიექტებს გაუგზავნეს.⁴⁸⁹ ამავე სესიაზე შექმნილი ჯგუფებიდან 3-მა ვადის დარღვევით შეიმუშავა დასკვნა.⁴⁹⁰ აქედან ორი მათგანი კომიტეტმა ჩამოაყალიბა, თუმცა, შესაბამისი კომიტეტების ნაცვლად, მათი დასკვნები ბიუროს გადაეგზავნა.⁴⁹¹ რაც შეეხება მესამე ჯგუფს, იგი საპარლამენტო საბჭომ შექმნა და მისი დასკვნის ბიუროსთვის გადაცემა რეგლამენტის მოთხოვნებს შეესაბამება.⁴⁹² ბიურომ დასკვნა პლენარული სხდომების დღის წესრიგში შეიტანა. პარლამენტს ის 2022 წლის 13-16 დეკემბრის შუალედში უნდა

⁴⁷⁷ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 155-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

⁴⁷⁸ იხ. ცხრილი №5.

⁴⁷⁹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 155-ე მუხლის მე-8 პუნქტი.

⁴⁸⁰ იხ. ცხრილი №6.

⁴⁸¹ იქვე.

⁴⁸² საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 155-ე მუხლის მე-8 პუნქტი.

⁴⁸³ იქვე.

⁴⁸⁴ იქვე.

⁴⁸⁵ საქართველოს პარლამენტის 2021 წლის 21 სექტემბრის პლენარული სხდომის საოქმო ჩანაწერი თემატური მოკვლევის ჯგუფის დასკვნის ცნობად მიღების თაობაზე, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/306349>, განახლებულია: 30.01.23.

⁴⁸⁶ იხ. ცხრილი №6.

⁴⁸⁷ იქვე.

⁴⁸⁸ იქვე.

⁴⁸⁹ ნინო წილოსანის 2022 წლის 11 ოქტომბრის №2-15564/22 წერილი პარლამენტის ბიუროს, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3LjYhNK>, განახლებულია: 30.01.23.

⁴⁹⁰ იხ. ცხრილი №6.

⁴⁹¹ იქვე.

⁴⁹² საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 155-ე მუხლის მე-8 პუნქტი.

განეხილა,⁴⁹³ თუმცა ასე არ მოქცეულა. დანარჩენი 3 ჯგუფიდან 2-ს დასკვნა არ შეუმუშავებია, ხოლო ერთის უფლებამოსილების ვადა არ გასულა.⁴⁹⁴

2022 წლის საშემოდგომო სესიაზე 3 ჯგუფიდან 2-ის უფლებამოსილების ვადა არ ამოწურულა, ხოლო ერთს ამოწურა, თუმცა დასკვნა დაგვიანებით შეიმუშავა.⁴⁹⁵

წინა მოწვევის პარლამენტის მსგავსად,⁴⁹⁶ ამ მოწვევაშიც ირდევია რეგლამენტი თემატური მოკვლევის ჯგუფების მიერ. ისინი ვერ ახერხებენ დათქმულ ვადაში დასკვნის შემუშავებას. ამიტომ, **რეკომენდებულია, რეგლამენტით გაჩნდეს შესაძლებლობა, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ჯგუფის უფლებამოსილების ვადა საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე დადგინდეს.**⁴⁹⁷ გარდა ამისა, თემატური მოკვლევის ჯგუფის დასკვნები ხშირად არასწორ სუბიექტს ეგზავნება. კომიტეტის მიერ შექმნილი ჯგუფების საბოლოო დოკუმენტი არა შესაბამის კომიტეტს, არამედ ბიუროს ეგზავნებოდა, რაც არ შეესაბამება რეგლამენტის მოთხოვნებს.⁴⁹⁸ **მნიშვნელოვანია, რომ კომიტეტის მიერ შექმნილმა ჯგუფმა თავისი დასკვნა სწორედ შესაბამის კომიტეტს გაუგზავნოს.** დასკვნის საფუძველზე, კომიტეტი/პლენარული სხდომა შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებიც შესაბამის სუბიექტებს წარედგინებათ.⁴⁹⁹ როგორც გამოიკვეთა, ზემოთ ხსენებული სესიების პერიოდში ეს მოთხოვნა კომიტეტმა მხოლოდ ერთხელ დაიცვა. **აუცილებელია რეკომენდაციების მომზადება და შესაბამის ადრესატებთან გაგზავნა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თემატური მოკვლევის ჯგუფის მუშაობა აკადემიურ საქმიანობას დაემსგავსება, რაც საპარლამენტო კონტროლის მიზნებს არ შეესაბამება.**⁵⁰⁰

7.6. სამუშაო ჯგუფი

7.6.1. სამუშაო ჯგუფის შექმნა

კომიტეტი უფლებამოსილია, სხვადასხვა თემის შესწავლის მიზნით შექმნას სამუშაო ჯგუფი. საიას ადვოკატირების შედეგად, დაიხვეწა ამ საკითხის მარეგულირებელი ნორმა და შეთავაზებული რეკომენდაციების უმრავლესობა გათვალისწინებულია.⁵⁰¹ მოქმედი რეგულაციით, კომიტეტი ქმნის ჯგუფს და ამის შესახებ იღებს გადაწყვეტილებას (აქტს).⁵⁰² ამ დოკუმენტით უნდა განისაზღვროს ჯგუფის შემადგენლობა, მიზნები და უფლებამოსილების ვადა.⁵⁰³ კომიტეტის გადაწყვეტილება პარლამენტის ვებგვერდზე უნდა გამოქვეყნდეს მიღებიდან 14 დღის ვადაში.⁵⁰⁴ ნორმა განახლებული ფორმით 2022 წლის 7 ივნისის ცვლილების შედეგად ჩამოყალიბდა. შესაბამისად, 2021 წლის საშემოდგომო და 2022 წლის საგაზაფხულო სესიაზე კვლავ ძველი რეგულაცია მოქმედებდა. იგი მხოლოდ

⁴⁹³ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თემატური მოკვლევის ანგარიში „ქალებისა და გოგონებისათვის ინფრასტრუქტურის (გზა, ტრანსპორტი, ინტერნეტი, წყალი) ხელმისაწვდომობის შესახებ“, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3z19br2>, განახლებულია: 30.01.23.

⁴⁹⁴ იხ. ცხრილი №6.

⁴⁹⁵ იქვე.

⁴⁹⁶ დეტალური ანალიზისთვის იხ. ვახუშტი მენაბდე და სხვები, საპარლამენტო კონტროლი კონსტიტუციისა და რეგლამენტის რეფორმის შემდეგ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020, 74-76.

⁴⁹⁷ საია ამ პოზიციას, წლებია, ადვოკატირებს. იხ. ვახუშტი მენაბდე და სხვები, დასახელებული ნაშრომი, 72.

⁴⁹⁸ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 155-ე მუხლის მე-8 პუნქტი.

⁴⁹⁹ იქვე.

⁵⁰⁰ ვახუშტი მენაბდე და სხვები, დასახელებული ნაშრომი, 76.

⁵⁰¹ იქვე, 79-82.

⁵⁰² საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 46-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁵⁰³ იქვე, მე-3 პუნქტი.

⁵⁰⁴ იქვე.

ჯგუფის შექმნის შესაძლებლობას არეგულირებდა და მასთან დაკავშირებულ არაერთ საკითხს ღიად ტოვებდა.⁵⁰⁵

2021 წლის საშემოდგომო სესია

2021 წლის საშემოდგომო სესიაზე 4-მა კომიტეტმა დააკომპლექტა სამუშაო ჯგუფები.⁵⁰⁶ ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა 2021 წლის 23 სექტემბერს ჩამოაყალიბა სამუშაო ჯგუფი,⁵⁰⁷ რომლის უფლებამოსილების ვადაც 2 თვით განისაზღვრა.⁵⁰⁸ მისი შექმნის ინიციატორი იყო კომიტეტის თავმჯდომარე, ხოლო მხარი დაუჭირა კომიტეტის 6-მა წევრმა, რომლებიც საპარლამენტო უმრავლესობას წარმოადგენენ.⁵⁰⁹ ჯგუფის მიზანია ნარკოტიკულ სამართალდარღვევებზე პრობაციისა და „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე უფლებების ჩამორთმევის მდგომარეობის ანალიზი და პასუხისმგებში მიცემულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობის შესწავლა.⁵¹⁰

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა შექმნა 3 სამუშაო ჯგუფი, რომელთა მიზნად განისაზღვრა საქართველოს პარლამენტისთვის ასარჩევად წარდგენილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შესაბამისობის დადგენა საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა კანონების მოთხოვნებთან.⁵¹¹ ერთი ჯგუფის შექმნის საკითხი კომიტეტზე გავიდა 2021 წლის 9 სექტემბერს,⁵¹² მეორის - 2021 წლის 18 ნოემბერს,⁵¹³ ხოლო მესამის - 2021 წლის 22 დეკემბერს.⁵¹⁴ სამივე შემთხვევაში კომიტეტმა დადებითი გადაწყვეტილება მიიღო. ჯგუფების ჩამოყალიბებას მხარი, შესაბამისად, კომიტეტის 9, 11-მა და 10-მა წევრმა დაუჭირა.

კულტურის კომიტეტმა 2021 წლის 15 ოქტომბერს შექმნა 1 სამუშაო ჯგუფი, რომელიც სახელოვნებო განათლების რეფორმაზე მუშაობს.⁵¹⁵ ინიციატორი იყო კომიტეტის თავმჯდომარე.⁵¹⁶ მის შექმნას მხარი დაუჭირა პარლამენტის 10-მა წევრმა, მათ შორის, საპარლამენტო უმრავლესობიდან - 7-მა, ხოლო საპარლამენტო ოპოზიციიდან - 3-მა.⁵¹⁷

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტმა 2021 წლის 21 სექტემბერს შექმნა 1 სამუშაო ჯგუფი თემაზე „სპორტული ინფრასტრუქტურის სახელმწიფო პოლიტიკის განვითარება“.⁵¹⁸ ინიციატორი იყო კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ ყაველაშვილი.⁵¹⁹ მის შექმნას მხარი დაუჭირა პარლამენტის 7-მა წევრმა, მათ შორის, საპარლამენტო უმრა-

⁵⁰⁵ 2022 წლის 7 ივნისის ცვლილებებამდე მოქმედი ნორმის ანალიზი იხ. ვახუშტი მენაბდე და სხვები, დასახელებული ნაშრომი, 79-82.

⁵⁰⁶ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 7 ივლისის №6093/2-7/22 წერილი.

⁵⁰⁷ იქვე.

⁵⁰⁸ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 2 აგვისტოს №6986/2-7-1/22 წერილი.

⁵⁰⁹ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 7 ივლისის №6093/2-7/22 წერილი.

⁵¹⁰ იქვე.

⁵¹¹ იქვე.

⁵¹² იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2021 წლის 9 სექტემბრის №47 სხდომის ოქმი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/3v663rdv>, განახლებულია: 14.07.22.

⁵¹³ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2021 წლის 18 ნოემბრის №51 სხდომის ოქმი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/2p8v8x4v>, განახლებულია: 14.07.22.

⁵¹⁴ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2021 წლის 22 დეკემბრის №64 სხდომის ოქმი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/2p9xdj3y>, განახლებულია: 14.07.22.

⁵¹⁵ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 7 ივლისის №6093/2-7/22 წერილი.

⁵¹⁶ იქვე.

⁵¹⁷ იქვე.

⁵¹⁸ იქვე.

⁵¹⁹ იქვე.

ვლესობიდან – 6-მა, ხოლო საპარლამენტო ოპოზიციიდან – 1-მა.⁵²⁰

2022 წლის საგაზაფხულო სესია⁵²¹

2022 წლის საგაზაფხულო სესიაზე 5-მა კომიტეტმა, ჯამში, 13 ჯგუფი შექმნა.⁵²²

აგრარულ საკითხთა კომიტეტმა 2022 წლის 11 მარტს ჩამოაყალიბა აგროდაზღვევის სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის სამუშაო ჯგუფი.⁵²³ ინიციატორი თავად კომიტეტი იყო.⁵²⁴ მის შექმნას მხარი დაუჭირა პარლამენტის 10-მა წევრმა, მათ შორის, საპარლამენტო უმრავლესობიდან – 8 დეპუტატმა, ხოლო საპარლამენტო ოპოზიციიდან – 2-მა.⁵²⁵

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა 5 სამუშაო ჯგუფი შექმნა. ყველა მათგანის ინიციატორი კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სარჯველაძე იყო.⁵²⁶ პირველი ჯგუფი 2022 წლის 10 მარტის სხდომაზე კომიტეტმა შექმნა. მის მიზნად განისაზღვრა „2020 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში წარმოდგენილი, საქართველოს პარლამენტისადმი მიმართული წინადადებების გათვალისწინების მიზანშეწონილობის საკითხის შესწავლა.⁵²⁷ ჯგუფის შექმნას მხარი დაუჭირა კომიტეტის 7-მა წევრმა. ყველა მათგანი წარმოადგენდა საპარლამენტო უმრავლესობას.⁵²⁸ კომიტეტმა 2022 წლის 6 მაისის სხდომაზე შექმნა მეორე ჯგუფი, რომლის მიზნად განისაზღვრა „2021 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში წარმოდგენილი, საქართველოს პარლამენტისადმი მიმართული წინადადებების გათვალისწინების მიზანშეწონილობის საკითხის შესწავლა.⁵²⁹ მას მხარი დაუჭირა კომიტეტის 6 წევრმა. ყველა მათგანი წარმოადგენდა საპარლამენტო უმრავლესობას.⁵³⁰ 2022 წლის 18 მაისის სხდომაზე შეიქმნა მესამე ჯგუფი, რომლის მიზნად განისაზღვრა ბავშვის ქონების განკარგვის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების აღსრულების კონტროლი და სასამართლო პრაქტიკის გაანალიზება.⁵³¹ მას მხარი დაუჭირა კომიტეტის 6 წევრმა. ყველა მათგანი წარმოადგენდა საპარლამენტო უმრავლესობას.⁵³² მეოთხე ჯგუფი კომიტეტმა 2022 წლის 11 ივლისის სხდომაზე შექმნა საქართველოს სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების პროაქტიულად გამოყენების თაობაზე კანონპროექტის შემუშავების მიზნით.⁵³³ მას მხარი დაუჭირა კომიტეტის 8 წევრმა, მათ შორის, უმრავლესობის 6-მა და ოპოზიციის 2-მა წარმომადგენელმა.⁵³⁴ მეხუთე ჯგუფი შეიქმნა 2022 წლის 11 ივლისის ევროპის საბჭოს წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კომიტეტის (CPT) 2022 წლის 16 ივნისის გამოქვეყნებულ ანგარიშში (CPT/Inf (2022) 11) საქართველოს

⁵²⁰ იქვე.

⁵²¹ ამ შემთხვევაში საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2022 წლის 1-ელ სექტემბრამდე პერიოდს.

⁵²² საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 სექტემბრის №8820/2-7/22 წერილი.

⁵²³ იქვე.

⁵²⁴ იქვე.

⁵²⁵ იქვე.

⁵²⁶ იქვე.

⁵²⁷ იქვე.

⁵²⁸ იქვე.

⁵²⁹ იქვე.

⁵³⁰ იქვე.

⁵³¹ იქვე.

⁵³² იქვე.

⁵³³ იქვე.

⁵³⁴ იქვე.

მიმართ გაცემული რეკომენდაციებისა და წინადადებების შესწავლის მიზნით.⁵³⁵ მას მხარი დაუჭირა კომიტეტის 8 წევრმა, მათ შორის, უმრავლესობის 6-მა და ოპოზიციის 2-მა წარმომადგენელმა.⁵³⁶

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა 2022 წლის 18 ივლისის სხდომაზე შექმნა სამუშაო ჯგუფი ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სფეროში არსებული ვითარების შეფასების, ხარვეზების გამოსწორებისა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის შემდგომი გაძლიერების თაობაზე წინადადებების შემუშავების მიზნით.⁵³⁷ კომიტეტმა მას მხარი დაუჭირა.⁵³⁸

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა 2 აგვისტოს შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მანდატად განისაზღვრა საქმიანობა ევროკომისიის რეკომენდაციებიდან ერთ-ერთის - საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების გაძლიერების კუთხით.⁵³⁹

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა 2022 წლის 4 აგვისტოს შექმნა 5 სამუშაო ჯგუფი, რომელთა მიზანი ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის საქართველოსთვის მისანიჭებლად განსახორციელებელი შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მომზადებაა.⁵⁴⁰ კერძოდ, სამუშაო ჯგუფები ჩამოყალიბდა შემდეგ საკითხებზე: დეოლიგარქიზაცია,⁵⁴¹ სასამართლო რეფორმა,⁵⁴² საარჩევნო კოდექსის გადასინჯვა ეუთო/ოდირისა და ვენეციის კომისიის დასკვნების შესაბამისად,⁵⁴³ ანტიკორუფციული ღონისძიებები,⁵⁴⁴ სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერება.⁵⁴⁵ ყველა სამუშაო ჯგუფი შექმნა კომიტეტმა და კენჭისყრაზე თითოეულს მხარი 12-მა დეპუტატმა დაუჭირა.⁵⁴⁶

2022 წლის სამშომდგომო სესია

2022 წლის სამშომდგომო სესიაზე მხოლოდ 2-მა კომიტეტმა შექმნა 3 სამუშაო ჯგუფი. კერძოდ, ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა 2022 წლის 19

⁵³⁵ იქვე.

⁵³⁶ იქვე.

⁵³⁷ იქვე.

⁵³⁸ კომიტეტის გადაწყვეტილებაში მითითებული არ არის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა რაოდენობა. ამასთანავე, უცნობია ოპოზიციისა და უმრავლესობის თანაფარდობა გადაწყვეტილების მხარდამჭერთა შორის. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის 2022 წლის 18 ივლისის №35 სხდომის ოქმი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/41hYSuP>, განახლებულია: 28.09.22.

⁵³⁹ კომიტეტის გადაწყვეტილებაში მითითებული არ არის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა რაოდენობა. ამასთანავე, უცნობია ოპოზიციისა და უმრავლესობის თანაფარდობა გადაწყვეტილების მხარდამჭერთა შორის. საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის 2022 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება კომიტეტის სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ZbALgv>, განახლებულია: 01.03.2023.

⁵⁴⁰ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 სექტემბრის №8820/2-7/22 წერილი.

⁵⁴¹ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2022 წლის 18 აგვისტოს №2-12263/22 გადაწყვეტილება, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/2p9hn7sk>, განახლებულია: 28.09.22.

⁵⁴² იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2022 წლის 18 აგვისტოს №2-12264/22 გადაწყვეტილება, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/2bbc9kns>, განახლებულია: 28.09.22.

⁵⁴³ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2022 წლის 18 აგვისტოს №2-12265/22 გადაწყვეტილება, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/ydnh28xv>, განახლებულია: 28.09.22.

⁵⁴⁴ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2022 წლის 18 აგვისტოს №2-12266/22 გადაწყვეტილება, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/yc6a5mev>, განახლებულია: 28.09.22.

⁵⁴⁵ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2022 წლის 18 აგვისტოს №2-12268/22 გადაწყვეტილება, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/2p9yny9s>, განახლებულია: 28.09.22.

⁵⁴⁶ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომის ოქმი №97, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/yxt9rex8>, განახლებულია: 29.09.22.

სექტემბრის სხდომაზე ჩამოაყალიბა 2 ჯგუფი: (1) ფემიციდის პრევენციის ხელშეწყობი ღონისძიებების დაგეგმვის/განსაზღვრის თაობაზე (ინიციატორი - კომიტეტის თავმჯდომარე და გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე); (2) საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებისას სახელმწიფო ენისა და საქართველოს ისტორიისა და სამართლის ძირითადი საფუძვლების ცოდნის ღონის შემოწმებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლის მიზნით (ინიციატორი - კომიტეტის თავმჯდომარე).⁵⁴⁷ ორივე ჯგუფის შექმნას მხარი 6-მა დეპუტატმა დაუჭირა (არცერთი წინააღმდეგი).⁵⁴⁸

2022 წლის 7 ნოემბრის სხდომაზე სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის გადაწყვეტილებით, შეიქმნა სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სამუშაო ჯგუფი (ინიციატორი - კომიტეტის წევრი გივი მიქანაძე).⁵⁴⁹ კომიტეტის სხდომის ოქმი არ შეიცავს ინფორმაციას საკითხის მხარდამჭერი დეპუტატების რაოდენობაზე.⁵⁵⁰

მისასაღებელია, რომ ახალი მოწვევის პარლამენტში კომიტეტები სამუშაო ჯგუფებს კენჭისყრის საფუძველზე, შესაბამისი აქტით ქმნიან. ეს შეესაბამება რეგლამენტის მოთხოვნებს.

7.6.2. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა

მოქმედი რეგულაციით, სამუშაო ჯგუფში, კომიტეტის შეხედულებისამებრ, შეიძლება შედიოდნენ პარლამენტის წევრები, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები და შესაბამისი დარგის სპეციალისტები, აგრეთვე სხვა დაინტერესებული პირები.⁵⁵¹ წინა რედაქციით, ჯგუფის შემადგენლობაში ყოფნა შეეძლოთ პარლამენტის წევრებსა და დარგის ექსპერტებს.⁵⁵² მოქმედი რედაქცია იმეორებს წინა ნორმის მიდგომას იმის თაობაზე, რომ დარგის სპეციალისტთა მონაწილეობას სამუშაო ჯგუფში არა სავალდებულო, არამედ ფაკულტატიური ხასიათი აქვს. ამიტომ, ძალაშია **საიას რეკომენდაცია, რომ ჯგუფის წევრთა შორის სავალდებულოდ იყვნენ როგორც დარგის ექსპერტები, ისე პარლამენტის წევრები.**⁵⁵³

2021 წლის საშემოდგომო სესია

2021 წლის საშემოდგომო სესიაზე შექმნილ ყველა ჯგუფში, გარდა კულტურის კომიტეტში შექმნილი ჯგუფისა, შედიოდნენ პარლამენტის წევრები და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები.⁵⁵⁴ აქედან დარგის ექსპერტების ჩართვა გაითვალისწინეს

⁵⁴⁷ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2022 წლის 19 სექტემბრის №94 სხდომის ოქმი; საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 30 მარტის №2373/2-7/23 წერილი.

⁵⁴⁸ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2022 წლის 19 სექტემბრის №94 სხდომის ოქმი.

⁵⁴⁹ საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის 2022 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3KLwvPX>, განახლებულია: 10.04.2023; საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 30 მარტის №2373/2-7/23 წერილი.

⁵⁵⁰ საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის 2022 წლის 7 ნოემბრის №40 სხდომის ოქმი.

⁵⁵¹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 46-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁵⁵² საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 46-ე მუხლი (2022 წლის 7 ივნისის ცვლილებებამდე მოქმედი რედაქცია).

⁵⁵³ ვაზუმტი მენაბდე და სხვები, დასახელებული ნაშრომი, 81.

⁵⁵⁴ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 7 ივლისის №6093/2-7/22 წერილი; ასევე, „სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი სპორტული ინფრასტრუქტურის მართვის მოდელზე მუშაობას იწყებს“, 2021 წლის 21 დეკემბერი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/2p997abs>, განახლებულია: 14.07.22; ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2021 წლის

მხოლოდ იურიდიულ საკითხთა, ასევე სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტებმა.⁵⁵⁵ ეს კარგი პრაქტიკაა და რეკომენდებულია, სხვა კომიტეტებმაც დანერგონ.

კულტურის კომიტეტის მიერ შექმნილ სამუშაო ჯგუფში, გარდა ექსპერტებისა და პარლამენტის წევრებისა, შედიან კომიტეტის აპარატის თანამშრომლები.⁵⁵⁶ ეს მიდგომა ეწინააღმდეგება რეგლამენტის მოთხოვნებს. რეკომენდებულია, კომიტეტებმა ჯგუფები დააკომპლექტონ მხოლოდ პარლამენტის წევრებითა და დარგის ექსპერტებით.

2022 წლის საგაზაფხულო სესია

2022 წლის საგაზაფხულო სესიაზე შექმნილი 13 ჯგუფიდან 9 შერეული პრინციპით დაკომპლექტდა,⁵⁵⁷ ხოლო 4 - მხოლოდ დეპუტატებით.⁵⁵⁸ მისასალმებელია, რომ 2022 წლის საგაზაფხულო სესიაზე ჯგუფების უმრავლესობა ჩამოყალიბდა პარლამენტის წევრების, ასევე დარგის ექსპერტების ჩართულობით. თუმცა, **უმჯობესია, ყველა შემთხვევაში ჯგუფი შერეული პრინციპით დაკომპლექტდეს.** აქვე აღსანიშნავია, რომ საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის, ასევე იურიდიული კომიტეტების მიერ შექმნილ სამუშაო ჯგუფებში წევრის სახით მონაწილეობდა საიაც.

23 სექტემბრის სხდომის დღის წესრიგი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/hjj7dbsw>, განახლებულია: 14.07.22.

⁵⁵⁵ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 7 ივლისის №6093/2-7/22 წერილი; ასევე: „სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი სპორტული ინფრასტრუქტურის მართვის მოდელზე მუშაობას იწყებს“, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/2p997abs>, განახლებულია: 14.07.22.

⁵⁵⁶ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 2 აგვისტოს №6986/2-7-1/22 წერილი.

⁵⁵⁷ აგრარულ საკითხთა კომიტეტთან არსებული აგროდაზღვევის სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/ybni45nsr>. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის გადაწყვეტილება №5(5) კომიტეტის სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/yynyh745z>. 2022 წლის 28 ივნისის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის №2-11371/22 გადაწყვეტილება, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/2fakzw3r>. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2022 წლის 18 აგვისტოს №2-12266/22 გადაწყვეტილება, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/yca65mev>. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2022 წლის 18 აგვისტოს №2-12263/22 გადაწყვეტილება, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/2p9hn7sk>. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2022 წლის 18 აგვისტოს №2-12264/22 გადაწყვეტილება, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/2bbc9kns>. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2022 წლის 18 აგვისტოს №2-12265/22 გადაწყვეტილება, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/ydnb28xv>. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2022 წლის 18 აგვისტოს №2-12268/22 გადაწყვეტილება, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/2p9yny9s>, ამ სქოლიოს ყველა ბმული განახლებულია: 28.09.22.

⁵⁵⁸ ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომა №72, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/525835sk>. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის გადაწყვეტილება №3(3) კომიტეტის სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/29xtx67d>. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის გადაწყვეტილება №4(4) კომიტეტის სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/24969i64>. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის გადაწყვეტილება №6(6) კომიტეტის სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/4xuc95py>, ამ სქოლიოს ყველა ბმული განახლებულია: 29.09.22.

2022 წლის სამემოდგომო სესია

ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ შექმნილი ფემიციდის პრევენციის ხელშეწყობი ღონისძიებების დაგეგმვის/განსაზღვრის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში თავდაპირველად 15 დეპუტატი და არასამთავრობო ორგანიზაციების 9 წარმომადგენელი შედიოდა,⁵⁵⁹ თუმცა 1 თვის შემდეგ მას კიდევ 3 არასამთავრობო ორგანიზაციის თითო წარმომადგენელი დაემატა.⁵⁶⁰ საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებისას სახელმწიფო ენის, საქართველოს ისტორიისა და სამართლის ძირითადი საფუძვლების ცოდნის ღონის შემოწმებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირების მართებულობის დადგენის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი შედგებოდა 10 დეპუტატისგან (აქედან 1 მათგანი მოგვიანებით დაემატა), ხოლო პრეზიდენტის ადმინისტრაციას, იუსტიციის სამინისტროს, სუს-ს და სსიპ - სერვისების განვითარების სააგენტოს ეთხოვათ, სამუშაო ჯგუფში მონაწილეობისთვის წევრები წარმოედგინათ.⁵⁶¹

რაც შეეხება სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სამუშაო ჯგუფს, მისი შემადგენლობა განისაზღვრა საქართველოს პარლამენტის 3 წევრით, ხოლო არაუმეტეს 2-2 წარმომადგენლის დასახელების შესაძლებლობა მიეცა 32 ორგანიზაციას (მათ შორის იყვნენ არა მხოლოდ დარგის ექსპერტები, არამედ, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციები და სახელმწიფო უწყებები).⁵⁶²

7.6.3. სამუშაო ჯგუფის ორგანიზება და უფლებამოსილების ვადა

სამუშაო ჯგუფის მომწესრიგებელი ნორმის ცვლილების შემდგომ რეგლამენტით კომიტეტს დაევადა, ჯგუფის შექმნისას საკუთარ გადაწყვეტილებაში გაწეროს შემადგენლობა, მიზნები და მუშაობის ვადები.⁵⁶³ ამ ჩანაწერის გაჩენა საიას მუშაობის შედეგია პარლამენტთან. ამიტომ, მისასაღმებელია საკანონმდებლო ორგანოს მიერ არასამთავრობო ორგანიზაციის რეკომენდაციების გაზიარება. თუმცა, 2021 წლის სამემოდგომო და 2022 წლის საგაზაფხულო სესიაზე კვლავ ძველი ნორმა მოქმედებდა, რომელიც ასე დეტალურად არ აწესრიგებდა სამუშაო ჯგუფის ორგანიზების საკითხებს.

2021 წლის სამემოდგომო სესია

საყურადღებოა, რომ სამუშაო ჯგუფის დებულება 2021 წლის სამემოდგომო სესიის პერიოდში მხოლოდ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტმა შეიმუშავა.⁵⁶⁴ დებულებით განსაზღვრულია მიზანი, შემადგენლობა და მუშაობის წესი, ჯგუფის ტექნიკური მხარდაჭერა და უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევები.⁵⁶⁵ კომიტეტმა ჯგუფი განუ-

⁵⁵⁹ საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 30 მარტის №2373/2-7/23 წერილი.

⁵⁶⁰ ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის გადაწყვეტილება №13(13) კომიტეტის სამუშაო ჯგუფების შემადგენლობებზე წევრების დამატების თაობაზე, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/40SBFzj>, განახლებულია: 10.04.2023.

⁵⁶¹ ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის გადაწყვეტილება №9(9) კომიტეტის სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/41fDKVT> განახლებულია: 10.04.2023.

⁵⁶² საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის 2022 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3o1V02q>, განახლებულია: 10.04.2023.

⁵⁶³ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 46-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

⁵⁶⁴ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 7 ივლისის №6093/2-7/22 წერილი.

⁵⁶⁵ საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტთან არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის სახელმწიფო პოლიტიკის განვითარების სამუშაო ჯგუფის დებულება, საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 7 ივლისის №6093/2-7/22 წერილი.

საზღვრელი ვადით შექმნა და მისი უფლებამოსილების შეწყვეტის პრეროგატივა თავად დაიტოვა.⁵⁶⁶

კულტურის კომიტეტში ჩამოყალიბებული სამუშაო ჯგუფი სახელოვნებო განათლების რეფორმაზე მუშაობს.⁵⁶⁷ ის უვადოდ შეიქმნა და მისი გაუქმების გადაწყვეტილებას კომიტეტი იღებს.⁵⁶⁸ ამასთანავე, სუბიექტისთვის დებულება არ შემუშავებულა.⁵⁶⁹ მართალია, მაშინ მოქმედი რედაქციით ეს მოთხოვნა სავალდებულო არ იყო, თუმცა სასურველი იქნებოდა, კომიტეტს ამ კუთხით თავად გამოეჩინა ინიციატივა. დღეს მოქმედი რედაქციით, რომლის დახვეწაშიც საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ მიიღო მონაწილეობა, ჯგუფის შექმნისას კომიტეტი ვალდებულია, განსაზღვროს მისი შემადგენლობა, მიზნები და მუშაობის ვადები.⁵⁷⁰

ჯგუფის უვადოდ შექმნა ცუდი პრაქტიკაა. მისი დანიშნულებაა, კომიტეტს დაეხმაროს მიმდინარე საკითხების შესწავლაში. საბოლოო შედეგებს ის კვლავ შემქმნელ სუბიექტს წარუდგენს, რის შემდეგაც ეს დოკუმენტი 14 დღის ვადაში პარლამენტის ვებგვერდზე ქვეყნდება.⁵⁷¹ უვადოდ შექმნილი ჯგუფის წევრებმა კი, შესაძლოა, სხვადასხვა მიზეზით, განუსაზღვრელი დროით გადადონ კომიტეტისთვის მისი გადაცემა, რაც ამ უკანასკნელს ოპერატიულ მუშაობაში ხელს შეუშლის. შესაბამისად, აუცილებელია, კომიტეტმა ჯგუფს ვადა განუსაზღვროს და, საჭიროების შემთხვევაში, თავად გაუგრძელოს. წინა რედაქციისგან განსხვავებით, რომელიც ძალაში იყო 2021 წლის საშემოდგომო სესიაზე, ამჟამად მოქმედი ნორმა კომიტეტს ავალდებულებს სამუშაო ვადის განსაზღვრას.⁵⁷² ეს პოზიტიური ცვლილებაა. ამიტომ, სავარაუდოდ, ახალი რეგულაციით შექმნილ სამუშაო ჯგუფებთან მიმართებით მსგავსი ტიპის პრობლემები აღარ იარსებებს.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა ნარკოტიკულ სამართალდარღვევებზე პრობაციისა და „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე უფლებების ჩამორთმევის მდგომარეობის ანალიზისა და პასუხისგებაში მიცემულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობის შესასწავლად შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიზანი კომიტეტის გადაწყვეტილებაში ასახა, ხოლო უფლებამოსილების ვადად 2 თვე განსაზღვრა.⁵⁷³ ამ პერიოდის გასვლის შემდგომ, კომიტეტთან შეთანხმებით, მას ვადა გაუგრძელდა და მუშაობა ჯერ არ დაუსრულებია.⁵⁷⁴ ვადის გაგრძელებაზე კომიტეტს ცალკე გადაწყვეტილება არ მიუღია.⁵⁷⁵ ეს მიდგომა ეწინააღმდეგება რეგლამენტის მოთხოვნებს. სამუშაო ჯგუფი იქმნება კომიტეტის გადაწყვეტილებით და მისი მანდატის ამოწურვისას უწყდება უფლებამოსილება. თუ კომიტეტი მიზანშეწონილად მიიჩნევს მისთვის ვადის გაგრძელებას, ეს შესაბამისი გადაწყვეტილებით უნდა გააფორმოს. ამ შემთხვევაში კი კომიტეტმა რეგლამენტი დაარღვია. აუცილებელია, მსგავსი ფაქტები მომავალში აღმოიფხვრას.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტში შექმნილი ზოგიერთი სამუშაო ჯგუფის მიზანს თავად რეგლამენტი განსაზღვრავს. კომიტეტმა ისინი შექმნა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობისა და მოსამართლეობის კანდიდატების საქართველოს კონსტიტუციის ან/

⁵⁶⁶ იქვე.

⁵⁶⁷ იქვე.

⁵⁶⁸ იქვე.

⁵⁶⁹ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 2 აგვისტოს №6986/2-7-1/22 წერილი.

⁵⁷⁰ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 46-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

⁵⁷¹ იქვე, მე-7 პუნქტი.

⁵⁷² იქვე, მე-2 პუნქტი.

⁵⁷³ ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2021 წლის 23 სექტემბრის №51 სხდომის ოქმი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/hjj7dbsw>, განახლებულია: 14.07.22.

⁵⁷⁴ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 2 აგვისტოს №6986/2-7-1/22 წერილი.

⁵⁷⁵ იქვე.

და სხვა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის ხელშეწყობის მიზნით.⁵⁷⁶ რეგლამენტი არ განსაზღვრავს ასეთი მიზნით შექმნილი ჯგუფის უფლებამოსილების ვადას, თუმცა ლოგიკურია, რომ სამუშაოს დასრულების შემდეგ ის უქმდება. **რეკომენდებულია, ასეთი ჩანაწერი გაჩნდეს რეგლამენტში.**

2022 წლის საგაზაფხულო სესია⁵⁷⁷

აგრარულ საკითხთა კომიტეტმა აგროდაზღვევის სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის სამუშაო ჯგუფისთვის შექმნა დებულება, რომლითაც გათვალისწინებულია მისი შემადგენლობა, მიზნები, სტრუქტურა, მუშაობის წესი და ვადები.⁵⁷⁸ ჯგუფს უფლებამოსილების შეწყვეტის თარიღად 2022 წლის 30 ნოემბერი განესაზღვრა.⁵⁷⁹ 2022 წლის 22 დეკემბრის სხდომაზე კომიტეტმა მხარი დაუჭირა მის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს⁵⁸⁰ და ამით ჯგუფმა მუშაობა დაასრულა (მან დადგინო ვადას 3 კვირით გადააცილა). ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში შექმნილ სამუშაო ჯგუფს, რომელიც საქართველოს სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების პროაქტიულად გამოყენების თაობაზე კანონპროექტის შემუშავების მიზნით შეიქმნა, კომიტეტმა უფლებამოსილების ვადა 2022 წლის 31 აგვისტომდე განუსაზღვრა.⁵⁸¹ ჯგუფმა საქმიანობის ანგარიში წარადგინა 5 აგვისტოს სხდომაზე, ხოლო პარლამენტს მიაწოდა საკანონმდებლო ინიციატივები.⁵⁸² ევროპის საბჭოს წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კომიტეტის (CPT) 2022 წლის 16 ივნისს გამოქვეყნებულ ანგარიშში (CPT/Inf (2022) 11) საქართველოს მიმართ გაცემული რეკომენდაციებისა და წინადადებების შესწავლის სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრა 2022 წლის 28 ნოემბრამდე.⁵⁸³ პარლამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ეს ჯგუფი სამემოდგომო სესიის განმავლობაში ფუნქციონირებდა.⁵⁸⁴ დარჩენილ სამ შემთხვევაში კომიტეტმა შესაბამის ჯგუფს უფლებამოსილების კონკრეტული ვადა არ დაუდგინა და ზოგადად მიუთითა, რომ იგი კომიტეტის წინაშე მოსაზრებებს/რეკომენდაციებს სამუშაოს დასრულების შემდგომ წარადგენდა.⁵⁸⁵ არცერთი ამ ჯგუფისთვის დებულება არ შექმნილა.⁵⁸⁶ თი-

⁵⁷⁶ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 205-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁵⁷⁷ ამავე ქვეთავში გაერთიანებულია 2022 წლის ივლისსა და აგვისტოში შექმნილი სამუშაო ჯგუფებიც.

⁵⁷⁸ საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტთან არსებული აგროდაზღვევის სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის სამუშაო ჯგუფის დებულება, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/4dt97thy>, განახლებულია: 05.10.22.

⁵⁷⁹ იქვე, 4.1. პუნქტი.

⁵⁸⁰ საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის 2022 წლის 22 დეკემბრის N46 სხდომის ოქმი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ZXWidc>, განახლებულია: 10.04.2023.

⁵⁸¹ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 სექტემბრის №8820/2-7/22 წერილი.

⁵⁸² საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის გადაწყვეტილება №7(7) საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის შესახებ, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/43o1gSn>, განახლებულია: 10.04.2023.

⁵⁸³ იქვე.

⁵⁸⁴ საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 30 მარტის №2373/2-7/23 წერილი.

⁵⁸⁵ ასეთი ჯგუფებია: 2020 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში წარმოდგენილი, საქართველოს პარლამენტისადმი მიმართული წინადადებების გათვალისწინების მიზანშეწონილობის საკითხის შესწავლის სამუშაო ჯგუფი; 2021 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში წარმოდგენილი, საქართველოს პარლამენტისადმი მიმართული წინადადებების გათვალისწინების მიზანშეწონილობის საკითხის შესწავლის სამუშაო ჯგუფი; ბავშვის ქონების განკარგვის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების აღსრულების კონტროლისა და სასამართლო პრაქტიკის განალიზების სამუშაო ჯგუფი; საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 სექტემბრის №8820/2-7/22 წერილი.

⁵⁸⁶ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 სექტემბრის №8820/2-7/22 წერილი.

თოეულ ჯერზე შემადგენლობა და მიზნები თავად კომიტეტმა განსაზღვრა.⁵⁸⁷

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სფეროში არსებული ვითარების შეფასების, ხარვეზების გამოსწორებისა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის შემდგომი გაძლიერების თაობაზე წინადადებების შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრა 2022 წლის პირველ ნოემბრამდე.⁵⁸⁸ დოკუმენტით გაწერილია მისი მიზანიც.⁵⁸⁹ 2022 წლის 31 ოქტომბრის სხდომაზე კომიტეტი გაეცნო სამუშაო ჯგუფის მუშაობის შედეგებს და მიიღო გადაწყვეტილება, რომ მომზადებული წინადადებები (76 წინადადება) გადაეცეს შესაბამის უწყებებს.⁵⁹⁰

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის მიერ საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების თაობაზე შექმნილ სამუშაო ჯგუფს უფლებამოსილების ვადად განესაზღვრა 1 თვე.⁵⁹¹ ჯგუფმა ფუნქციონირება შეწყვიტა ამ პერიოდის გასვლისთანავე, შედეგად კი შემუშავდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა განხილვა საკომიტეტო ფორმატში გაგრძელდა. ამ ჯგუფმა საქმიანობისთვის გათვალისწინებული ვადა დაიცვა.

უფლებამოსილების ვადები განესაზღვრათ იურიდიულ საკითხთა კომიტეტში ჩამოყალიბებულ ჯგუფებსაც. დოლიგარქიზაციის საკითხზე შექმნილ ჯგუფს სამუშაო უნდა დაესრულებინა 2022 წლის 29 ნოემბრამდე,⁵⁹² სასამართლო რეფორმის თაობაზე - 2022 წლის 31 დეკემბრამდე,⁵⁹³ საარჩევნო კოდექსის გადასინჯვასთან დაკავშირებით - 2022 წლის 13 დეკემბრამდე,⁵⁹⁴ ანტიკორუფციულ ღონისძიებების, ასევე სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერების შესახებ ჯგუფებს - 2022 წლის პირველ დეკემბრამდე.⁵⁹⁵ შესაბამის აქტში მითითებულია თითოეული მათგანის მიზანიც. რამდენიმე სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა

⁵⁸⁷ ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის გადაწყვეტილება №5(5) კომიტეტის სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/ynyh745z>; ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომა №72, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/525835sk>; ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის გადაწყვეტილება №3(3) კომიტეტის სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/29xtx67d>; ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის გადაწყვეტილება №4(4) კომიტეტის სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/24969h64>; ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის გადაწყვეტილება №6(6) კომიტეტის სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/4xuc95py>; ამ სქოლიოს ყველა ბმული განახლებულია: 29.09.22.

⁵⁸⁸ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის 2022 წლის 28 ივლისის №2-11371/22 გადაწყვეტილება, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/2fakzw3r>, განახლებულია: 05.10.22.

⁵⁸⁹ იქვე.

⁵⁹⁰ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 31 ოქტომბრის №39 სხდომის ოქმი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3KM3W52>, განახლებულია: 10.04.2023; საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 30 მარტის №2373/2-7/23 წერილი.

⁵⁹¹ საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის 2022 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება კომიტეტის სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ZbALgv>, განახლებულია: 01.03.2023.

⁵⁹² იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2022 წლის 18 აგვისტოს №2-12263/22 გადაწყვეტილება, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/2p9hn7sk>, განახლებულია: 28.09.22.

⁵⁹³ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2022 წლის 18 აგვისტოს №2-12264/22 გადაწყვეტილება, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/2bbc9kns>, განახლებულია: 28.09.22.

⁵⁹⁴ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2022 წლის 18 აგვისტოს №2-12265/22 გადაწყვეტილება, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/ydnh28xv>, განახლებულია: 28.09.22.

⁵⁹⁵ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2022 წლის 18 აგვისტოს №2-12266/22 გადაწყვეტილება, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/yc6a5mev>, განახლებულია: 28.09.22. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2022 წლის 18 აგვისტოს №2-12268/22 გადაწყვეტილება, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/2p9yny9s>, განახლებულია: 28.09.22.

შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების საპარლამენტო მოსმენების დასრულებამდე გაგრძელდა, თუმცა ამის შესახებ კომიტეტის გადაწყვეტილება არ არსებობს. ამასთანავე, დეოლიგარქიზაციისა და სასამართლო რეფორმის თაობაზე კანონპროექტები, 2023 წლის 1-ლი აპრილის მდგომარეობით, კვლავ განხილვის პროცესშია და უცნობია შესაბამისი 2 ჯგუფის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების საკითხი.

პოზიტიურად უნდა შეფასდეს ამ სესიაზე 13 ჯგუფიდან 10 შემთხვევაში შესაბამისი აქტივით უფლებამოსილების ვადების, წევრთა ვინაობისა და მიზნების განსაზღვრა. **რეკომენდებულია, ყველა ჯერზე გაიწეროს ჯგუფის უფლებამოსილების ვადები, რათა მისი პროდუქტი დროულად მიეწოდოს კომიტეტს. ეს მას იმ აქტუალური პრობლემის გადაჭრაში დაეხმარება, რომლის გამოც ჯგუფი შექმნა.**

2022 წლის საშემოდგომო სესია

ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა 2022 წლის 19 სექტემბერის სხდომაზე შექმნილი ფემციდის პრევენციის ხელშეწყობის ღონისძიებების დაგეგმვის/განსაზღვრის სამუშაო ჯგუფის მუშაობის ვადად 3 თვე განსაზღვრა,⁵⁹⁶ ხოლო საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებისას სახელმწიფო ენის, საქართველოს ისტორიისა და სამართლის ძირითადი საფუძვლების ცოდნის დონის შემოწმებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირების მართებულობის დადგენის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფისთვის - 2022 წლის 31 დეკემბერი.⁵⁹⁷ ამ ჯგუფებს საანგარიშო პერიოდში მუშაობა არ დაუსრულებიათ. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის გადაწყვეტილებით შექმნილი სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სამუშაო ჯგუფის ვადა 2024 წლის 1-ელ ოქტომბრამდე განისაზღვრა.⁵⁹⁸

სამივე შემთხვევაში კომიტეტების გადაწყვეტილებით გაიწერა ჯგუფების შექმნის მიზეზი და მიზანი. ამასთანავე, არცერთი მათგანის დებულება კომიტეტებს არ დაუმტკიცებიათ.

7.7. ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის შესწავლა

რეგლამენტის მიხედვით, კომიტეტი საკუთარი ინიციატივით ან შესაბამისი განცხადების, მიმართვის, პეტიციის საფუძველზე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეისწავლის ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობას, საქიროების შემთხვევაში გამოითხოვს შესაბამის მასალებს და დასკვნას განსახილველად წარუდგენს პარლამენტს.⁵⁹⁹ არც 2021 წლის საშემოდგომო სესიის და არც 2022 წლის სესიების პერიოდში არცერთ კომიტეტს ამ მექანიზმით არ უსარგებლია.⁶⁰⁰

⁵⁹⁶ საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 30 მარტის №2373/2-7/23 წერილი.

⁵⁹⁷ საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 30 მარტის №2373/2-7/23 წერილი.

⁵⁹⁸ საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის 2022 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3KLwvPX>, განახლებულია: 10.04.2023; საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 30 მარტის №2373/2-7/23 წერილი.

⁵⁹⁹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 37-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

⁶⁰⁰ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 აპრილის №3678/2-7/22, 21 სექტემბრის №8820/2-7/22 და 2023 წლის 31 იანვრის №885/2-7/23 წერილები.

VIII. რეკომენდაციები

კვლევაში განხილული საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების თეორიული და პრაქტიკული ანალიზის საფუძველზე, საია პარლამენტს სთავაზობს შემდეგ რეკომენდაციებს:

- მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სამთავრობო პროგრამასთან დაკავშირებით რაიმე სტანდარტი არ მოქმედებს, უმჯობესია, ის უფრო ვრცელი იყოს, ვინაიდან პრემიერი და მინისტრები შემდგომ სწორედ მისი შესრულების ანგარიშებს წარმოადგენენ და ეს დოკუმენტია ამ ანგარიშების შეფასების საზომი;
- პარლამენტში წარდგენილ სამთავრობო პროგრამაში გათვალისწინებული უნდა იყოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში პოლიტიკის წარმართვის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები. ეს პარლამენტს საშუალებას მისცემს, ჯეროვნად გააკონტროლოს მთავრობის წევრთა საქმიანობა შესაბამისი მექანიზმების გამოყენებით;
- პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური მოხსენების წარდგენისას, რეკომენდებულია, როგორც მისი, ისე დეპუტატების გამოსვლები მიმართული იყოს სამთავრობო პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებზე, ხოლო მიმდინარე თემები კონტროლის სხვა მექანიზმის ფარგლებში განიხილოს;
- პრაქტიკის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური ანგარიშის წარდგენისას უფრო მეტი დრო დადგინდეს დეპუტატების კითხვებზე საპასუხოდ;
- უმჯობესია, პრემიერის ყოველწლიური მოხსენება დაემთხვეს ნდობის გამოცხადების წლისთავს;
- რეკომენდებულია, მინისტრის საათის პროცედურასთან მიმართებით დამკვიდრდეს ერთიანი პრაქტიკა და დადგინდეს კონკრეტული საანგარიშო პერიოდი;
- რეგლამენტით არ უნდა იყოს დაშვებული დროის პროპორციულად შემცირება 2-ზე მეტი ინტერპელაციის შემთხვევაში, რათა კონტროლის ამ მექანიზმმა თავისი რეალური ფუნქცია შეასრულოს;
- რეკომენდებულია, ინტერპელაციისას ადრესატის წერილობით პასუხი სხდომამდე გონივრული დროით ადრე მიეწოდოს პარლამენტის წევრებს, რაც მათ მისცემს შესაძლებლობას, ადეკვატურად მოემზადონ პროცედურისთვის;
- ერთი ინტერპელაციის ფარგლებში არ უნდა იყოს შესაძლებელი ერთზე მეტი არსებითად განსხვავებული შეკითხვის დასმა; ასევე, კონკრეტული მონაცემების თაობაზე ინტერესის არსებობისას, უმჯობესია ამ ინფორმაციის მიღება, მაგალითად, სადეპუტატო კითხვის მეშვეობით, ხოლო ინტერპელაციის დროს უფრო ფართო ხასიათის შეკითხვები დაისვას;
- რეგლამენტით უნდა განისაზღვროს ინტერპელაციის შეკითხვაზე პასუხის გამოგზავნის ვადა, კერძოდ, დეპუტატებს ის შესაბამისი პლენარული სხდომის გამართვამდე 3 დღით ადრე მაინც უნდა მიეწოდოს, რათა მათ ინტერპელაციის სხდომისთვის სათანადოდ მომზადება შეძლონ;
- უმჯობესია, საქართველოს ძირითად კანონში აისახოს ევროპული გამოცდილება და დამკვიდრდეს უნდობლობის მექანიზმთან ინტერპელაციის ბმის შესაძლებლობა;

- აუცილებელია, გაუქმდეს კომიტეტის სხდომაზე თანამდებობის პირების დაბარებასთან დაკავშირებული შეზღუდვა და როგორც ფრაქციას, ისე კომიტეტის სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობას ნებისმიერ დროს ნებისმიერი პირის დაბარების შესაძლებლობა მიეცეს;
- აუცილებელია, თემატური მომხსენებლის განსაზღვრის თაობაზე ნორმები გადაისინჯოს და ის მხოლოდ შესაბამის სფეროზე დაინიშნოს;
- არაერთგვაროვანი და ქაოსური მიდგომის პრაქტიკის აღმოსაფხვრელად, აუცილებელია კომიტეტების სამოქმედო გეგმების სტანდარტიზაცია და რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;
- თემატური მომხსენებლის განსაზღვრისას, მნიშვნელოვანია, რომ მიმართულებები თანაბრად გადანაწილდეს კომიტეტის წევრებს შორის;
- აუცილებელია თემატურ მომხსენებლად დაინიშნოს მხოლოდ ფიზიკური პირი სახელისა და გვარის მითითებით და არა - იურიდიული წარმონაქმნი ან ზოგადი ტერმინით აღნიშნული სუბიექტი;
- დეპუტატის მიერ კომიტეტის დატოვების შემთხვევაში, აუცილებელია, შესაბამისი ცვლილება შევიდეს სამოქმედო გეგმაშიც, რომელიც კონკრეტულ სფეროზე თემატური მომხსენებლის ვინაობას განსაზღვრავს;
- რეკომენდებულია, თემატურმა მომხსენებლებმა დაკისრებული ვალდებულება ჯეროვნად შეასრულონ და კომიტეტებს შესაბამისი მოხსენებები წარუდგინონ;
- თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი უნდა გაიყოს ორ კომიტეტად;
- რეკომენდებულია, რომ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა მაქსიმალურად აქტიურად გამოიყენოს ყველა საზედამხებელო მექანიზმი;
- ნდობის ჯგუფი უნდა გაუქმდეს და მისი ფუნქციები თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს გადაეცეს;
- რეკომენდებულია, რომ თემატური მოკვლევის დაწყებისას ჯგუფის წევრები იყვნენ შემქმნელი სუბიექტის წევრები;
- თუ კომიტეტებს შორის არსებობს ურთიერთმკვეთი საკითხები, თემატური მოკვლევის ჯგუფი ბიუროს გადაწყვეტილებით უნდა შეიქმნას;
- რეკომენდებულია თემატური მოკვლევის მცირეწევრიანი ჯგუფების შექმნა, რომელთა რაოდენობაც არ აღემატება შემქმნელი სუბიექტის წევრთა 1/3-ს;
- რეკომენდებულია, რეგლამენტით განისაზღვროს შესაძლებლობა, რომ ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე დადგინდეს თემატური მოკვლევის ჯგუფის უფლებამოსილების ვადა;
- მნიშვნელოვანია, კომიტეტის მიერ შექმნილმა თემატური მოკვლევის ჯგუფმა თავისი დასკვნა შესაბამის კომიტეტს გაუგზავნოს.

დანართები

ცხრილი №1. ათმთებდის მიერ ინფორმაციის გამოსვლა 2021 წლის საშემოდგომო სესია

კომიტეტები	გამოთხოვნილი ინფორმაცია	ვადა განუსაზღვრა					ვადაგანუსაზღვრელ შემთხვევებში პასუხების მიღება					წერილობით მიღებული პასუხი	ზეპირად მიღებული პასუხი			
		სულ	1 კვირამდე	1-2 კვირა	2 კვირა 1 თვე	1 თვეზე მეტი	ვადა არ დაიცვა	პასუხგაუცემელი	სულ	1 კვირამდე	1-2 კვირა			2 კვირა 1 თვე	1 თვეზე მეტი	პასუხგაუცემელი
აგრარულ საკითხთა კომიტეტი	4 ¹	1 ²					3 თვიანი ვადა განუსაზღვრა. ³									
ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი	3 ⁸	3 ⁹				3 (2 შემთხვევაში 20 დღით, 1-ში 30 დღით	2 ¹¹									1 ¹³

¹ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 აპრილის №3678/2-7/22 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

² საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 აპრილის №3678/2-7/22 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

³ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 აპრილის №3678/2-7/22 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

⁴ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 აპრილის №3678/2-7/22 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

⁵ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 7 ივლისის №6093/2-7/22 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

⁶ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 7 ივლისის №6093/2-7/22 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

⁷ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 7 ივლისის №6093/2-7/22 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

⁸ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 აპრილის №3678/2-7/22 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

⁹ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 7 ივლისის №6093/2-7/22 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

¹⁰ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 7 ივლისის №6093/2-7/22 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

¹¹ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 7 ივლისის №6093/2-7/22 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

¹² საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 აპრილის №3678/2-7/22 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

¹³ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 აპრილის №3678/2-7/22 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი	18 ³⁵	17	5 ³⁶	6 ³⁷	6 ³⁸					1			1 ³⁹		18 ⁴⁰
სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი	2 ⁴¹									2 ⁴²		1 ⁴³	1 ⁴⁴		2 ⁴⁵
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი	0 ⁴⁶														
სულ	43	30													

³⁵ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 7 ივლისის №6093/2-7/22 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

³⁶ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 7 ივლისის №6093/2-7/22 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

³⁷ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 7 ივლისის №6093/2-7/22 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

³⁸ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 7 ივლისის №6093/2-7/22 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

³⁹ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 7 ივლისის №6093/2-7/22 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

⁴⁰ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 7 ივლისის №6093/2-7/22 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

⁴¹ კომიტეტს 2021 წლის საშემოდგომო სესიაზე ეს უფლებამოსილება არ გამოუყენებია. საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 აპრილის №3678/2-7/22 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

⁴² საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 7 ივლისის №6093/2-7/22 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

⁴³ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 აპრილის №3678/2-7/22 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

⁴⁴ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 აპრილის №3678/2-7/22 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

⁴⁵ კომიტეტს 2021 წლის საშემოდგომო სესიაზე ეს უფლებამოსილება არ გამოუყენებია. საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 აპრილის №3678/2-7/22 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

⁴⁶ კომიტეტს 2021 წლის საშემოდგომო სესიაზე ეს უფლებამოსილება არ გამოუყენებია. საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 აპრილის №3678/2-7/22 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

ცხრილი №2. კომიტიების მიერ ინფორმაციის გამოთხოვა 2022 წლის საბაზაფხულ სესია

კომიტეტები	გამოთხოვილი ინფორმაცია	ვადა განუსაზღვრა					ვადაგანუსაზღვრელ შემთხვევებში პასუხების მიღება					წერილობით მიღებული პასუხი	ზეპირად მიღებული პასუხი		
		სულ	1 კვირამდე	1-2 კვირა	2 კვირა 1 თვე	1 თვეზე მეტი	ვადა არ ღაიცვა	პასუხგაუცემელი	სულ	1 კვირამდე	1-2 კვირა			2 კვირა 1 თვე	1 თვეზე მეტი
აგრარულ საკითხთა კომიტეტი	10 ¹							10		4 ²	4 ³	2 ⁴	0	10	
ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი	0 ⁵														
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი	0 ⁶														
დარგობრივი ეკონომიკისა და აკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი	13 ⁷							13		13 ⁸				13	

¹ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 25 ოქტომბრის N10099/2-7/22 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

² საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 25 ოქტომბრის N10099/2-7/22 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

³ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 25 ოქტომბრის N10099/2-7/22 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

⁴ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 25 ოქტომბრის N10099/2-7/22 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

⁵ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 სექტემბრის N8820/2-7/22 წერილი.

⁶ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 21 სექტემბრის N8820/2-7/22 წერილი.

⁷ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 22 დეკემბრის N13394/2-7/22 წერილი.

⁸ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 22 დეკემბრის N13394/2-7/22 წერილი.

ცხრილი №3. თემატური მომხსენებლის დანთხრობის პარამეტრები 2021 წლის საშემოდგომო სესია

თემატური მომხსენებლის აღმნიშვნელი კომიტეტი	კომიტეტის წევრის სახელი და გვარი	ოპოზიციის წარმომადგენელი	ჩანაწერი „კომიტეტის წევრი“	კომიტეტი	დროებითი კომისია	დელეგაცია	ნდობის ჯგუფი	სამუშაო ჯგუფი	კომიტეტის აპარატი
	✓ ²	✓ ³							✓ ⁴
	✓ ⁶	✓ ⁷	✓ ⁸						✓ ⁹
	✓ ¹¹	-	✓ ¹²						✓ ¹³
	✓ ¹⁵	-							✓ ¹⁶
	✓ ¹⁸	✓ ¹⁹							
	✓ ²¹	-	✓ ²²						✓ ²³
	✓ ²⁵	✓ ²⁶							✓ ²⁷
	✓ ²⁹	-	✓ ³⁰				✓ ³¹		✓ ³²
	✓ ³⁴	✓ ³⁵							
	✓ ³⁷	-							✓ ³⁸
	✓ ⁴⁰	✓ ⁴¹	✓ ⁴²						
			✓ ⁴⁴	✓ ⁴⁵	✓ ⁴⁶	✓ ⁴⁷			✓
	✓ ⁴⁹	-							
	✓ ⁵¹	✓ ⁵²							
	✓ ⁵⁴	-							
	✓ ⁵⁶								✓

1. აგრარულ საკითხთა კომიტეტის სამოქმედო გეგმატ განსაზღვრულია 4 სტრატეგიული მიზანი, რომელიც გარდაიქმნება 16 ამოცანად და 91 აქტივობად/დონისივად. სამოქმედო გეგმა ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Komitetebi/agraruli/samoqmedo-gegma/2021.pdf>; განახლებულია: 01.06.22.
- 2 აგრარულ საკითხთა კომიტეტის სამოქმედო გეგმატ განსაზღვრულია 91 აქტივობა/დონისივად შემდეგი რაოდენობით არის განაწილებული შემდეგ დეპუტატებზე: ნინო წილოსანი (თავმჯდომარე) - 63 საკითხი, ალექსანდრე მოწერელია - 19 საკითხი. აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე მოწერელია აგრარულ საკითხთა კომიტეტში დატოვა 2021 წლის 19 აპრილს, თუმცა სამოქმედო გეგმაში შესაბამისი ცვლილებები არ შესულა. ხატია წილოსანი - 19 საკითხი, ხატია წილოსანა კომიტეტში დატოვა 2021 წლის 29 დეკემბერს. ზაალ ლავლიაძე - 6 საკითხი, სემველ მანუკიანი - 7 საკითხი, გიორგი ჩანქელიანი - 2 საკითხი, სემბატ კიურელიანი - 5 საკითხი, შალვა კერესელიძე - 6 საკითხი, ირაკლი ბერია - 4 საკითხი. 3 აქტივობაზე (2.3.5, 2.3.6 და 2.4.3) მომხსენებელი განსაზღვრული არაა.
- 3 მას შემდეგ, რაც ალექსანდრე მოწერელიამ და მალვა კერესელიძემ უმრავლესობა დატოვეს, სამოქმედო გეგმაში ისინი გახდნენ ოპოზიციური ფლანგიდან თემატური მომხსენებლები. ორივე მათგანმა უმრავლესობა დატოვა 2021 წლის 19 აპრილს.
- 4 აგრარულ საკითხთა კომიტეტის სამოქმედო გეგმატ განსაზღვრულია 91-93 აქტივობაზე/დონისივად აღრეუვე დანიშნულია აპარატის თანამშრომელი. 3 საკითხზე კი მხოლოდ აპარატის თანამშრომელია განსაზღვრული.
- 5 აღმნიშნის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტერესების კომიტეტში სამოქმედო გეგმატ განსაზღვრულია 5 სტრატეგიული მიზანი, რომელიც ჯამში 18 ამოცანად და 92 დონისივად გარდაიქმნება. აღმნიშნის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტერესების კომიტეტის სამოქმედო გეგმა, ხელმისაწვდომია: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Komitetebi/adamiaris-uflebebi/samoqmedo-gegma-2021.pdf>; განახლებულია: 01.06.22.
- 6 აღმნიშნის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტერესების კომიტეტის სამოქმედო გეგმატ, დონისივად უმრავლესობა განაწილებულია კომიტეტის თავმჯდომარესა და მის მოადგილეს შორის. კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სარჯველაძე მომხსენებელია 92 საკითხზე, ხოლო მისი პირველი მოადგილე ალულა დუღუბაძე - 10-ზე, მისი მოადგილე სავალან მირზოევი - 2. აღმნიშნის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტერესების კომიტეტის სამოქმედო გეგმატ განსაზღვრულია დანარჩენი საკითხები კი განაწილებულია შემდეგი პროპორციით: ანა ბურჯური - 14 საკითხი, დავით სერგეენკო - 1 საკითხი, ისკო დასენი - 4 საკითხი, ელისო ბოლქვაძე - 6 საკითხი. აღსანიშნავია, რომ ისკო დასენი კომიტეტი დატოვა 2021 წლის 31 მაისს, ხოლო ელისო ბოლქვაძემ 2021 წლის 19 აპრილს. სამოქმედო გეგმაში შესაბამისი ცვლილებები არ შესულა. კომიტეტის სამოქმედო გეგმა ხელმისაწვდომია: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Komitetebi/adamiaris-uflebebi/samoqmedo-gegma-2021.pdf>; განახლებულია: 01.06.22.
- 7 აღმნიშნის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტერესების კომიტეტის სამოქმედო გეგმატ ოპოზიციიდან მხოლოდ ანა ბურჯური მომხსენებელი 14 საკითხზე. მას შემდეგ, რად 2021 წლის 19 აპრილს ანა ბურჯურმა დატოვა უმრავლესობა, იგი ერთადერთი ოპოზიციონერი დეპუტატია აღნიშნულ კომიტეტში თემატურ მომხსენებელად.
- 8 აღმნიშნის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტერესების კომიტეტის სამოქმედო გეგმატ თემატური მოკვეთვის ჯგუფის გრაფიკი განსაზღვრულია „კომიტეტის წევრები“ 32 საკითხზე, ხოლო „სხვა კომიტეტის წევრები“ 3 საკითხზე.
- 9 კომიტეტის აპარატი პასუხისმგებელია 92 საკითხზე.
- 10 განათლების მინისტრის კომიტეტის სამოქმედო გეგმატ განსაზღვრულია 4 მიზანობით, 4 სტრატეგიული მიზანი, 16 ამოცანა და 63 დონისივად. კომიტეტის სამოქმედო გეგმა ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: <https://tinyurl.com/3twv99i>; განახლებულია: 02.06.22.
- 11 კომიტეტის სამოქმედო გეგმატ თემატური მომხსენებელია: მალვა პაპუაშვილი 41 საკითხზე. მალვა პაპუაშვილი ადარ არის კომიტეტის წევრი, მას შემდეგ რაც იგი პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩიეს. მორგი ანდლავანი (თავმჯდომარე) 41 საკითხი, ბექა ოლიმარია 2 საკითხი. ბექა ოლიმარია კომიტეტის წევრობა დატოვა 2021 წლის 4 მარტს. ირაკლი მეზურნიშვილი 2 საკითხი, მან კომიტეტი დატოვა 2021 წლის 22 მარტს. ბექა დავითელიანი 2 საკითხი, ელისო ბოლქვაძე 2 საკითხი. მან კომიტეტის დატოვა 2021 წლის 18 მარტს. ქეთევან ლეშაძე 2 საკითხი, თეა წულუკიანი 1 საკითხი. თეა წულუკიანმა დატოვა დეპუტატის მანდატი 2021 წლის 30 მარტს. კომიტეტის სამოქმედო გეგმა ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: <https://tinyurl.com/3twv99i>; განახლებულია: 02.06.22.
- 12 ჩანაწერი „კომიტეტის ყველა წევრი“ თემატურ მომხსენებელად მითითებული იყო 15 შემთხვევაში. კომიტეტის სამოქმედო გეგმა ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: <https://tinyurl.com/3twv99i>; განახლებულია: 02.06.22.
- 13 აპარატის თანამშრომელი პასუხისმგებელ პირად მითითებულია 62 შემთხვევაში. კომიტეტის სამოქმედო გეგმა ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: <https://tinyurl.com/3twv99i>; განახლებულია: 02.06.22.
- 14 გარემოს დაცვისა და უზენბრივი რესურსების კომიტეტის სამოქმედო გეგმატ განსაზღვრულია 4 სტრატეგიული მიზანი, 14 ამოცანა და 91 დონისივად. კომიტეტის სამოქმედო გეგმა ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: <https://tinyurl.com/jc7hf7zd>; განახლებულია: 02.06.22.
- 15 კომიტეტის სამოქმედო გეგმატ თათავალისწინებული დონისივები განაწილებულია წევრებს შორის შემდეგ პროპორციით: მია ბითაძე (თავმჯდომარე) 91 დონისივად, ხატია წილოსანი (პირველი მოადგილე) 89 დონისივად, მირი მუშველიანი 23 დონისივად, ნოდარ ტურეძეაძე 22 დონისივად, ირაკლი ზარქუა 26

საკითხი. ირაკლი ზარიჭუაჟი კომიტეტი დატოვა 2021 წლის 6 სექტემბერს. ნინო ლაგაბიძემ 23 დონისძიება. ნინო ლაგაბიძემ დატოვა 2021 წლის პირველ დღეებში. ირაკლი ზარიჭუაჟი 23 დონისძიება, ალექსანდრე დალაქიძე 23 დონისძიება, ელიზბერ თოლორაია 21 დონისძიება. კომიტეტის სამოქმედო გეგმა ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: <https://tinyurl.com/yc7hf7zd>, განახლებულია: 02.06.22.

16 კომიტეტის აპარატი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვაკანსიების განსაზღვრული პირად. კომიტეტის სამოქმედო გეგმა ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: <https://tinyurl.com/yc7hf7zd>, განახლებულია: 02.06.22.

17 დარგობრივი კურორტიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია 4 მიზანი, 13 ამოცანა და 134 საკითხი. სამოქმედო გეგმა ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: <https://tinyurl.com/pocyaw368>, განახლებულია 02.06.22.

18 კომიტეტის შემდეგ ვებგვერდზე არიან მომხსენებლები შემდეგ საკითხებზე: დავით სონდღუაშვილი (თავმჯდომარე) 102 საკითხი, გიორგი ენუქიძე (მოადგილე) 7 საკითხი, მარიამ ქვიციანიძე 51 საკითხი. მარიამ ქვიციანიძეს აქვს არის პარლამენტის წევრი 2021 წლის 25 მაისიდან. ნინო წილოსანი 17 საკითხი, ბექა წაქაძე 18 საკითხი, ვასილ ჩიფიძე 3 საკითხი, მარიამ ლაშვი 20 საკითხი. მან კომიტეტი დატოვა 2021 წლის 18 მარტს. ელგუჯა გოციანიძე მომხსენებელია 1 საკითხზე. 2 საკითხზე მომხსენებელი განსაზღვრული არაა.

19 ბექა ლილეუაშვილი ოპოზიციამ გადავიდა 2021 წლის 19 აპრილს. იგი 42 საკითხზე თემატური მომხსენებელი. ფრიდონ ინჯია ოპოზიციიდან მომხსენებელია 2 საკითხზე. მან კომიტეტის წევრობა დატოვა 2021 წლის 7 ივნისს.

20 დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია 9 მიზანი და 81 საკითხი. სამოქმედო გეგმა ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: <https://tinyurl.com/mrsvhmue>, განახლებულია: 13.07.22.

21 კომიტეტის შემდეგ ვებგვერდზე არიან მომხსენებლები შემდეგ საკითხებზე: ბექა ოდიშარია (თავმჯდომარე) 73 საკითხზე, გივი ჭიჭინაძე (პირველი მოადგილე) 22 საკითხზე, ნოდარ ტურმეული 20 საკითხზე, ქეთევან ლუმბაძე 25 საკითხზე, ირაკლი მეტრიაშვილი 9 საკითხზე, მათა მენაღარიშვილი 9 საკითხზე (იგი აღარ არის კომიტეტის წევრი 2021 წლის 29 დეკემბრიდან), რუსან კონცია 4 საკითხზე, დავით კაჭარავა 4 საკითხზე (იგი აღარ არის კომიტეტის წევრი 2021 წლის 31 მარტიდან), ირაკლი სესიაშვილი 6 საკითხზე (იგი აღარ არის პარლამენტის წევრი 2021 წლის 25 მაისიდან).

22 ორ შემთხვევაში დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის სამოქმედო გეგმაში მომხსენებელია აღნიშნულია „კომიტეტის წევრები“.

23 კომიტეტის სამოქმედო გეგმით თითოეულ საკითხზე პასუხისმგებელი პირი განსაზღვრულია როგორც კომიტეტის წევრი, ისე კომიტეტის აპარატი.

24 ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია 5 მიზანი, 10 ამოცანა და 59 დონისძიება. სამოქმედო გეგმა ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: <https://tinyurl.com/2t4cvhpa>, განახლებულია: 06.06.22.

25 კომიტეტის შემდეგ ვებგვერდზე არიან მომხსენებლები შემდეგი რაოდენობის საკითხებზე: მაკა ბოჭორიშვილი (თავმჯდომარე) – 38 დონისძიება, ლევან ქარუმიძე (თავმჯდომარის პირველი მოადგილე) - 7 დონისძიება, ნიკოლოზ სამხარაძე - 2 დონისძიება, მარიამ ქვიციანიძე - 10 დონისძიება. მარიამ ქვიციანიძე აღარ არის პარლამენტის წევრი 2021 წლის 25 მაისიდან. დავით სონდღუაშვილი - 2 დონისძიება, მალა პაპუაშვილი - 5 დონისძიება. მალა პაპუაშვილი აღარ არის კომიტეტის წევრი, მას შემდეგ რაც იგი პარლამენტის თავმჯდომარე აირჩიეს. გიორგი კახიანი - 1 დონისძიება. გიორგი კახიანი აღარ არის კომიტეტის წევრი 2021 წლის 18 მარტიდან. თამარ ტალიაშვილი - 8 საკითხი. აღსანიშნავია, რომ მომხსენებელია არც ერთი დეპუტატი განსაზღვრული არაა სამოქმედო გეგმის 30-ე დონისძიებაზე. სამოქმედო გეგმა ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: <https://tinyurl.com/2t4cvhpa>, განახლებულია: 06.06.22.

26 ოპოზიციიდან მომხსენებელი არის გიორგი ხოჯევანიშვილი 2 დონისძიება. მან უმრავლესობა დატოვა 2021 წლის 19 აპრილს. მიხეილ დაუბუკიანი - 1 დონისძიება. მან უმრავლესობა დატოვა 2021 წლის 19 აპრილს. დასახელებული დეპუტატების მიერ უმრავლესობის დატოვებამ გამოიწვია ოპოზიციური დეპუტატების ზრდა თემატური მომხსენებელთა რიცხვში. სამოქმედო გეგმა ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: <https://tinyurl.com/2t4cvhpa>, განახლებულია: 06.06.22.

27 სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვაკანსიების განსაზღვრულია: 06.06.22.

28 თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია 6 მიზანი, 13 ამოცანა და 64 ქმედება. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სამოქმედო გეგმა, ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: <https://tinyurl.com/2p8hwdxe>, განახლებულია: 06.06.22.

29 კომიტეტის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ქმედებებიდან 33-ზე თემატური მომხსენებელია ირაკლი ბერიანი (თავმჯდომარე), ხოლო კომიტეტის სხვა წევრები შედარებით მცირე რაოდენობის საკითხებზე არიან თემატური მომხსენებელი. ალექსანდრე ტაბატაძე (პირველი მოადგილე) - 8 ქმედება, ვლადიმერ ჩაჩბია - 9 ქმედება, კახი კახიძე - 6 ქმედება, გიორგი თვალაშვილი - 6 ქმედება, კვა სვამაშვილი - 3 ქმედება, ირაკლი ჩიქოვანი - 7 ქმედება. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სამოქმედო გეგმა, ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: <https://tinyurl.com/2p8hwdxe>, განახლებულია: 06.06.22.

30 სიტყვები „კომიტეტის წევრები“ მითითებულია მომხსენებელთა 37 საკითხზე. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სამოქმედო გეგმა, ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: <https://tinyurl.com/2p8hwdxe>, განახლებულია: 06.06.22.

31. სიტყვა „ნდობის აჯფი“ მითითებულია მომხსენებელმა 15 საკითხზე, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სამოქმედო გეგმა, ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: <https://tinyurl.com/2p8hwdx>, განახლებულია: 06.06.22.
32. სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ყველა საკითხზე პასუხისმგებელი ასევე კომიტეტის აპარატი. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სამოქმედო გეგმა, ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: <https://tinyurl.com/2p8hwdx>, განახლებულია: 06.06.22.
33. იურიდიული საკითხთა კომიტეტის სამოქმედო გეგმით კი განსაზღვრულია 5 მიზანი, 8 ამოცანა და 45 დონისძიება. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სამოქმედო გეგმა, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/pxtu4kpv>, განახლებულია: 06.06.22.
